

პოვინა

გიორგი ბალახაშვილი  
გივი ჩილვინაძე  
ჯიმშერ შენგელია


პროზა

ნინო ჭელიძე  
ლუკა ბაქანიძე  
სოსო მეშვეობიანი

პრიტია-ცენტრია

თამარ გელიტაშვილი -  
- ნაირა გელაშვილის  
მინირომანზე

კონფერენცია  
წარმატების შესრულების





№ 1 // 2024

ლიცენზიანული – სამუშაოების  
ეროვნული

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი  
თამარ გელიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
მარინე სიყმაშვილი

დიზაინი  
ირაკლი უშვერიძე

---

ეროვნული გამოცდის  
საჭართოების კულტურის, სპორტისა  
და ახალგაზრდობის  
სამინისტროს ხელშეწყობით



საქართველოს  
კულტურის, სპორტისა  
და ახალგაზრდობის  
სამინისტრო

# სარჩევი

|  |   |
|--|---|
| <p><b>შენ უკადავების ხარ<br/>ბინაფარი</b></p> <p><b>გურამ ბენაშვილი</b> 4</p> <p><b>გალავტიონი</b></p> <p><b>ნინო დარბაისელი-სტრონი</b> 11</p> <p><b>გუმბათი უცნაური<br/>სასახლისათვის</b></p> <p><b>პოეზია</b></p> <p><b>გიორგი ბალახაშვილი</b> 17</p> <p><b>გივი ჩილვინაძე</b> 25</p> <p><b>ჯიმშერ შენგელია</b> 30</p> <p><b>ჰორაზიანი</b></p> <p><b>ნინო ჭელიძე</b> 34</p> <p><b>მინიატურები</b></p> <p><b>ლუკა ბაქანიძე</b> 40</p> <p><b>ლუსის ძიებაში</b></p> | <p><b>სოსო მეშველიანი</b> 46</p> <p><b>მინიატურები</b></p> <p><b>არიტონა-ესეისტინა</b></p> <p><b>თამარ გელიტაშვილი</b> 52</p> <p><b>ნაირა გელაშვილის<br/>რომანის შუქ-ჩრდილები</b></p> <p><b>დოკუმენტები</b></p> <p><b>გიორგი შერვაშიძე</b> 62</p> <p><b>ამერიკული ოცნება</b></p> <p><b>ახალი თარგმანები</b></p> <p><b>ელჩინ აფანდიევი</b> 82</p> <p><b>ბალადადაშის პირველი</b></p> <p><b>სიყვარული</b></p> <p><b>აზერბაიჯანულიდან თარგმნა</b></p> <p><b>ოქტაი ქაზუმოვმა</b></p> |
|--|---|

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;  
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;  
უურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვ-  
ლისთანავე განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბ-  
ლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

## შენ უკვდავების ხარ ბინალარი

გ ა მ ა უ ბ ი ს - 6  
ტ ე რ ა მ ა რ ა



1959 წლის 17 მარტი – დღე მწუხარე და ტრაგიკული, ამავდროულად – უკვდავების მიმნიჭებელიც. ამ დღიდან ქართული პოეზიის ორბიტაზე ახალი წელთაღრიცხვა იწყება – პოსტგალაკტიონისეულ ეპოქად სახელდებული. ამით უკვე ყველაფერია ნათევამი. არადა, სიტყვის ჯაფოქარმა, უთქმელი რომ აღარაფერი დატოვა, ფაქტობრივად, ისიც იწინასწარმეტყველა, მის შემდგომ ეპოქას მისი სახელით რომ მოიხსენიებდნენ. საკუთარ უკვდავებაში დარწმუნებულმა, ალბათ, უფრო ჩვენს დასამშვიდებლად თქვა:

„ვინა თქვა შენი გარდაცვალება,  
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე“.  
მისთვის მართლაც –  
„სიკვდილის გზა არრა არის  
ვარდისფერ გზის გარდა“.  
გურამ ბენაშვილისა და ნინო დარბაისელის წერილებით ვეხმიანებით გალაკტიონის გარდაცვალების 65-ე წლისთავს.

## გურამ ბენაშვილი

### გალაკტიონი



გალაკტიონის ფენომენი ქართული კულტურის ერთი მეგაპრობლემათა-განია. სასურველია სისტემურად იქნას აღქმული მისი ესთეტიკური თუ მსოფლიმხედველობრივი პარადიგმები, მისი სახეობრივი აზროვნების სინქრონული და დიაქრონული ასპექტები, სრულყოფილი იქნას გაცნობიერებული იმ სულიერი პროცესების ონტოლოგია, რომელმაც წარმოშვა ეს კოლოსალური შემოქმედი. ოდენ დილეტანტური წარმოდგენებიდან თუ ამოიზარდა თვალ-

საზრისი გალაკტიონის პირველი წიგნის ფსევდორომანტიზმისა და ეპიგონურ დისკურსზე. ანალოგიურივე ნონსენსია „თქმულება“ პოეტის „არტისტული ყვავილების“ ჰერმეტიზმისა და შეუცნობელ ბუნდოვანებაზე, რომელიც მარადიულ ალქიმიურ ქმნილებად უნდა „შეაბერდეს“ საუკუნეებს.

ბუნებრივია, პოეტის ლირიკულ შედევრთა ამგვარი „ინტერპრეტაციები“ ანელებდნენ, შორიდან ტკბობის ნეტარებითლა ავსებდნენ მკითხველთა ცნობიერებას. სასურველია „გარღვევა“ პოეტის ე.წ. „ეზოთერიული“ პორიზონტებისაკენ, სახეობრივი აზროვნების იმ ჯადოსნური შრებისაკენ, რომელნიც შესაძლებელს გახდიდნენ მათი ადამიანური ნარატივის შეცნობას, წვდომას სულის იმ „ფანტასმაგორიული ლაბირინთებისა“, რომლის გამოსხივებანი უძვირფასეს სამკაულებად აღებეჭდა მრავალი ბინიერებით შებლალულსა და ლირსებააყრილ საუკუნეს.

პოეტის ადრეული ლირიკის ანალიტიკური კვლევა 1914 წელს გამოცემული ლექსების იმ პირველ წიგნზეა პროეცირებული, რომელიც საზოგადოებისაგან უმაღლეს უჩვეულო მოვლენად იქნა აღქმული. დავინტებული რომატიკული ხილვების რეანიმაცია და გალანტური სულიერი პეიზაჟებისაკენ შემობრუნების ტენდენცია ამ წიგნს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს დღესაც. როგორც ახალი პოეზიის „პირმშომ“, მან აშკარად გამოკვეთა რომანტიკულ ცნობიერებაზე ორიენტირებული „ახალი პოეტიკის“

უნიკალური შესაძლებლობები. „სადინარი“ მისცა იმ ეპოქალურ პოეტურ ევოლუციას, რომელმაც აპოგეას „არტისტულ ყვავილებში“ მიაღწია...

აქ, ამ პირველ წიგნში უკვე აშკარად გამოვლინდა ჭაბუკი პოეტის სულიერი ინსტინქტები, გრძნობათა და განცდათა ვიბრაციის „უცხო“ მელოდიურობა... ჭეშმარიტი „რენესანსის“ პროცესი აქედან, ამ წიგნიდან დაიწყო, რომელმაც სტილისტური ეკლეკტიკის მიუხედვად, კონცეპტუალური საფუძველი შეუქმნა იმ ახალ სააზროვნო სტრატეგიას, რომელმაც სრულად გააპრნებინა პოეტის შესაძლებლობები.

გალაკტიონი და სიმბოლიზმი ის „მაინტრიგებელი“ თემაა, რომელმაც მრავალი დააფიქრა და განსჯა-ანალიზი-სათვის განაწყო. დღევანდელი გადასახედიდან გაცილებით „უსაფრთხო“ და მიმზიდველიც კია გალაკტიონის ონტოლოგირება და მისი სიმბოლიზმის „ალმსარებლად“ გამოცხადება. იყო თუ არა ის ერთ დროს ჩვენში ტაბუირებული ლიტერატურული „სკოლის“ ადეპტი, ანუ ორთოდოქსი სიმბოლისტი, თუ იგი მასთან მხოლოდ დროებითი „გამიჯნურების“ ტკბობით კმაყოფილდებოდა და გალანტური რევერანსებით ირთობდა თავს? აი, ის კითხვა, რომელსაც, ვფიქრობ, ამაოდ უტრიალებენ სიმბოლიზმისადმი „ალერგიულად“ განწყობილი პერსონები.

გალაკტიონის „ექსტრავაგანტური“ სახისმეტყველების კლასიკურ გამოვლინებად მისი 1919 წელს გამოცემული, რიგით მეორე პოეტური კრებულად – „არტისტული ყვავილები“ ითვლება. სწორედ მასში გაცხადდა გალაკტიონის ინდივიდუალობა, მისი თამამი და სრულიად უნიკალური პოეტური სუპსტანცია, წარმოსახვითი და რეალისტური კატეგორიების განუმეორებელი სემანტიზაცია. სიმბოლიზმი თუ სიტყვის მაგიური განცდის აპოთეოზი და იდუმალებათა ესთეტიკის ხელოვნებაა, თუ იგი მეტაფიზიკური ხილვების, წახევარტონების, ნიუანსირებისა და მინიშნებების, ანუ გამოუთქმელის გამოთქმაა,

თუ მუსიკა და კეთილხმოვანებაა მისი სათავე, ხოლო სულიერი განგაში განწყობილებათა ლაიტმოტივი, გამოდის, რომ გალაკტიონი კლასიკური განსახიერება ყოფილა სიმბოლიზმისა და ეს ქართული პოეზიის მაღალ ღირსებად უნდა იქნას ალქმული.

რაც შეეხება ორთოდოქსობას, მოგვიანებით, ობიექტურ მიზეზთა გამო, მას აეკრძალა მისთვის ესოდენ ორგანულ შეგრძნებათა და ემოციათა სიმბოლისტური კატეგორიებით გაცხადების უფლება, ამიტომაც „აპყვა“ იგი საყველთაოდ ნორმირებულ და უაღტერნატივო „სოცრეალიზმის“ ტალღებს, თუმც, ისიც უნდა ითქვას, რომ „ნაივური თავისიმოტყუებით“ ნაკარნახევ კონფორმისტულ „გატაცებას“, როგორც ჩაკლული სულის ამოძახილი, დროდადრო, დასავინყებლად განწირული პოეტური ვიზიონები ენაცვლებოდა. სრული გამჭვირვალება და დროებასთან „შერწყმა“ ის აუცილებელი „საზღაური“ იყო, რომელმაც ვერა და ვერ გაანელა წარსულის ნოსტალგია. „უძელეს დროის, მაინც ვერას გზით, განცდებს ეს მუზა ვერ შეელია“-ო, მოსთქვამდა უკვე მიმწუხრს მიტანებული პოეტი.

ძველ, დაუვინყარ სიზმართა ნეტარზმანებებში „ლივლივებდა“ სინამდვილესთან ნიადაგ შეუთავსებელი, ყველასთვის თითქოს ძვირფასი და მაინც „უცნობი“ გალაკტიონის რომანტიკული სული. „არტისტული ყვავილების“ პოეტური თრთოლვა, როგორც მისი მენტალობის „მანიფესტაცია“, თვით უსასტიკესმა დრო-უმმაც ვერ ჩაკლა და დაადუმა. რამდენადაც შესაძლო იყო, მან უერთგულა ძველ ზემთაგონებას, ორთოდოქსობა კი, ალბათ, სხვა არაფერია. რუსმა სიმბოლისტებმა ესეც ვერ შეძლეს: ნაწილი მათი სამშობლოს სამუდამოდ გაეცალა, ნაწილი „ბოლშევიკთა“ რიგებში ჩადგა და დადუმდა, ხოლო წანილი ადამიანთა წამებაზე დაფუძნებული იდეოლოგიის მხატვრულ მესიტყვედაც კი იქცა.

გალაკტიონი, როგორც პოეტი და

პიროვნება კლასიკური განსახიერებაა ჰეგელის ფილოსოფიური კონცეპტითა, რომ ადამიანი სრული ანარეკლია მისივე „საქმიანობისა“. უნიკალური ტრანსცენდენციის „ნებითა“ და იმპულსებით იძერნება გალაკტიონის პიროვნულ-საზოგადოებრივი ხატი, მისი „არტისტიზმი“ თუ უჩვეულო შლეიფი გრიმასებისა. აქედანვეა მისი ნიღბების გალანტური ფერისცვალებანი. მისი სახით კიდევ ერთი გენიალური „მარგინალი“ იქცა თავისივე ნებით შექმნილი ცხოვრების დრამატურგიის პროტაგონისტად, რათა მტრულად მაყურებელი თვალისათვის დაემალა და გადაერჩინა მისი ერთადერთი სანუკარი სიმდიდრე – სულიერი თავისუფლება, ასე აუცილებელი ჭეშმარიტი პოეზიისათვის.

გალაკტიონის არაერთი პოეტური მედიტაცია სიზმრისეული „ესთეტიკითაა“ მოდელირებული. დამეული ფანტაზიები უნარმტაცეს მუსიკალურ ჰანგებად სუბლიმირდება და ლირიკული „გმირის“ ინსტინქტებს წარმოსახავს. ეს ის სიურეალისტური ტრანსია, რომელსაც ანდრე ბრეტონი აღიქვამს როგორც „არსებობის სულიერ წერტილს“, რომელშიაც სიცოცხლე და სიკვდილი, რეალური და ორეალური, წარსული და მომავალი, სიტყვა და დუმილი ანტინომიურ ცნებებად უკვე აღარ აღიქმებიან...“ გალაკტიონის პოეტური „ინიციაციების“ ანალოგად იაზრება უორჟ ბატაის რეფლექსიაც – სიკეთისა და ბოროტების, ტკივილისა და სიხარულის ანტინომიათა მოჩვენებითობაზე. ამგვარი ამბივალენტური ხილვები პოეზიის „პროვოკაციული“ მოდულაციების შედეგია და მისი მხატვრულ ცნობიერებაში სტრუქტურირება, გალაკტიონის რანგის „ეზოთერიკოსს“ თუ „მიეტევება“. მხოლოდ სულიერი დიაპაზონია ის კორელატი, რომლის ირგვლივაც ლაგდებიან პოეტის რჩეულ სიტყვათა „ლეგიონები“. მისი მაგიური ინტუიცია პირველი შეიცნობს ყოფიერების ფორმათა ცვალებადობას, მის ახალ სტადიაში გადასვლას. კულტურის პარადიგმათა სუბლიმაციის აუცილებლობას.

სწორედ ამგვარი ესთეტიკური და იდეოლოგიური რეფლექსირების ილუსტრაციაა „არტისტული ყვავების“ მოულოდნელი, სულის ენაში რეალიზებული პოეტიკა. ჰანგის უღერადობა აქიდებათა უნატიფეს მუსიკად გარდაისახა და „აიძულა“ აღმეტელი, ესთეტიკური ტკბობა რეფლექსირების თანამდევ აქტად ექცია. პოეზიის ემოციური აკორდი მასში ინტელექტუალური აღქმის ინგრედიენტია და მასთან ბოლომდე განდობის აუცილებლობითაა აღბეჭდილი. ამიტომაც არის აღიარებული ამ წიგნის ავტორი შემოქმედებითი ცნობიერების ახალი ფაზის დამამკვიდრებლად.

ლიტერატურული ტექსტის ორიენტირება სხვა კულტურათა ნარატივზე, ანუ სხვა და სხვა სტილისა თუ პოეტიკის ელემენტებით ე. წ. „თამაში“ ერთობ პიკანტური „ცდომილებაა“ მოდერნისა. ამგვარი ალუზიებით „შონგლირება“ არც გალაკტიონისთვის იყო უცხო და არაორგანიული. იგი დრო და დრო, საკუთარ პოეტურ ობუსებში, განსხვავებული კულტურული პლასტების ინკორპორირებას ახდენდა, ანიჭებდა რა მათ გამომსახველობის სრულიად ახალ კონფიგურაციას. ამ ტიპის პოეტური ქმნილებანი ერუდირებულ მკითხველზეა პროცესირებული და კულტურული მეხსიერების მაღალ ხარისხს ითვალისწინებს. ანტიკური, ბიბლიური თუ სხვა ისტორიულ-ლიტერატურული ალუზიებითა და რემინისცენციებით აღბეჭდილი მისი პოეზია უნივერსალურ ინტელექტუალურ წარმოსახვებს აძლევს დასაბამს. რაც შეეხება გალაკტიონის ხელრთვით „შესრულებულ“ ორნამენტულ სტილისტიკას, იგი სრულიად უნიკალური მოვლენაა ქართულ პოეზიაში. მუსიკის, ფერწერისა და ქანდაკების ესთეტიკით მოდელირებული მისი ლირიკული ვიზიონები თვისებრივად ახალ ეტაპს ქმნიდნენ ეროვნულ მხატვრულ ცნობიერებაში. სიტყვის ამგვარი უნივერსალიზაციიდან გამომდინარე, მისი ენობრივი დიაპაზონი პერმანენტულად ფართოვდებოდა ხელოვნების სხვა დარგთა სტილური ინგრედიენტებით.

გალაკტიონის ლინგვისტური არა-ბესკების ჯადოსნურ ხატოვანებას, მის ფერადოვან სემანტიკურ მოზაიკასა და სტილისტიკას მნიშვნელოვანილად სა-აზროვნო არეალის ის მულტიკულტურული გარემო განაპირობებდა, რომლის მიმართ იგი არასოდეს ყოფილა ინდიფერენტული.

კონცეპტუალური მნიშვნელობისაა შემოქმედის სრული „დამოუკიდებლობის“, მისი ეპოქის სულიერ „მონ-სტრთა“ გავლენებიდან განრიდებისათუ თავდახსნის თემა. ვირტუალური „ტირანიდან“ დისტანცირება იშვიათი „ფუფუნება“ იყო შემოქმედისათვის.

გალაკტიონმაც ნიკოლოზ ბარათაშვილისა თუ ევროპული მოდერნიზმის, ანუ ნიცშე-ვაგნერიანობასთან ასოცირებული ესთეტიკისაგან „გათავისუფლება“ არა ერთხელ სცადა, თუმც მათგან მაინც ბოლომდე ვერ „განიჩნინდა“. როგორც ჩანს, მისთვის, მისი სულიერი მენტალობისათვის, მათი მაგიური ექმუფრო ორგანული იყო, ვიდრე მაცდუნებელი.

„მერანის“ გენიალური ავტორის სულის ფილოსოფია და მასში განვითილი რომანტიკული „პეიზაჟები“, ანალიტიკური რეფლექსიები და მეტაფიზიკური მოტივაციები გალაკტიონის თანმდევ ინგრედიენტებად იქცა. რაც შეეხება ნიცშესა და ვაგნერის (ბოდლერისა და სიმბოლიზმის) მითოპოეტური ცნობიერების, როგორც კულტურული კატეგორიის აღქმას, იგი გალაკტიონის პოეტურ რეფლექსიათა ერთ მყარ პარადიგმად დამკვიდრდა. მათგან იმპულსირებული ლირიკული მედიტაციები „ირაციონალური“ ცნობიერების შედევრებად გარდაისახნენ და სრულიად ახალი სული შთაბერეს ეროვნულ პოეზიას.

საუკუნის „პროვოკაციულ ცდუნებებს“ ხელი არ შეუშლია მისთვის სრულყოფილად წარმოესახა საკუთარი იდენტობის ამრეკლავი სულის უნიკალური ქმნილებები და რაც მთავარია, შეექმნა განუმეორებელი მელოდიები... სიტყვათა მუსიკალური სილუეტების მომაჯადობებელი მოზაიკა. ლირი-

კა იყო მისთვის და მასში დროისა და სივრცის „მეუფე“, ნეტარი მარტოობის ზღაპრული „კოშკი“, საიდანაც ამაყად სჭვრეტდა აწმყოს ამაოებასა და მომავალს, მასავით გენიალურ „მარგინალთა“ ამ ერთადერთ რომანტიკულ „სამშობლოს“. უსასტიკესი კატაკლიზმებით აღბეჭდილი დროის სუსხი, ბუნებრივია, გალაკტიონმაც იწვნია. ამ შემაძრნუნებელი რეალობისაგანაცაა მისი როგორც ადამიანის აშკარად დარღვეული ფსიქიკური წონასწორობა, თვალშისაცემი „ლაფსუსები“ და არაკომუნიკაბელობა. აქედანვე მის ირგვლივ შეთხული ოდიოზური ლეგენდებიც. მისთვის, სრულიად ლოგიკურია, ყველაზე მტკიცნეული იყო ის, რომ ინგრეოდა და უჩინარებოდა ეროვნული სულიერება და მისგან იმპულსირებული იდეალები.

ჭეშმარიტად ბესტიარულ გარემოცვაში ცდილობდა იგი გაეცნობიერებინა არსებობის ფილოსოფია, შეეცნო ირგვლივ გამეფებული ქაოსი, როგორც საყოველთაო ფსიქოზისა და სოციალური სიდუხხირის მაპროვოცირებელი ძალა. ლოგიკურია ისიც, რომ სრულიად პარალიზებული საზოგადოების წევრი, თუნდაც პოეტი, ვერ აღასრულებდა სისხლიან რეჟიმთან მებრძოლის როლს. საგულისხმოა, რომ მას ამ დროს არც რომანტიკული „სიმღერების“ უამი უდგას, რადგან მშვენივრად იცის, რომ „რომანტიკა“ მხოლოდ უიმედო სულისთქმაა. ჯოჯოხეთური დროისათვის უქმიცა და სახიფათოც. მისთვის უალტერნატივო იყო, „აღმოეჩინა“ ახალ სააზროვნო ნიშანთა სისტემა, სემიოტიკური „რებუსი“, რომელიც ოფიციოზისათვის ბუნდოვანი ენით აირეკლავდა სინამდვილის ტრაგიკულ დრამატურგიას. რაც შეეხება მის წარსულსა თუ მომავალში ინტეგრირებას, ეს მისი პირობითად მეორე შემოქმედებითი პერიოდისათვისაა დამახასიათებელი. ასეთი იყო გალაკტიონის შემოქმედებითი ყოფიერების სტრატეგია... მის სულიერ გრადაციათა „ტრაექტორია“. სათანადო ლიტერატურული პრაქტიკაა საჭირო, რათა „გაუშინაურდე“ და გა-

უცხოების გარეშე განვლო გალაკტიონის სემანტიკური აბსტრაქციებითა და ლინგვისტური მოდულაციებით აღბეჭდილი პოეტური ტექსტები. თვით ის, მთელი თავისი სუბსტანციით, მხოლოდ მისივე პოეზია იყო. რაიმე სხვისათვის იგი უბრალოდ აღარც კი არსებობდა, აღარ „ვარგოდა“, აღარ „რჩებოდა“. ყველაზე უკეთ თვითონვე ითვალსაჩინობდა იმ კოლოსალურ გავლენას, რომელიც „თავს მოახვია“ თანამედროვეთა ფიქრსა და აზროვნებას.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ სრულიად განსაკუთრებულია გალაკტიონის სუბიექტივიზმი, მისი ფილო-სოფიური თუ ესთეტიკური აქცენტები, ფერისა და მელოსის ინტენსივობა. კულტურულ-ისტორიული ციტატებით, ალუზიებით, რემინისცენციებითა თუ სხვა ინტერტექსტუალური ვარიაციებით „მანიპულირება“ პოეტის სულიერების ფართო პორიზონტებს გადახსნის მკითხველის წინაშე. „დამეული ხილვების წარმოსახვისას, – წერდა ჯონისი, – ვგრძნობდი, რომ შეუძლებელი იყო მომებია სიტყვები მათ ჩვეულებრივ კავშირებში... რადგან ისინი, ამ შემთხვევაში, სრულიადაც არ გამოხატავდნენ ღამის საგნებს დინამიკაში, სხვადასხვა სტადიასა თუ გრადაციაში – ცნობიერში, ნახევრად ცნობიერსა და ბოლის არაცნობიერში. მივხვდი, რომ ბუნებრივი ურთიერთკავშირებით სიტყვებს ამის გადმოცემა არ შეეძლოთ“.

დიდი მწერლის ამგვარი რეფლექსიები საოცრად ახლობელი იქნებოდა გალაკტიონისთვისაც. ის, როგორც ქართული პოეტური აზროვნების ნოვატორი, სრულიად კანონზომიერად ინაწილებს XX საუკუნის კულტურის უდიდეს ავტორიტეტთა ღირსებას.

ესეიში – „პოეტი და დრო“ მარინა ცვეტაევა წერს: „ყოველ თანამედროვეობას ორი „კუდი“ აქვს – კუდი რესტავრატორული და კუდი ნოვატორული... და ერთი უარესია მეორეზე“.

ამოუწურავი და უსაზღვროა გალაკტიონის სულსა და გონებაში განვენი-

ლი თანამედროვეობის დიაპაზონი და იგი მარადისობისკენაა ორიენტირებული, მისთვის არსებოთად მხოლოდ დროა ისტორიის რეალური შინაარსი... მისი ერთიანი სინქრონული აქტი. გალაკტიონის პოეტური ხატი, როგორც „საგანთა სული“ და ცნობიერების კულტურის ნიშანი (სიტყვა-ფსიქეა), ადამიანის სუბსტანციის გამომხატველიცაა და მისი ხსოვნის ერთადერთი საიმედო თავშესაფარიც.

ლიტერატორთა თაობების განსჯის საგანი იყო გალაკტიონის პოეზიის ირაციონალიზმი. ერთი მიიჩნევდნენ, რომ იგი ოდენ მხოლოდ მეტაფიზიკური ტკბობისათვის იყო „განწირული“, ლიტერატორთა სხვა პოპულაცია სხვაგვარად ფიქრობდა და ცნობიერად იგე-მოვნებდა პოეტის ლირიკას. ირაციონალურის ტრიუმფისა და წმინდა ესთეტიზმის გალანტური „შლეიფი“ დღესაც არ „ჩამოსცილებია“ საუკუნის შედევრს – „არტისტულ ყვავილებს“.

ჭეშმარიტად უნიკალურია პოეზია, რომელიც „იდუმალი ლაბირინთებისა“ და სემანტიკური „მირაჟების“ მიუხედავად, ესთეტიკური ნეტარების საბურველში გხვევს და უპირობოდ გაღიარებინებს თავს გენიალურ ქმნილებად. გალაკტიონის სააზროვნო სტრატეგიის მიხედვით ხელოვნება (პოეზია) იდეალისტურ, მეტაფიზიკურ თუ რელიგიურ დომინაციათა შეხვედრისა და შერწყმის პოდიუმია, რომელიც ზეშთაგონების ფაზაში სუბლიმირდება სრულიად განსაკუთრებულ სუვერენულ სამყაროდ. მას არა მხოლოდ მახვილი ხედვა, არამედ ფანტასტიკური სმენა აქვს. ძნელია „აჟყვე“ და გრძნობა-გონებით შეერწყა მისი სუბიექტივიზმის მოულოდნელ მოდიფიკაციებს. თუმცეს ნეტარი „ტანჯვა“ კომპენსირდება სულიერი ტკბობის სრულიად განსაკუთრებული გრადაციებით. ადრეული გალაკტიონის პოეზიაში პრევალირებს არა მშვიდი ანალიტიკისა და ლოგიკის დისკურსი, არამედ „დესტრუქციულ“ იმპულსთა ფარული პარმონია. მხოლოდ მისთვის ცხადი თავისუფლებით

„თრობა“. იგი თითქოს შორეული სივრცეებიდან ეცხადება მკითხველს და ლექსის იდუმალებაშივე უჩინარდება. ტოვებს რა თავისუფალი ფიქრის იმპულსსა და უფლებას. გალანტური სულის თრთოლვის ექს, რომანტიკულის ნოსტალგიას. აღსარებისა თუ მონანიების, დაცემისა თუ აღორძინების სევდასა და პათეტიკას. თავისი აზროვნებითა და ყოფიერებით, იგი სულიერი „მოციქულის“ ტრაგიკულ ხვედრს ეთაყვანებოდა. აქედანვე იყო გამორჩეულობისა და ხალხის მეხსიერებაში „მწუხარე სახის რაინდად“ დამკვიდრების „იდეა-ფიქსი“.

პოეზია გალაკტიონისაგან ითხოვდა უსაზღვრო თავისუფლებას და აქედან გამომდინარე დრამატულ ბედისწერას, თავდავიწყებასა და ნებაყოფლობით მარგინალიზაციასაც კი. იგი იმ უშვიათესთაგანი იყო, ვინც თავისი განუმეორებელი ხმით შეავსო სივრცეთა შემზარავი სიცარიელე, ვინც პროვიდენციული აზრი მიანიჭა დრო-უამს, ამორფულსა და ბრუტალურ ყოფიერებას. ამიტომაც შეიმეცნება მისი ლირიკა საუკუნის საყოველთაო სისასტიკის მეტაფიზიკურ ალტერნატივად, აკრძალული სულიერების სემანტიკურ ექვივალენტად და ბოლოს, მარტოობის გენიალურ მეტაფორად.

ფრიად საგულისხმოა გვიანი გალაკტიონის სისადავე. ღრმად შეცნობილი უბრალობაა თითქოს ცხოვრებისაგან დალლილის უკანასკნელი ნავსაყუდელი. მისი ლექსების ცხადი სტილური რელიეფი ხახს უსვამს ყოფიერებისა და ხელოვნების ახლებური შემცნების სტრატეგიას და მისგან იმპულსირებულ ესთეტიკას. მისი ლირიკა უკვე საგნობრივი და ზუსტია, ანუ მხატვრული სახეები რეალური შეგრძნებიდან, ვიზუალური თუ აკუსტიკური აღქმის ცხადი იმპულსებიდან იშვება. მათში ხატი პირდაპირ იმეორებს რეალობას. მოვლენები თუ დეტალები „იძარცვებიან“ ნარსულის ასოციაციებისაგან და კულტურული ალუზიებისაგან, თუმც, მხოლოდ მის-თვის დამახასიათებელი მოდულაციები

და მაღალი სულიერი ენერგეტიკა კვლავ უზადოა და გენიალური პოეტური სტატუსისათვის ორგანული.

გალაკტიონისათვის ბუნება უნივერსალური ესთეტიკური კატეგორია, რომანტიკული კონოტაციებითა და საკრალური ნარმოსახვებით აღბეჭდილი და ამაღლებული. იგი ტრაფიალისა თუ ფილოსოფიური მედიტაციის მაპროვოცირებელიცაა, ცხადისა თუ ზმანებათა სახით რომ ჩნდება და უჩინარდება. რომანტიკოსების მსგავსად, მის პოეზიაში ბუნება სინმინდისა და სათნოების ტაძარია. ფერწერული ბრწყინვალებით აღბეჭდილი, იგი პოეტის ლირიკული მსოფლებანცდის სემანტიკური და ონტოლოგიური ვექტორია. და ვითარცა მისი დიდი წინამორბედნი, ისიც ტანჯული მარტოობის „ნეტარ“ ყოფიერებაში ჰპოვებდა ცოცხალი ბუნების გამოძახილს.

ინტელექტის რაოდენი მრავალწახნაგოვნებაა კონცენტრირებული გალაკტიონის ქმნილებებში. გავლილ-გატარებული მის უნატიფეს „სხეულში“. ყოველივე ამის შესწავლა სერიოზულ იმპულსს მისცემდა მისი სტრუქტურული ანალიზის ახალ მოტივაციებს. მისი პოეზიის სუბსტანცია ყოველ ეტაპზე იყო საოცრად მოწესრიგებული სისტემა, ეპისტემოლოგიური ცოდნისა და სემანტიკური ჰორიზონტების მკაცრად სტრუქტურირებული მოცემულობა. იგი უკვე გარდასულ, სულ სხვა ლიტერატურულ კულტურათა გამოპრწყინებაა და მისი ოდესმე გამეორება ნონსენსია. სამყარო, როგორც ლიტერატურის ობიექტი, სამწუხაროდ, დღეს თითქმის აღარც კი არსებობს. უნივერსალური, ონტოლოგიური ცოდნა ქრება ლიტერატურიდან და ის ახლა წარმოადგენს არა მიმეზისს, არამედ სემიოზისს, ანუ ტექსტს, რომელიც ლიტერატურული პრეტენზიის მიუხედავად, სრულიადაც არ არის ლიტერატურა. სამწუხარო ის არის კიდევ, რომ ეს პროცესი პროგრესირებადია და არა ეფემერული. ჭეშმარიტი ლიტერატურა ღრმად შეცნობილი ყოფიერების რეპრეზენტაციაა,

წარმოსახვაა იმისა, რაც უჩინარდება და მაღლდება ემპირიულ წარმოდგენებზე, რაც ივიწყება და მარადისობას შეერთვის.

დღეს, ესოდენ პოპულარული „ტექსტი“, ფაქტობრივად ენობრივ რესურსთა უსასრულობის წარმოსახვაა, ყოველგვარი ცოდნისა და სულიერი გამოცდილების გარეშე. ამ სამწუხარო პროგნოზირების თვალსაჩინო ილუსტრაციაა ლიტერატურის ის ბუნდოვანი „ლანდშაფტი“, რომელიც ჩვენ წინაშეა გადამლილი.

გალაკტიონის პიროვნული და შემოქმედებითი ინდივიდუალობა თავისი მაგიური ძალმოსილებით მიანიშნებდა საკრალურ გზას, გზას მომაჯადოებელს, სასტიკას და უსასრულოს, რომელშიც ერთმანეთს ერწყმოდა სინამდვილის ეფემერული სიკაშკაშე და მისტიკური ირეალობის დამატყვევებელი ბუნდოვანება. მისი პოეზია განერიდა ყოველივეს, რაც თხრობადია და რასაც პროზის თუნდაც ოდნავი სურნელი ახლავს. არც მწყობრი ფილოსოფიური კონცეფციებისადმია იგი „გულმოწყალე“. აღარაფერს ვამბობ პოლიტიკაზე, მისთვის ამ სრულიად უცხო „ქიმერაზე“.

რა არის არსებითი მის პოეზიაში?

სიტყვის განუმეორებელი ხიბლი, მუსიკა, მეტაფიზიკურ ხილვათა მელანქოლია, ირონიული „ნაივურობა“ და გალანტური ინფანტილიზმი. არის მის ლირიკულ შედევრებში ჯადოსნური შერწყმა სულისა და სხეულისა, სიცოცხლის პათეტიკური ვნებისა და არაამქევყნიური სიმწუხარისა, განცდა წამისა და მარადისისა. ნეტარი ერთიანობა სამყაროს უმაღლეს ჰარმონიასთან. მასში კონცენტრირებულია უღრმესი გამოცდილებანი, რაც ოდესმე შეუძნია ლირიკას – პოეზიის ამ უსათუთესა და მეგარეფლექსირებად უანრს. თანამედროვეთაგან საქართველოში ვერა-

ვინ შეძლო მასავით ყოფიერების იდუმალებათა ამეტყველება ენის იდუმალი „იეროგლიფებით“.

და კიდევ:

რომანტიზმის „გედის სიმღერა“, ანუ დაისი სიტყვის მაგით აღმატებული „სიმბოლიზმი“ იყო. ამ ეპოქალური მუტაციის გამოხატულებაა გალაკტიონი. მისი პოეზიით საქართველოშიც მთავრდება რომანტიკული სულიერების, მისი თეორიისა და პრაქტიკის ხანგრძლივი „დიქტატურა“. კლასიკურ გამოვლინებათა ძლევამოსილი ინერცია და მისგან იმპულსირებული მეტანარატივები. გალაკტიონი, როგორც სამყაროს დინამიურ პოეტურ კულტურათა ერთი გენიალური აქტორი, დიდი ინტელექტუალი და გენიალური ლირიკოსი – ასეთია XX საუკუნის ძლევამოსილი ქართული კულტურის ამ პროტაგონისტის ისტორიული ამპლუა.

იდუმალი და ფანტასმაგორიულია გალაკტიონის ცხოვრების დრამატურგიაც...

უშმურ სიზმრებად განცდილი ყოფიერების არითმიულ მდინარებას თვითმკვლელობის მისტერიამ დაუსვა საბედისწერო მრავალწერტილი...

ასე და ამგვარად გაცხადდა ტრაგიკული ეპოქისათვის ორგანული სტიგმა. ლრმა სიმბოლიკაა თითქოს პოეტის მიმწუხრის „სცენაში“ – დრო, სივრცე, ადგილი, დინამიკა ის მაპროვოცირებელი იმპულსებია, რომელთაც კიდევ ერთხელ უბიძგეს პოეტის თანმდევ „სიკვდილის აჩრდილს“, ან უკვე რეალურად ალესრულებინა და მარადისობის წიაღს ეზიარებინა ის, ვინც განუმეორებელ გამოსხივებებად აქცია სამყაროს ხილულ თუ უხილავ ეფემერათა ჯადოსნური სილუეტები. ვინც თავისი სულიერებით შეინივთა, ააღორძინა და განასრულა ერთი განუმეორებელი ეპოქა ეროვნული პოეზიისა.

## ნინო დარბაისელი-სტრონი

### გუმბათი უცნაური სასახლისათვის ანუ ომონიმური ჰროვა

მეგობარ კრიტიკოსებს არა-ერთხელ უთქვამთ ჩემთვის, და-ანებე თავი საკუთარი ლექსების განხილვას, გვაცადე, იქნებ ჩვენ გვაქვს რაიმე სათქმელიო. ამ ოცი-ოდე წლის ნინ ბ-ნმა ტარიელ ჭანტურიამ მცირე წერილიც კი გამოაქვეყნა ამის თაობაზე – ნინო დარბაისელი, როგორც პოეტი, თვითკრიტიკით, საკუთარი შემოქმედებითი ლაბორატორიის ასე გამოაშკარავებით საჯარო ჰარაკირს მიმართავსო (მეპატიოს, ციტატა თუ ზუსტად აღარ მასოვს, წერილი კი ნამდვილად გაზეთ „24-სა-ათში“ იყო).

ტარიელ ჭანტურიასადმი ჩემი დიდი მოკრძალებისა და სიყვარულის მიუხედავად, ეს ჩვევა დღემდე ვერ მოვიშალე და მეტიც, თვით სა-კუთარ ლიტცოდნებით გამოკვლევებსაც კი კრიტიკოსის დაუნდობელი თვალით ვკითხულობ.

იყო დრო, რომ თავად ვიყავი აღტაცებული ჩემი წერილით, რომელიც 2010 წელს ჯერ მოხსენებად წავიკითხე ლიტერატურის ინსტიტუტის რომელიდაც სამეცნიერო სესიაზე, მერე კრებულ „გალაკტიონოლოგიაშიც“ გამოკვეყნდა და შეეხებოდა გალაკტიონის ერთ ლექსს „არტისტული ყვავილებიდან“, კერძოდ – „უცნაურ სასახლეს“.

ახლა ინტერნეტში შემხვდა, უცხო თვალით ვნახე და რაღაც უკმარისობის გრძნობა დამიტოვა. გავიფიქრე, ასე



ხომ აღარ დავწერდი-მეთქი. მიზეზი არ ვიცი – ან ასაკმა შემძინა მეტი თვით-დაჯერებულობა, ან საკითხისაგან დისტანცირებამ. არც ისაა გამორიცხული, რომ ეს თვითდაჯერებულობა უსაფუძვლო იყოს. გალაკტიონთან დიდი სიფრთხილეა საჭირო, თითქოს დანაღმულ ველზე უნდა გადაიარო.

პირდაპირ საქმეზე!

რა არ მომენტონა: მომეჩვენა, რომ ფრაგმენტულია, დაუსრულებელი, არა-თანმიმდევრული. საკვლევი მასალის არედან გარეთ გავდივარ და ისეთ სფეროს ვეხები, სხვა, ჩემამდელ მკვლევართა კვალად, რაც შეიძლება თავისთავად საინტერესოც იყოს, მაგრამ არ ჩანს

რელევანტური გალაკტიონის თეზაურუ-სისათვის. მეტისმეტად ახლოდან ვუჭ-ვრეტ საკითხს და დიდი სურათი ამის გამო ხელიდან მეცლება.

რა მომენტისა: ლოგიკისა და ინტუ-იცის წყალობით, ძირითადი ხაზი სა-დამდეც მიდის, სწორადაა გაყვანილი (მაგრამ, ჩემი ფიქრით, რაღაც მნიშ-ვნელოვან ეტაპზე წყდება), მსჯელობის მანერაც ზოგადად არ დაიწუნება. ენა ორნამენტიკისაგან განტვირთულია და კვლევის საგანს მისდევს, ანუ ძირითადი სენი ჩვენი ლიტერატურული ტრადი-ციისა – ჭარბსიტყვაობა – დაძლეულია.

როგორ შევავსებდი, დავაბოლოვებ-დი, ანუ, როგორც ჯემალ აჯიაშვილი იტყოდა, „მოვაგუმბათებდი“ ახლა?! ვიტყოდი, რომ „უცანური სასახლე“ გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ „რითმათა სასახლე“ (თ. ბარბაქაძე, ვიდ-რე „ტკბილ ხმათათვის“ შექმნილი ლექ-სი (ი. კენჭოშვილი „ან თუნდაც „ომო-ნიმთა სასახლე“ (აღარ მახსოვს, ასე მე ვუწოდე სადღაც თუ სხვამ) ან რაიმე საძირკველი, გაჭრილი „ნიკორწმინდას-თვის“ (ნინო დარბაისელი), „სასახლეთა ჩამონათვალიდან“ ხომ არა და არ გა-მოსატოვებელი ლექსია (ზ. შათირიშვი-ლი)... და ა.შ.

ეს ლექსი, ჩემი აზრით, არის „არ-ტისტული ყვავილებისა“ და ზოგადად გალაკტიონის სიმბოლისტური და ვი-ანსიმბოლისტური, ანუ, როგორც მე ვუწოდებ – ნასიმბოლისტარი პოეზიის ერთ-ერთი მთავარი ესთეტიკური გასა-ლები! რას ვგულისხმობ სიტყვაში „ნა-სიმბოლისტარი“?

ალბათ, სადმე ავხსნიდი კიდეც, მაგ-რამ აქ მარტივად ვიტყვი. ეს რაღაც „ნაარისატოკრატალივითაა“ ჩემთვის. იყ-ვნენ საბჭოთა პერიოდში, ჩემს დრომ-დე ჯერ კიდევ შემორჩენილი დიდებული ნარმოშობის ადამიანები, რომელთაც საბჭოთა სინამდვილეში კი უხდებოდათ ცხოვრება, მაგრამ ძველი შინაგანი ნა-თება მაინც მოსდევდათ, რაღაც არსობ-რივი, მათგან მუდმივად რომ გამოსჭვი-ოდა. ასეა გალაკტიონის ე.წ. საბჭოური ლექსებიც, შინაგანი არისტოკრატიზმი, პოეტური სახეთქმნადობის მაღალი გა-

მოცდილება, სიმბოლიზმია რომ შესძინა მის შემოქმედებას, უცებ ისეთ ადგი-ლებში ავლენს თაგს, სულ რომ არ მოე-ლის მყითხველი, მაგრამ ეს უკვე, თუმ-ცა მიმზიდველი, მაგრამ მაინც სხვა, შემდგომი საუბრის თემაა.



ჯერ გავიხსენოთ ლექსი იმ სახით, როგორც „არტისტულ ყვავილებშია“ შეტანილი! ამას ხაზგასმით აღვნიშნავ, რადგან ყველა შემდგომ გამოცემა-ში, დაწყებული „ზარნიშიანი წიგნიდან“ (1927) პოეტი მისი მუდმივი გამარტივე-ბის (არა-სრულყოფის!) გზით მიდიოდა და ვერსიათა შედარება აქ ბევრს არა-ფერს მოგვცემს ჩვენი მსჯელობისათ-ვის. დაე, ამაზე ტექსტოლოგებმა ან იმათ ისაუბრონ, ვინც ვარიანტთა შორის განსხვავებულობის მხატვრულ-კონცეპ-ტუალური საკითხების შესწავლით და-ინტერესდება (თუ ეს საქმე ჩემს უცოდ-ნელად უკვე გაკეთებული არ არის).

### უცნაური სასახლე

ამნაირი დარებით,  
კიდითკიდე დარებით  
ფერის ფერთან დარებით –  
შენობების შენება.

ცამაც ქარვად მიქარვა  
და ოცნება მიქარვა,  
მწუხარებათ მიქარვა...  
მტანჯავს მე უშენობა!

მან კოშკების ამალა  
ხან ეთერში ამალა,  
ხან ქარივით ამალა,  
გაქროლება ანაზდა.

ცვივა ლურჯი ფარული,  
მოგონება ფარული,  
ფართან ლანდი ფარული  
და ბალები განაზდა.

ყველაფერი სადაა,  
მაგრამ მითხარ, სადაა,  
ის, რაც ალერსადაა:  
ტრიანონი, შირაზი?

ველი წამით ნაწამებს,  
პოეზიით ნაწამებს,  
რასაც იტყვის ნაწამებს  
ფიქრი ამ სიხშირეზე.

დასთა უცხო დასობა –  
თვალთა ქროლვით დასობა  
ხანჯლის გულში დასობა...  
გულში, გულში ტარება.

ელვარება ამიდის,  
ანთებული ამიდის  
და ფიქრები ამიდის  
აღარ მომეკარება.

შადრევნებმა ათასმა  
ლაუგვარდები ათასმა,  
მარმარილომ და თასმა  
სამუდამოდ დარეკა.

ყრუ ოხვრით და ზარებით,  
იდუმალი ზარებით,  
განტევება-ზარებით  
და ვედრებით: ჰარიქა!

ცვივა ლურჯი ფარული  
მოგონება ფარული,  
ფართან ლანდი ფარული,  
აჩონჩხილი შენობა.

ცამან ქარვად მიქარვა  
და ოცნება მიქარვა,  
მწუხარებათ მიქარვა:  
მოქმლავს მე უშენობა!

ვისაც ამ ლექსის თაობაზე ჩემი ად-  
რინდელი წერილის ინტერნეტ-ვერსი-  
ის ნაკითვა დააინტერესებს, მარტი-  
ვად რომ დაგუგლოს ლექსის სათაური,  
უცებ იპოვის.

●  
ამ ლექსში გაშლილად, ღიადაა ექ-  
სპლიცირებული, პოეტურად წარმოდგე-  
ნილი გალაკტიონის სიმბოლისტური ეს-  
თეტიკის ერთ-ერთი და არა ერთადერ-  
თი მთავარი გასაღები, (დანარჩენებზე –  
სხვა დროს!).

თავის დროზე დიდი ვნებათლელვა  
გამოიწვია გალაკტიონისულმა გამო-  
ნათქვამმა „ეფემერადან“ – „ლექსთა

შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტეგრალები“  
(არსებობს ნახევარი საუკუნის წინ გა-  
მოცემული უზარმაზარი, ესეისტური  
წიგნიც მიხეილ კვესელავასი „პოეტური  
ინტეგრალები“ (არ ვიცი, ახლიდან თუ  
კიდევ გამოვიდა).

ინტეგრალების საკითხს გალაკტიონი  
მრავალი წლის მანძილზე უტრიალებდა,  
მოგვიანებით, ესაუბრებოდა ამის თაო-  
ბაზე დიდ ქართველ მათემატიკოსებს.  
ჩემი ფიქრით, ამაოდ ეძებდა თეორიულ  
დასაყრდენს იმისას, რაც თვითონ გენი-  
ალურ პოეტურ ინტუიციაზე დაყრდნო-  
ბით, გაცილებით ადრე, პრაქტიკულად  
უკვე განხორციელებული ჰქონდა „არ-  
ტისტულ ყვავილებში“, სხვა სიმბოლის-  
ტური პოეტიკისათვის დამახასიათებელ  
ხერხებთან კომპლექსში. საქმე ისაა,  
რომ სრულიად სხვაა ინტეგრალის/ინ-  
ტეგრაციის ცნება მათემატიკაში და სხ-  
ვაა – ინტეგრირების მეთოდი, რომელ-  
საც ახალგაზრდა გალაკტიონმა მიაგნო  
და აქტიურად გამოიყენა „არტისტულ  
ყვავილებში“ (1919). ჩემი აზრით, სრუ-  
ლიად ფუჭია აქ მკვლევართა მიერ რე-  
ალური შეხების წერტილების ძიება მა-  
თემატიკასთან. რატომ?!

„ინტეგრალებისადმი“, როგორც სა-  
კუთარი სიმბოლისტური ხერხისადმი,  
რომელსაც სახელიც თავად შეურჩია, –  
გალაკტიონისული მიდგომა – ესწრაფ-  
ვოდა არა რაიმე ელემენტთა უმცირეს  
მათემატიკურ ელემენტებად დამლას,  
ანალიზს, არამედ სწორედაც, პირუკუ  
– მრავალმნიშვნელოვანი (ან გალაკტი-  
ონის მიერვე გამრავალმნიშვნელოვანე-  
ბული) ელემენტების – სიტყვის, სახის,  
პოეტური კონცეპტის სხვადასხვა მნიშ-  
ვნელობათა, პლანთა ერთ, უფრო  
დიდ ერთეულში, გამონათქვამში ინტეგ-  
რირებას, ანუ ინკორპორირებას, სინ-  
თეზს (ქართულად ეს იქნება – ცალკეუ-  
ლის შეერთება, შერწყმა რაიმე დიდში?).

არ ვიცი, აქ რამდენად მკაფიოდ გა-  
მოვავეთე სათქმელი, მარტივად რომ  
ვთქვათ, აქ ორი, საპირისპირო, ქვე-  
მოთ და ზემოთ მიმართული ვექტორია  
და ზემოთა – გალაკტიონის პოეტიკის  
კუთვნილებაა. ასეთ გზას შედეგად აუ-  
ცილებლად მოაქვს ტექსტის სიმბო-

ლისტური გაბუნდოვანება, გაბურუსება, გაიდუმალება, რადგან რეციპიენტის წარმოსახვა ლიმიტირებულია. იგი ერთდროულად ყველა მნიშვნელობას ვერ აუვა, ვერ მოიხელთებს და მის აღქმის გარეთ დარჩენილი მნიშვნელობანი ქმნიან სწორედ ბუნდოვან, იდუმალ ველს. თუ ეს უკანასკნელი ახლა იმავე ტექსტის სხვა მნიშვნელობათა კომბინაციაზე გადაერთვება, წინა აღქმა იქცევა ბუნდოვან ველად და ა.შ.. ანუ როგორც ეს „უცნაურ სასახლეში“ გვაქვს.

თუ გავიხსენებთ რ. ემერსონის სიტყვებს: „მიღმიერი, მიუწვდომელი და სულიერი რეალობაში არა პირდაპირ, არამედ ბუნების მინიშნებათა ენით გვეძლევა. პოეტმა მთელი ყურადღება უნდა მიაპყროს ბუნებას“ და შევეცდებით, გალაკტიონის სიმბოლისტურ პოეტიკას მივუსადაგოთ, ალბათ, ბუნების ადგილას, უფრო გამართლებული იქნება კულტურა ჩავსვათ. გალაკტიონი და-სავლურ კულტურას მიაპყრობს ყურადღებას, უხამებს რა მას ტრადიციულ-ქართულს და მათი გადაკვეთის წერტილიდან, ბუნებითი კოდების ნაცვლად, იდუმალებისკენ გზას ამ კულტურული კოდებით იკვალავს.

მოგვიანებით, პირობითად 1938 წლით დათარიღებულ ლექსში „პოეზიის ინტეგრალები“ გალაკტიონი თითქოს არეზიუმირებს, აჯამებს საკუთარი შემოქმედებითი ხერხით მიღწეულ შედეგებს და ამბობს:

ლურჯ ფანჯრებს იქით, ოცნებაო, სიმძლავრით დგება  
სამშობლოს ჩემის ხმაურობით  
სავსე ცხოვრება.  
მე კი ვუზივარ ისევ წიგნებს,  
ვებრძვი ყოველ წუთს,  
ვებრძვი და ვიბყრობ მასალათა  
სიმძლავრეს ჯიუტს.  
როცა უბრალო სიდიდეთა  
რჩება რკალები,  
უმაღლესი გზა წინ მეშლება:  
ინტეგრალები.  
რთულ ინტეგრალებს მე ვადარებ  
ეხლა მეორეს,  
მსგავსებას მათსა და პოეტის

ცხოვრებას შორის;  
მას ხომ ჯერ ისევ ბავშვობის დროს,  
დიდი ხნის წინად,  
სიტყვებთან ბრძოლა და დაძლევა  
ჰქონია უინად.  
ეხლა კი მის წინ გაიშლება  
ფერნაალები –  
უმაღლესი გზა – პოეზიის  
ინტეგრალები!  
ინტეგრალები! სიმებს მარად  
ესახსოვრება  
სამშობლოს ჩემის ხმაურობით  
სავსე ცხოვრება.

[1938]

„როცა უბრალო სიდიდეთა რჩება რკალები“ – ეს – მეტაფორული გამონათქვამია და ძალზე მცირე უდევს საფუძველში იმისათვის, რომ გამონათქვამის მხოლოდ მათემატიკურ ენაზე ახსნა ვცადოთ (უბრალო, ბრალის არმქონე, უბრალო, მარტივი, ჩვეულებრივი). მე ვიტყოდი, ინტეგრირების მისეული ხერხი გალაკტიონს აქაც აქვს გამოყენებული. თუ მაინც მოინდომებს ვინმე, მათემატიკისა ან მათემატიკით გატაცებული ამ მომენტის ინტეგრალებისა, აუცილებლად მოუწევს გალაკტიონისეულ ტექსტზე ძალადობა, თვალის დახუჭვა, „თვალთა დასობა“ (გალ.) იმ მომენტებზე, რომელიც ვერ იხსნება წმინდად მათემატიკურ ენაზე. მაგალითად, რა არის „რკალები“? ასეთ ტერმინს ამ კონტექსტში მათემატიკა არ იცნობს, თუმცა სკოლიდან მაინც ყველას გვახსოვს, რომ წრენირის ნებისმიერ მონაკვეთს რკალი ეწოდება, მაგრამ იქნებ „ასახსნელად“ გავიხსენოთ გალაკტიონისავე „მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა, მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება“ – რკალი-კამარა?



თითქოს საკითხის ახლოს და ირგვლივ კი მიმოვიქცევით, მაგრამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს მაინც ჯერ არ შევხებივარ: – მაინც, რაში მდგომარეობს გალაკტიონის მიერვე „ინტეგრალები“ წოდებული მეთოდის საიდუმლო? გალაკტიონის პოეზიისა და მისი შეცნო-

ბის მსურველთა ნაწერების კითხვისას ადრევე ერთი რამაა აშკარად საცნაური:

ამა თუ იმ სახეზე, ჭაებზე, პოეტურ კონცეპტზე და ა.შ., მოკამათენი ცალ-ცალკე შემთხვევათა მნიშვნელოვან ნა-ნილში, შესაძლოა, მართლებიც იყვნენ, მაგრამ ერთის სიმართლე მეორე მხარი-სას არ აუქმებს, არ გამორიცხავს. ასეთ დროს მეჩვენება, ამის შემხედვარე გე-ნიოსის აჩრდილი სადღაც მიღმეთიდან როგორ იღიმება. რატომ? საქმე ისაა, რომ „უცნაურ სასახლეშიც“ და მთლი-ანად „არტისტულ ყვავილებშიც“ პოეტი თავად, საგანგებოდ ირჩევდა იმგვარ მრავალმნიშვნელოვან, ომონიმურ სიტ-ყვებს, გამონათქვამებს, რომ მისი პო-ეტური სახეები ერთ მნიშვნელობამდე არა და არ დაყვანილიყო.

ვინმემ რომ მოინდომოს და მარტი-ვი სტატისტიკური მეთოდი მოიხმოს „არტისტული ყვავილების კვლევისას“, უთუოდ გამოვლინდება, რომ ამ პო-ეტურ კრებულში, რომლის ბადალიც აგერ, საუკუნეა, არაფერი შექმნილა ქართულ პოეზიაში, ყველაზე მეტი ომო-ნიმური, პოლისემური, პოლისემანტური, პოლივალენტური სიტყვაა გამოყენებუ-ლი. არც მანამდე, თვით ძველ ქართულ პოეტურ ტექსტებში, არც გაღარებიონის დროს და არც მომდევნო ხანაში მსგავს მაგალითს ქართული პოეზია არ იც-ნობს. არ იცნობს ამ სიჭარბეს ომონიმ-თა თუ პოლისემანტური სიტყვებისას თვით გაღარებიონისავე სხვა პერიოდე-ბის ლირიკა.

რაც შეეხება საკუთრივ „უცნაურ სა-სახლეს“, ჩემი აზრით, გაღარებიონმა გა-მოიყენა ერთი პოეტურ-რიტორიკული ხერხი, რომელსაც სამუშაო ტერმინად, „ომონიმურ პრიზმას“ ვუწოდებდი და რომლის უმაღლესი მწვერვალიც მოცე-მულია სწორედ ამ ლექსში. როგორც ამ ლექსიდანაც, პოეტი დამატებით მნიშ-ვნელობათა შესაქმნელად არცთუ იშვი-ათად მიმართავს იმერიზმებსაც (ამიდი-ამინდი). არ ერიდება უჩვეულო, „არა-ლიტერატურულ“ სიტყვათწარმოებასაც (ლაუგარდები ათასმა), რომლის პოტენ-ციაც ენას კი გააჩნია, მაგრამ მანამდე არ დასჭირვებია და არ გამოუყენებია.

სხვათა შორის, ადრეული ასაკის ბავ-შვების მეტყველებას ახასიათებს ასეთი რამ: ანალოგურობის პრინციპით ახალი სიტყვათწარმოებანი. ეს ორი მოვლენა გარეგნულად ერთმანეთს რაღაცით წა-აგავს, მაგრამ არსობრივად, სავსებით იდენტური არის თუ არა, ამისი პასუხი უფრო საფუძვლიანად ენათმეცნიერებს ან ფსიქოლოგებს ეცოდინებათ.



აქ ერთი ფრთხილი ვარაუდიც მინდა გამოვთქვა: ეს შეეხება ლექსის სათა-ურს – „უცნაური სასახლე“.

ოცნების სასახლე, ალბათ, ყველა ადამიანს აუგია წარმოსახვაში, ზოგს ოცნება რეალობადაც უქცევია. გავიხ-სენოთ მათგან ყველაზე ცნობილები: ანტონი გაუდისა – ესპანეთში, ფერდი-ნანდ შეგალიესი – საფრანგეთში, მაგ-რამ გალაკტიონის მკვლევრებს მრავალ-გზის შენიშნული აქვთ, რომ იგი თავის შემოქმედებას ყოველთვის ქართულ ტრადიციაშიც უძებნის რაღაც დასაყ-რდენს. ხომ არ არის ამ სათაურში ვაჟა-ფშაველას ალუზიაც? კერძოდ, ეს პასა-ჟი „ცრუპენტელა აღმზრდელიდან“:

„სადღაც უცნაურს ადგილას ვიყავ. უცნაური სასახლე იდგა, სულ ბროლისა, მინისა, დაბლა დედამინა და ხეები მის გარშემო და ხეები მის გარშემო ათას-ფერად ყვაოდნენ, სურნელებით კაცსა ბნედდნენ. ისმოდა საოცარი ჟივილ-ხი-ვილი ათასის ჯურის ფრინველთა, სა-და ჰნახავთ ცხადში ასეთს ფრინველებ-ნისა... იყო სახლის ეზოში მარმარილოს აუზები და შადრევნები ამოდიოდა, შიგ გედები დაცურავდნენ... ეს საკვირველი სახლი საკვირველად იყო გამართული. ჭერი როცა უნდოდათ, გაიხსნებოდა და დაიხურებოდა...“

მოხმობილი შეკვეცილი ციტატიდან, გარდა უცნაური სასახლისა, ვაჟასეუ-ლი აუზები, შადრევნები, გედები – პი-რადად მე გაღარებიონის „არტისტული ყვავილების“ იმაგინაციური სივრცისკენ და მისი კონოტაციებისკენ, სახეთა მრა-ვალმნიშვნელობისკენ მაპრუნებს“,

ჩვენთვის საინტერესო ლექსში ომო-ნიმურ რითმებად სწორედ მრავალ, სამ-

მნიშვნელოვანი სიტყვებია გამოტანილი (ფარული, სადაა, ნაწამებს, დასობა, ამიდის, ათასმა, ზარებით ფარული და მიქარვა). ამას გარდა, თვით ამ პოეტური ტექსტის „არასარითმო“ ნაწილშიც, ასე ვთქვათ, „გაუშლელი“ ომონიმებია (ფართან, ველი, აჩონჩხილი, ქარვად), ანუ ცამეტი ერთ ლექსში! ასე მიიღწევა ძირითადი ეფექტი, რომელიც პოეტის საოცნებო სასახლეს „აუცნაურებს“, ანუ იწვევს ინტერპრეტაციათა სიმრავლეს, სხვადასხვაგვარად ნარმოგვიდგენს მას.

ნათქვამის საილუსტრაციოდ შემეძლო ნიმუში უნინდელი წერილიდან გადმომეტანა, მაგრამ რომ არ გავიმეორო და არც იმედი დავკარგო, რომ იმასაც გაეცნობით, აქ სიმარტივისთვის ერთ განყენებულ მაგალითს შემოგთავაზებთ:

ავილოთ უმარტივესი, ორსიტყვიანი წინადადება, რაიმე სინტაგმა, რომელში შემავალი თითოეული სიტყვა ორმნიშვნელოვანი იქნება, მაგალითად,

1. მალა – ზმნა მან ის (კაცმა ჭირი).
2. მალა – ხერხემლის ნაწილი.

და

1. ექო – ზმნა მას ის (რამდენიც გინდა, ექო).
2. ექო – არს. სახ (ექოს გამოსცემს, აბრუნებს).

(შეიძლებოდა „აქო“ – შექება, სხვათა ნათქვამის ო-იანი ადგილის გარემოება, მაგ. მითხრა, დადე აქო.)

მალა ექო ან ექო მალა – შემდეგ ვარიანტებს შექმნის სულ ოთხს:

11

12

21

22

ახლა „გავაშინაარსიანოთ“ ციფრული ბლოკები:

ა. 11 (კაცმა) მალა, ექო სურდა ( შექება უნდოდა).

ბ. 12 (კაცმა) მალა ექო (უკან დაბრუნებული ხმა).

გ. მალა (ხერხემლის ნაწილი) ექო ( ზმნა – ერთ კაცს სურდა)

დ. მალა (ხერხემლის ნაწილი) ექო (ხმა – გაახსენდა მალა, ექო გატყდა, როგორც მალა, ექო).

თეორიულად რომ დავუშვათ ასეთი შესაძლებლობა, შევადგინოთ, მაგალითად, სამწევრიანი მარტივი წინადადება ისე, რომ თითოეულ სიტყვას სამი მნიშვნელობა ჰქონდეს, შინაარსობრივ კომბინაციათა რაოდენობა, იცით, რამდენი გამოვა? – ოცდაშვიდი!

111 112 113

121 122 123

131 132 133

.

211 212 213

221 222 223

231 232 233

.

311 312 313

321 322 323

331 332 333

პირადად მე შედგენილი მაქვს თავ-შესაქცევი სავარჯიშო ამ ვარიანტებიდან რამდენიმეს გამოყენებით, მაგრამ, მეეჭვება, არათუ ქართულ, არამედ რომელიმე სხვა ენაზე იყოს შესაძლებელი ამ თეორიული სქემის სრულად რეალიზება.

ვფიქრობ, გალაკტიონის „უცნაური სასახლის“ სახით, მოცემული გვაქვს ის მაქსიმუმი, რაც ამ მხრივ ქართულ პოეტურ მეტყველებაშია შესაძლებელი.

დასასრულ, როგორც ამ ლექსის შესწავლა მარნმუნებს, არა მხოლოდ „არტისტული ყვავილების“, არამედ ამ კრებულის შემდგომი ლექსების კვლევა-ინტერპრეტირებისას მართებულია არა რომელიმე, თუნდაც ლექსში არასრულად დაფიქსირებული მნიშვნელობის გამორიცხვა, რაც თავისებურ, ხანგრძლივ ტრადიციად დამკვიდრდა ჩვენში, არამედ მნიშვნელობათა თანაარსებობის, ერთობლიობის, როგორც ავტორის მიერ გამიზნული სიმბოლისტური პოეტიკის პრინციპის გათვალისწინება.

## გიორგი ბალახაშვილი



გზად (გულაურისაც)

მთები წვებიან, რომ გასცდები ბიჩნიგაურებს,  
ჩინთს და არანისს დეკემბერი ბინდში გაურევს,  
არსაით მიღის. სიმდორეა. განა სად წავა,  
ვრცელი ჟინვალის უყინავი, უხმო საცავი?  
მთებიც უდრეკად დაჲყურებენ, ხშირად მიგრძვნია,  
არას დიდებით, არას ძალით ჩქამს არ იძვრიან  
და ეს სიჩუმე, ზოგჯერ ხდება, ისეც ხმაურობს,  
როგორ არ უნდა გაოცდეს და გეუცნაუროს?

ქათიბი

გახე,  
ხეობას დარიალის:  
მყინვარი.  
ძირში – თერგი.  
ივლისი ისე მალე არის...  
ასეთი ბედი გერგო.  
მინდორი ოქროს ქათიბია.  
ბალახზე ცვარი ზის.  
ნეტამც,  
სულ ცოტას  
გათიბავდე.  
ნეტამც,  
ჩასვლამდე მზის...

## ჰყოებო

წამოდი ტბის პირას. ისლებში ჭყიმპოა,  
ჩვენ რომ ბავშვობაში ვეძახდით ჩიბუხას,  
ამ ერთხელ აგვისტოს ცაც წამოიქუხებს,  
იჩქარე. დავასწროთ და ჭყიმპო ვიპოვოთ,  
ბრიალა თვალებით და წვრილი ნისკარტით,  
თავიდან-ზურგამდე დაყრილი

ნ

ი

ნ

ნ

პ

ე

ბ

ი

თ...

ვიდრე გადაფრენის სეზონი იწყება,  
ვიდრე არ გაისმა ღრუბლებში დისკანტი:  
მეხი ვარ! კლაკნილი ხაზებით გასერვის  
მე ხილვა მექნება უმთვარო, მღვრიე ცის,  
წამოდი, დილიდან სიგიჯეს მივეცეთ,  
სიზმრებში ბავშვებად დარჩენას, ასევე,  
მივაგდოთ ცოტა ხნით სიმძიმე ყოფითი  
თუ არაყოფითი ფიქრის და წავიდეთ,  
გახსოვდეს, დუნიას ვერ მოვალთ თავიდან,  
არც იქ გველოდება საჩრდილოდ კოპიტი  
და სანამ ისლიდან აფრინდნენ ღალლებიც,  
წამოდი ტბის პირას, წამოდი, ავლელდეთ!

## მანდალა

გახსოვდეს: ოდესმე, სპილენძის ქვიშები  
გადაიქცევიან მზეთა მანდალებად,  
სიზმარში რომც გაკრთეს ასი მოლანდება,  
გთხოვ, მშვიდად იძინე და ნუ შეშინდები,  
დახატე: გოგონა უწყლო აუზთან,  
ოქტომბრის შემოსვლა ამცნე და აუწყე.  
მოპარე დედოფალს კვერთხი და ტიარა,  
იქნება ბეღელშიც მიაგნო კარდამონს,  
ან იქნებ გოლგოთას გაუდგე, კი არა,  
თავადაც ჯვარს ეცვა, თავადაც გარდამო-  
სხნაზედაც დაფიქრდე და უხსნად ყავაზე,  
ან იქნებ, უბრალოდ, დარაბა დარაზო.  
ისმინო მუნჯების სიმღერა და ტაში,  
კლიმტივით დახატო მძინარე ივდითის  
შავი თმა, ღიმილი და ყელის სიყვითლე,  
მიაგდო ფუნჯები, ზეთი და იაგდტაში.  
უწყლოო აუზთან დატოვო გოგონა,  
თავად კი ქვიშნარში იონჯა მოკონე.

## ჩაბას სახლი

ასე, სოხუმიც გვავინყდება, გაგრა ნელდება,  
მორიგი ღამეც უსათუოდ გაგრანელდება,  
იქ, უპატრონოდ დარჩენილი ენგურის ხიდი,  
გადაფრინდება ამ ერთხელაც პატარა ჩიტი,  
ხიდან ხეზე და გადასცდება სული-სამანებს,  
სადაც სურნელი დაიფრქვევა იასამანის,  
ერთი მეორეს ეკრობიან მიკიოტივით  
და ილიმიან საზღვრისმცველი იდიოტები,  
შენ კი, გუშინაც დაგესიზმრა ჩრდილი-პალმების,  
მშვიდობისმყოფელთ მედიდურად მიესალმები,  
გადახვალ ხიდზე, გამძაფრდება სუნი ციტრუსის,  
მეტს ვერ მოითმენ, პირველივე ხეს აეტუზე,  
რომ მონატრებით გადალლილმა ჩუმად იტირო:  
იქნება დაგხვდეს ჩამბის სახლი. ძველი. ქვითკირის...

## ახილება

ახირებაა, მოგონებებს ადგილს უცვლიდე,  
სახელს უცვლიდე უნიათოდ ყველა ადრესატს,  
შემდეგ ბავშვივით ყველაფერი იუკადრისო  
და მიატოვო ჩანასახში ანუ მუცლადვე:  
დღეები. გზები. სიყვარული. კოცნა. სიგიჟე.  
საკუთარ თავთან აღარავინ უნდა მიუშვა.  
ახირებაა, გულისწყრომით წარსულს ქექავდე,  
ფუჭად ეძებო გამოსავლის ყალბი ვერსია,  
რადგან შენამდე ახლა ასი წყრთა და ვერსია,  
რადგან შენამდე ახლა არის ასი დეკადა:  
მანძილი. სივრცე. ჰორიზონტი. პოლიგონები.  
ჩემი თითებიც აღარასდორს მოგიგონებენ.  
ახირებაა ცუდი სიზმრის წყლისთვის მოყოლა,  
რომელ მდინარეს ეზმანება ანდა კოშმარი,  
თევზები ათას სისულელეს წამოროშავენ,  
ქვირითს დაყრიან, დაგაყრიან განა ქოქოლას?  
მე კი რა მრჩება, არაფერი, ვიჯდე და ვწერო.  
სანამ აფრინდა ლერწმებიდან ის ბოლო წერო.

## ჩასლები

დაბერდნენ ჩვენი კაკლის ხეები,  
გახსოვს, წენგოთი ხელების მოთხვრა?  
დიდხანს ვისხედით კაკლის ჩეროში...  
ჩრდილი კი იყო შავი. ვეება,  
რომ დაიტევდა ათას ცალ მოცხარს,  
როგორც ორლობის ერთგულ მედროშეს.  
აუხსნელ უინით დავდევდით პეპლებს,  
იქნებ პირიქით, გვეძებდნენ თავად,  
ბოლოს ვიჭერდით ოდენ ერთმანეთს.  
იმ დღეებისგან მორჩენილ ფერფლით,

ხსოვნის ბედნიერ წიაღში გავალთ,  
როგორც ტალღებში – აფრა ფრეგატის...

### ბეჭისიანა

მოკლე ვიდეოს გადავაწყდი ტიკტოკზე.  
იური ნიკულინი ამბობს:  
„დიდხანს ვფიქრობდი,  
რა არის ბედნიერება?  
ყველაზე კარგად ნაზიმ ჰიქმეთმა თქვა“-ო, –  
დასძენს თვითონვე.  
„ბედნიერებაა,  
როცა დილით მიგეჩეარება სამსახურისკენ,  
ხოლო სამსახურის მერე – სახლისკენო,  
გამოდის,  
რომ სამსახურშიც კარგადაა საქმე  
და სახლშიც.“  
მე კი მგონია,  
რომ ბედნიერება  
ბავშვობაში გატარებული  
უდარდელი დღეებია.  
ასე მაგალითად:  
სკოლის წლებში, ზაფხულის არდადეგებზე,  
ბებია-ბაბუასთან ჩავდიოდით ხოლმე,  
ზუგდიდში.  
დილიდანვე ჭიშკართან ვიყავით ატუზულები  
და-ძმა.  
ნაყინის მოტოციკლეტს ველოდებოდით,  
რომ არ გამოგვპარვოდა მისი სიგნალის სანატრელი ხმა,  
წამიც და, კრუპსკაიას ქუჩაზე ჩამოუხვევდა,  
დაასიგნალებდა და გამოვენთებოდით ბავშვები,  
რომ „ლეგო-ლ“-ის ნაყინებით  
ჩაგვეტკბარუნებინა პირი.  
შემდეგ მეზობლის თხილს მივადგებოდით,  
რომელიც ჩვენს ლობესთან იყო გადმოზნექილი,  
თითქოს საკუთარი არა გვყოფნიდა  
და ავივსებდით უბეებს.  
ბებია ფელამუშს გააკეთებდა  
და  
ჩურჩხელებს ავაცვამდით...  
რას იფიქრებდა,  
რომ ციალასგან მოპარული თხილით ვეხმარებოდით?  
მერე ჩურჩხელების გამოშრობას ველოდებოდით  
და ქვაბში დარჩენილ ფელამუშს  
ვფხეკდით კოვზებით...  
სალამოს  
ჩაის პლანტაციებში ვთამაშობდით დამალობანას.  
მოვგროვდებოდით:  
საბჭოს და კრუპსკაიას

ქუჩიდან ბავშვები,  
იქამდე ვთამაშობდით,  
სანამ მშობლებიც არ დაგვიწყებდნენ ძებნას...  
აი, ის დღეები იყო ბედნიერება!

## ვალკალა 2

შენ ზიხარ მარტო, ოდენ ოდინი,  
ჩაბნელებული ჰოლი. ვალპალა.  
ვალკირიებიც დუმან. ხარხარის  
მიზეზი არ გაქვს მცირეოდენი.  
ხარხარს ვინ ჩივის, ნეტავ, ნეტარო,  
ლიმილი გქონდეს, თუნდ უნექტარო.  
მოკითხვას უთვლი ქალლმერთ ფრეიას,  
სანამდე მოვა ცნობა დალუპვის  
ომიდან. ცრემლის ზღვა ლაპალუპით  
მებრძოლთა სულებს რომ შეერიოს.  
სიზმართა უცხო მსტოვარს ერიდე,  
წვიმას გაჰყევი ცისარტყელიდან.  
ოდენ ოდინი, შენ ზიხარ მარტო,  
მოყინულია შენი ტერფები,  
თან სიჩუმეში ისე ეფლობი,  
ვალკირიების დუმილი გართობს  
თუ სიზმრის მსტოვარს უცდი ანაზდად,  
ვრცელი კარიბჭე აღარ ჩარაზო...

X

მარადიული ბავშვი,  
უკურნებელი სენით შეპყრობილი,  
ვერდაბერების.  
თოთხმეტი წლისამ დაიწყო წერა  
და  
პოეზიაც დაემართა,  
სენი-მეორე.  
ზოგიერთებმა ისწავლეს ჭკუა  
და ვერლიბრების წერა დაიწყეს.  
ვერლიბრი რომ პოეზია იყოს,  
ავლაბრელი ტაქსისტი სეროპა  
ყველაზე დიდი პოეტი იქნებოდა,  
ვისთვისაც ოდესმე მომისმენია, –  
გაიფიქრა ბავშვმა.  
განა გინახავთ პოეტი ვინმეს,  
ორი დიპლომით,  
წერა-კითხვის უცოდინარი?  
ზოგიერთებმა ჭკუა ისწავლეს  
და ვერლიბრების წერა დაიწყეს.  
ჩვენთან,  
რეკომენდაციების ქვეყანაში,  
ჯობს რამდენიმე კარგი ნაცნობი გყავდეს,

სხვადასხვა სფეროში,  
ვიდრე სამი წიგნის ავტორი გერქვას.  
თუ კოკაინზე გინდა შეჯდომა,  
მარადონა უნდა იყო  
ან  
უიტნი ჰიუსტონი,  
როგორც მინიმუმ,  
რომ გასახდელში,  
ტაიმებს შორის  
ან პირდაპირ სცენაზე,  
კულისებს მიღმაც კი არა,  
იქვე წაისვა ღრძილებზე  
და  
გაიყინოსო.  
მარადიული ბავშვი,  
უკურნებელი სენით შეპყრობილი,  
ვერდაბერების და პოეზიის,  
მან ვერ ისწავლა ტრენდულად წერა:  
მეძავებზე,  
ქარხნის მუშებზე,  
პენსიონრებზე,  
უფულობაზე,  
მზის სითბოზე,  
ღმერთზე და მისთანებზე,  
რომ გული აუზუყოს მკითხველს,  
რომ იყოს ყველაზე გაყიდვადი  
და ალაგ-ალაგ კითხვადიც.  
ზოგიერთებმა ისწავლეს ჭკუა  
და ვერლიბრების წერა დაიწყეს.  
მარადიული ბავშვი კი დაუინებით  
იმეორებდა:  
ვერლიბრი რომ პოეზია იყოს,  
ავლაბრელი ტაქსისტი სეროპა  
ყველაზე დიდი პოეტი იქნებოდა...

### სპარგარი

აბლაბუდებიც მიატოვეს ობობებმა.  
პირველი ნიშანი მზის გაქრობის.  
ოქტომბრის ჰაერი სუსტით დამძიმდა.  
რა კარგი იყო, შარშან, დაახლოებით ამ დროს,  
კერ კიდევ არაფერი ვიცოდი საკუთარი  
დიაგნოზის შესახებ,  
ასპერგერის სინდრომი...  
რა უფრო მნიშვნელოვანია,  
დავრჩე მარადიულ ბავშვად  
თუ დიდობის რუტინას მივეცე მეც?  
არადა, როგორ მხიბლავდა სიტყვებით თამაში?  
დიდება, დიდობა, დიდუბე, დადება, დედები...

აბლაბუდებიც მიატოვეს ობობებმა.  
მათ მაინც შევუბერავდი სულს,  
რომ მოსჭიდებოდნენ ქსელს,  
ყოველი სახსრით თუ საცეცით  
და  
აბაზანაში უეცრად მოვარდნილი  
სმერჩისთვის გაეძლოთ...  
ცარიელ აბლაბუდას ხომ არ შევუბერავ სულს?  
მე დამინგრიეს სახლი,  
რომელშიც ვცხოვრობდი, ზღვისპირზე,  
სულის ერთი შებერვით,  
სამაგიეროს გადახდა არასოდეს მხიბლავდა...  
და მაინც,  
რა უფრო მნიშვნელოვანია,  
დავრჩე მარადიულ ბავშვად  
თუ დიდობის რუტინას მივეცე მეც?

### ჟლოშართა

პარიზი მხოლოდ მონმარტრია?  
ორივემ კარგად ვიცით,  
ღმერთმანი...  
რა სისულელეა, არ დაიჯერო,  
ათასი ჩიხია, ამდენივე კლოშარით!  
ცალ ფეხზე ჰკიდიათ დე გოლიც. ელისეს  
მინდვრები. კონკორდი. მარინის თეატრი,  
საკოცნელადაც კი ვერავის შეათრევ,  
რა შავ ქვად იხლიან მაღალ ობელისკებს,  
მოკლედ, შანზ-ელიზე არ არის კლოშართა,  
იმდენსაც ვერ იზამ, გემოზე მოშარდო.  
ერთი მზე ამოდის შაიოს გორაკზეც  
და ვიწრო, უცნობი, უნომრო ჩიხიდან,  
გრან ჰალეს ბილეთებს ჩიხში ვერ იყიდი,  
მაგრამ შეიძლება ტრამვაის მოასწრო,  
მიხვიდე სახლამდე, ყოფითი სიმძიმით  
მსუბუქად დალლილი და დიდხანს იძინო.

### პერიფერია

არის უსასრულო პერფექცია,  
როგორ ვემსგავსებით მამაჩვენებს,  
ხშირად უძილოებს, ნაღვლიანებს...  
წარსულს მადიანად შევექცევით,  
წყალსაც წაულია დანარჩენი,  
ზოგჯერ სამსახურშიც ვაგვიანებთ.  
ღამით მოგონილი ზღაპრებიდან,  
ყველა უცაბედი გაღიმება,  
დილით მირთმეული გოგლი-მოგლი.  
შაშვებიც სადღაც გაფრენილან,  
წვიმისგან სველი ბაგირები,

გვახსოვს ბონდის ხიდიც, მოკლედ...  
 აღარც ის ხიდი და შაშვებია,  
 აღარც შურდულების გათლა,  
 მამებიც მიდიან უდროოდ, გვტოვებენ...  
 მამები უჩვენოდ რას შვრებიან,  
 უმამოდ რას ვშვრებით, მართლა,  
 საფლავზე იასამნის რტოებით?

### მანოლო

ქალაქის სამხრეთით პატარა პორტია,  
 იქვეა სასტუმროც. კაფე და კაბარე,  
 ხელბარგს რომ აიტანს, გასაღებს აბარებს,  
 ლიმილსაც ურიგოდ არიგებს პორტიე.  
 შუახნის კაცია, სახელად მანოლო,  
 დილით კი, ესპრესოს, ნამცხვარი-ვანილის...  
 მანოლოს ყანჩების ყურება იზიდავს,  
 სანამ სასაუზმოდ გამოვლენ სტუმრები,  
 ამინდი მშვიდია, ზეცა არ ქუფრდება  
 და მაინც ტალღები აქაფდნენ ბრიზისგან.  
 მანოლოს იტაცებს ყურება ყანჩების,  
 ყანჩები პირიქით... თევზებს თუ ამჩნევენ.  
 ვიღას ახსენდება გაშლილი გაზეთის  
 მორიგი სტატია ფინანსურ კრიზისზე,  
 შეხედავ მანოლოს, შეხედავ, ზის ისე,  
 იფიქრებ, კადრია, დაიჭერ, ასეთი  
 სცენაა ფილმიდან: სასტუმრო. ტოსკანა.  
 მანოლო. ზღვის ხედი. ყანჩების ოსანნა.

## გივი ჩილვინაძე



ფიქრის ნამცვრევი  
(პოეტური მინიატურები)

- რა ურჩევნია ნეტავ გვირილას –  
გოგომ გაპუტოს,  
სიყვარულით გული რომ უძგერს,  
თუ გვიან ხვატმა ჩამოაჭკნოს,  
მზეს გაებუტოს  
და ქარს ატანდეს გაცრეცილ ფურცლებს...
- პატარა ქალსა – თაფლის წვეთს,  
უტებესი რომ ჩანს ყველაზე,  
კარგავს სამშობლო – უცხოეთს  
ამოდის მისთვის ყველა მზე...  
გამიჩნდა გულის წუხილი, –  
ვის დაეცემა ენაზე?!
- ცოტა ვნახე ქვეყნად კაცი,  
გადავხვიო ხელი ძმურად,  
ღამეს ფიქრით ათენებდეს,  
არ მიცქერდეს მედიდურად,  
ულვაშიც არ ამშვენებდეს  
მხოლოდ მაჭრის გასაწურად...
-

ხოდაბუნები უდაბურდება.  
გაისმის კითხვა:  
ხომ დაბრუნდება?!  
მინა კი პატრონს ნატრობს.  
სოფელში გლეხი  
თუ აღარ სახლობს,  
ან ყანა ანდა  
ახო სად ვნახო?..  
ეჰ, აფსუს, ჩემო პლატონ!..

### ცქათიშვილის არაპირდებობის მონასტერი

რჩეულ გვარებს ეცნობა  
კედლის ამონაკაწრით,  
საფლავებთან გეპულობს,  
ვინ ვინ იყო, რა კაცი,  
დასტა-დასტა ეტრატებს  
ანდერძი ახლავთ მეაცრი, –  
ჩაჰერების სწავლული,  
ხიბლავს ძველთა ნალვაწი...  
არე – ჯრუჭის ხეობა  
მთების ლალი ნაწრეტით,  
დრო – აგვისტოს დამლევი,  
ათას ცხრაას ცხრამეტი.



ჩამოდი, მთვარევ, დაიძინე,  
ჩემს საწოლს გითმობ,  
თეთრად ვათენებ ამ ლამესაც  
და ხელებს ვითბობ  
ჩემსავე გულში გაღვივებულ  
პატარა ცეცხლზე, –  
არასდროს გავცვლი ამ სიმშვიდეს  
სხვის ოქრო-ვერცხლზე...



მწვერვალთან მომცრო ღრუბელი  
ანცობს, გადადის ყირას,  
ხან ნიავს ეთამაშება,  
ხან მზის სხივებზე სძინავს,  
მაგრამ მალევე გაქრება,  
ცას ცივ ცრემლებად სცვივა –  
აგრილებს წიფლიანის ტყეს  
ლამით მოსული წვიმა...



ქვასაც აქვს საქმე, სათქმელი,  
სიტყვას არ ატანს ქარს.

ოთხეუთხა კედელს ამაგრებს,  
მრგვალი ბრუნავს და ფქვავს.  
თუ რამე ზედ ამოტვიფრეს,  
გეტყვის, გაგაცნობს თავს.  
ზოგი ძველ ამბავს გიყვება,  
ზოგი ჩუქურთმად ჩანს...  
შენ რას უტოვებს ქვეყნას,  
შენ რას დააჩნევ ქვას?!.



ჩუქურებს მომცრო მდინარე  
ჩემი ბავშვობის სარკე,  
ცდილობს,  
გაექცეს მშობელ მთებს,  
ვითომ კვლავ ივლის ცალკე,  
რა გეჩქარება, პატარავ,  
ვინ მოგიღერა სახრე?  
მე თუ მოვცილდი ამ ტყეებს,  
უკეთესი რა ვნახე?!

### ააცხის სვეტი

ეს სვეტი უფლის წილხვედრი  
მაღლიდან მადლით ასხივებს  
და ზეციური სიმშვიდით  
თბილ მკერდს აგებებს ქარ-წვიმებს,  
თვით შემოქმედის შეწევნით  
ბუნება აწყობს აქ სიმებს.  
დალოცვა გინდათ? – მიმართეთ  
აქვე ჩვენს მამა მაქსიმეს...



ფოთოლცვენაა, ულრანის ფერებს  
ეალერსება მთების ნიავი,  
მოფარფატებენ მაღლიდან დაბლა  
წითელ-ყვითლები ნელი შრიალით,  
შემოერევა შენს სიმშვიდეში  
ამ მოხიბლული გულის ფრიალი.



იმ ზამთრის ლამეს, როცა ქალაქში  
ძილს ვიცილებდი დღის საფიქრალით  
და დამვიწყნოდა ტყეებზე დარდი,  
ნაქცეულიყო დიდი წიფელი.  
სად წარმოვიდგენ აწის მის წვერთან  
მშვიდად გაქროლილ საუკუნეებს?!

●  
 როგორც ბატების  
 მწყემსი გოგონა,  
 ბილიკზე მხვდება  
 თეთრი ყვავილი, –  
 შენ გამახსენდი,  
 ვინც ამ ტყის პირას  
 ალბათ, არასდროს  
 არც კი გაივლი.

●  
 ხომ კარგად ვიცი,  
 რომ ყოველთვის  
 ღმერთი არ გახსოვს, –  
 ამ ერთსაც გეტყვი,  
 სხვა ვერ გეტყვის  
 რადგან ჩემს სათქმელს, –  
 მაგრამ ყველაზე უფრო მეტად  
 მაშინ მომწონხარ,  
 როცა ტაძარში სევდიანი  
 აანთებ სანთელს...

●  
 არც სხვაგან წასვლა გარგია,  
 არც წუნუნი და ოხვრანი,  
 შენს მინას ენდე მადლიანს –  
 ხე დარგე, ახო მოხანი...  
 ვერ შეგეწევა უცხოთა  
 დენა სტუმრად და ხიზნადა,  
 იმდენი მამა უცხონდათ,  
 შენი ხსნა ჰქონდეთ მიზნადა,  
 თუმც მოყვარე რომ გშველოდეს,  
 გარეული რას გიზამდა?..  
 მაინც ლიმილი გშვენოდეს  
 მუდამ ცხადად თუ სიზმრადა...

●  
 ხანდახან თრთოლვით ავიღებ კალამს,  
 ცის კამარასთან დავდგები ახლოს,  
 მზიანი ნისლის სიმშვიდეს ვკვალავ,  
 რომ უნაზესი ფერები ვნახო.  
 ალბათ, ვიპოვი ამ გულის წამალს –  
 მომავლის სხივებს გავუყოფ ბილიკს,  
 არადა წავალ, კვლავ მარტო წავალ,  
 და შემოდგომის ტყეებში ვივლი.

## შრომასთან

(ექსპრომტი)

დოქები, ჩაფები, ჯამები,  
ყანები სამად თუ ცალად,  
ჭურები – წითელი ხარები –  
გზის პირას მდუმარედ წვანან,  
რთვლის დაესიზმრებათ დარები,  
ელიან ღვინის სმის ხანას.  
თუ ძმა ხარ, გამიღე კარები,  
საავდრო ღრუბლები სჩანან,  
სანამდე გადარეკს ქარები,  
მაგ მყუდრო ჭერს შვეფარები,  
სასმისი შემივსე თანაც –  
დაგლოცავ, დავლევ და წავალ...



მაღალ ქედებს შორის დავაბიჯებ,  
როგორც ჩემი მთების თანდებული,  
ამათ გამზარდეს და დამარჩინეს  
და მათ წინაშე ვარ ვალდებული...  
რამდენ უქნარას და ლაზლანდარას  
კუდი ყავარზე აქვს გადებული,  
უცხო მამულ-ქვეყნის მოიმედეს  
თავის პარტაზად აქვს დაგდებული...



შემოდგომა რომ შემოდგება  
მშობლიურ მთებზე,  
მზე რომ ვარდისფერ სასთუმალზე  
თვალებს მილულავს,  
ტყეთა სიზმრების სანახავად  
გამოპარული,  
ნამიან ბილიკს რომ გაუმხელ  
ფიქრებს ხილულად,  
რომელი ნატვრა შეათრთოლებს  
ოცნებას გვიანს,  
ვისი მშვიდი ხმა შემოჰყვება  
ნებიერ ნიავს?..



## ჯიმშერ შენგელია

1994/02/04

თოვლია, ყინავს, მამაჩემო, გარეთ თოვლია  
ოთახში ნანა ფრთხილად არწევს აკვნის პატარას,  
თითქოს ქარებმა გრიგალები აიყოლიეს  
და თებერვალსაც ჭაღარები შემოეპარა.

თოვლია... ყინავს, მამაჩემო, ძმათა ომია  
წრიალებ. ნეტავ რატომ იცვამ ზამთრის ფარაჯას,  
როცა სიცივემ მწვერვალების თეთრი ბორნიდან  
ჩუმი მგზავრივით ბარისაკენ გადმოალაჯა.

თოვლია... ყველა დაიფანტა, ყველგან შიშია  
შენ სად მიდიხარ, მამაჩემო, გარბის ქვეყანა.  
თითქოს გულიდან ყველაფერი ამოგიშლია,  
რომ შენი თავი სხვა გზისაკენ არ წაგეყვანა.

თოვლია, თოვლი, მამაჩემო, საით მიდიხარ,  
ნუთუ სოფლისკენ, ასე რაღამ დაგაავადა,  
შენს ძველ ჭისკართან ჰაუბიცა იტეხს იხტიბარს  
და ძველ ტაბლასთან სიკვდილია მხოლოდ თამადა.

თოვლია... თითქოს ეს სითეთრე განაჩენია  
(ტკივილის) რასაც ყველა ელის მისი წინარე,  
როდესაც, მამი, ამ ოთახში გადარჩენილი  
შენ გარდა, უნდა დამიჯერო არავინაა.

თოვლია... ნანა ნელა მირწევს აკვანს პატარას  
ხდება, ასეა, მხოლოდ ორნი ამ ბედს შევრჩებით,

უეცრად ნანას ყლუპი ცრემლი წამოეპარა  
და წაეშალა შენი კოცნის ანაბეჭდები.

თოვლია ყინავს, მამაჩემო, გარეთ თოვლია...

### La bohème.

გახსოვს?! ის თეთრყელა ჩაიდანი  
ახლაც დგას და ღრუბლებს აბოლებს,  
რამდენმა წყალმა ჩაიარა,  
რამდენჯერ ღილინით La bohème.

კუდით ქვანასროლი რაინდი ვარ  
უკან მომყვებიან დევები,  
მარტოდ მომტირალებს წყაროსპირას  
თავქუდმოგლეჯილი ვეცლები.

დამრჩა ზღვებს გადალმა სიზმარეთი  
მიღიარდი ღამის იგავი,  
ახლა ძილივით რომ დაგიზარე  
გახსოვს?! ჩემი თავიც ვიყავი.

ახლა შორს თეთრყელელა ჩაიდანი  
დგას და ბლუჯა ღრუბლებს აბოლებს,  
რმდენმა წყალმა ჩაიარა  
რამდენმა წელმაც ჩაიარა,  
რამდენჯერ ღილინით La bohème.

### წასვლის ალეგორია

ნახვამდის, ჩემო ოთხკვადრატ-ნახევარო,  
რწყილებიანო ლოგინო,  
მშიერო თაგვებო და ტარაკნებო,  
გაუმაძლარო კოლოებო,  
სამფეხა სკამო,  
პურის ნამცეცების გარეშე დარჩენილო ჭიანჭველებო,  
გადაუხდელი ჯარიმებით სავსე მაგიდავ,  
ხმაურიანო მეზობლებო,  
„პატრიოტო“ ჯგუფელებო  
და აუტანელო ლექტორებო.

ნახვამდის, ჩემო პოეტო მეგობრებო,  
ყელამდე ნევში ჩაძირულო სუიციდისტებო,  
არაპოეტებო,  
უილბლოებო და ილბლიანებო.  
ჩემო დიდმკერდა საყვარლებო,  
ლამაზო შეყვარებულო  
და რადიაციული ხორცის დიდო ნაგლეჯო – საზოგადოებავ...

და, ამავდროულად, მოგესალმებით, დახეულო კეტებო,  
გაცვეთილო ჯინსები  
და ჯინსის ჯიბეში დაბუდებულო პეპლებო.  
ცარიელო საფულევ,  
ბინძურო ჩანთავ,  
გამოუყენებელო დიპლომო,  
მკითხველდაკარგულო წიგნებო  
და ფეკალიებით სავსე ჩემო ცხოვრებავ.

და თითქოს დროა შევეგუო ჰეროკრატიას  
ანდა თავი მოვიკლა როგორც პირველმა პრეზიდენტმა,  
ჩავძალლდე როგორც მეორე,  
გავხვდე საძულველი როგორც მესამე  
ან ვიყო არაფრის მაქნისი როგორც მეოთხე..

ან სულაც დავიჯერო, რომ ყველაფერი „ღვთის ნებაა“  
და, აჯანყების ნაცვლად, ჩავახშო ჩემში ლამაზი სურვილები,  
ვწერო, ვიკითხო და შევეგუო უძრაობას:  
„ან და მარადის, უკუნითი უკუნისამდე“.

მორჩა.

აბსურდულია ყველა იმედი,  
ყველა იმედი აბსურდულია.  
როგორც ძილისპირს  
დახუჭულ თვალს რომ  
ოცნებები აუყეფდება,  
ჩამპალი და დამარხული სულის სიღრმეში უსუსურობით..

აბსურდულია ყველა კანონი  
რაც თავს გვიკრძალავს.

– მოკალი ვინც გინდა!  
იმრუშე ვისთანაც გინდა!  
მოპარე ვისაც გინდა!  
მოატყუე ვინც გინდა!  
ულალატე მოღალატეებს! –  
ჩამძახის ექო...

დაე გესროლონ ქვები და ტალახი,  
რომ დაიბადო თავიდან როგორც დიდი და იშვიათი ადამიანი,  
როგორც ლმერთი,  
რომელიც, რა კარგია რომ არსებობს,  
როცა გშია და გწყურია,  
როცა გტკივა და გენატრება,  
როცა კვდები და გეშინია...

როცა უყურებ გადაცემებს მდიდარ ღორებზე  
და გინდა, რომ მათ დაემსგავსო.

რა კარგია, რომ არსებობს ასეთი გულქვა,  
და გჯერა მისი...

გჯერა, რომ მხოლოდ მასთან  
დაახლოებულ პირებს წყალობს,  
მდიდრული აპარტამენტებით,  
საუკეთესო ნარკოტიკით,  
ქალებით  
და გარანტირებული სამოთხით...

აბსურდულია ყველა იმედი,  
მე ვეღარ შევძლებ ვმმართო სამყარო,  
რომელსაც ვერ ვგრძნობ.

შორს ოცნებებო!  
იჩქარეთ სხვასთან,  
არ შემიძლია ვიყო ბედნიერი  
შენი სიმყრალით...  
გასაღებივით მოვერგო იმ კარს,  
რომელიც უკვე  
რა ხანია ღიაა ჩემთვის.

### მორჩა დავგარცხედი

მორჩა, დავმარცხდი ბედთან ჭიდილში  
თენდება ლამე ფიქრით და ღელვით  
და კაკანათში გაბმულ ჩიტივით  
შენი თითების შეხებას ველი.

და უკარება ქარის ტიტინში  
დრო თავისთავად ყველაფერს ამხელს.  
და მთვარე როგორც ღმერთის ტივტივა  
ზლვაში ჩავარდნით აგორებს ტალღებს.

აქ, სადაც ტანი ეზრდებათ ჩრდილებს,  
აქ, სადაც იმედს წუხილი ვერ შლის.  
აქ, როგორც დედის კალთაში ჩვილი  
პულსის სიხშირე იზრდება ჩემში.

და შეფუთული სიბნელით ირგვლივ  
ოთახში ჩემი თვალები ელავს,  
როგორც ბორბალი ჩემს თავში ფიქრი  
ტრიალებს სწრაფად, ტრიალებს ნელა.

## ნინო ჭელიძე



### ვასო

ბავშვი ბავშვის ტირილმა გააღვიძა.  
დიდხანს ტიროდა.

იმდენ ხანს ტიროდა, სანამ მისი ტი-  
რილი დედამიწის კვნესად არ იქცა.

თაფლისფერთვალება ვერა საწოლი-  
დან გადმოსულიყო და ჩამქრალი შეშის  
ღუმელის წინ მუხლის ჩოქებზე იდგა,  
თან ცალი მკლავით ცრემლის შეშრო-  
ბას ცდილობდა, სევდიანი თვალებიდან  
რომ მოედინებოდა შეუჩერებლად.

ბავშვი ბავშვის ტირილმა გააღვიძა  
და წამოდგა.

უფრო სწორად, წამოიწია, მტირალა  
დისთვის რომ შეეხედა... პატარა ვერას  
დიდრონ თვალებში ჩაბუდებული უც-  
ნობი შიში რომ დაინახა, საწოლიდან

გადმოვიდა, შიშველი ფეხებით გაია-  
რა ალაგ-ალაგ ჩამტვრეული იატაკი  
და დასთან მივიდა.

ჭროლათვალება ძმამ თაფლის-  
ფერთვალება და ხელში აიყვანა და  
იქვე, ღუმელთან დაგდებულ ძველ  
ხალიჩაზე დასვა...

თვითონ გარეთ გავიდა, შემდეგ  
შემობრუნდა, მძინარე ძმას პატარა  
დაკოურილი ხელებით საბანი გაუს-  
წორა და ისევ გავიდა.



ოთხნი იყვნენ:  
პატარა ვასო.  
პატარა შალიკო.  
პატარა ანია და პატარა ვერა.



ქვის ჩამონგრეულ ღობესთან ჩი-  
ტის ბუდიდან გადმოვარდნილი ბარ-  
ტყი ეგდო, იქაურობას რომ იკლებდა  
წივილით.

ჩიტის ბარტყის დედა-ჩიტი არსად  
ჩანდა. არც – ვასოსი.

არც – პატარა ანია.

არც – მუდამ ეზოში მოფუსფუსე  
მიხა პაპა. მამა დიდი ხანია გარდასც-  
ვლოდათ.

იქვე, სახლის წინ, უჩვეულო ღრია-  
ლით მოედინებოდა ხევის წყალი...

იქამდე იდგა პატარა ვასო დიდი  
სამყაროს პირისპირ მარტო, სანამ მე-  
ზობელ დათიკო პაპას ყვირილმა არ  
შეძრა სამყარო... ის ხელების ქნევითა  
და ხმამაღალი შეძახილებით გარბოდა  
ხევისკენ. ვასომ გზა გადაჭრა და უმაღ  
თვითონაც ხევისპირას აღმოჩნდა... შუ-  
აგულ ხევში, უცნაურად აღრიალებულ  
წყალში, პატარა ანია იდგა და მეორე

ნაპირზე გასვლას ცდილობდა... დათიკო პაპამ მისი გამოყვანა რომ სცადა, ბავშვი ხელიდან გაუსხლტა. ანია გულამოსკვნილი ტიროდა და დედას უხმობდა... დათიკო პაპამ მის მზერას თვალი გააყოლა, ბავშვი გულში ჩაიკრადა ხევიდან ამოვიდა. ცდილობდა, ვასოსთვის თვალი აერიდებინა, მაგრამ...

პატარა ვასოს სამუდამოდ აღქეჭდოდა გონებაში ხეებს შორის მიმალული დედის სილუეტი...



ტკივილი ქვებსაც რომ ჰეგავდა, მაშინ მიხვდა...

გაქვავებული გულით რომ იჯდა ცივ ქვებზე დედის ლოდინში.

დედა არ დაბრუნებულა...

მხოლოდ მის ნახევრადშიშველ სხეულს შემოხვეული დები და ძმა...

ცისარტყელას მიღმა გაბნეული დალლილი მზერით.

პატარა ვასოს გული გაზრდოდა, დედის ლოდინში.

პატარა ვერა ხშირად ხედავდა სხვის ეზო-კარში მოფუსფუსე დედას.

შუაგულ სოფელში, ხევის მიღმა რომ დაედო ახალი ბინა.

ერთი დედის გულს იყოფდა გომარეთ-სოფელი.

მზეს გზა აბნევია ცის კაბადონზე.



მამის მამა, მიხა პაპა ძალიან მშრომელი კაცი ყოფილა, მაგრამ ძალიან უჭირდა ოთხი შვილიშვილის რჩენა. ერთი პურის ნაჭერი ჯერ ორად იყოფოდა, შემდევ ითხად, ბოლოს ნამცეცებად ქცეულ პურს ჩიტის ბარტყებსაც უზიარებდნენ უდედო, ობოლი ბავშვები.



ბავშვთა სახლში რომ მიაბარეს, პაპამ საკუთარი გული ოთხად გაყო და თითოს თითო ნაწილი გაატანა... დიდხანს იდგა მოხუცი პაპა კარის ზღურბლზე. მკაფიოდ გრძნობდა მის გულს ჩახუტებული პატარა ანიას გულისძგე-

რას, უკვე ძალიან რომ ენატრებოდა. ბოლოს დედამინას მიჯაჭვული მზერა მოსწყვიტა და ზევით აიხედა...

ჭუჭყიანი, მტვრიანი ფანჯრიდან და-ჟინებით უმზერდა ოთხი წყვილი თვალი... ჭროლათვალება ვასოს ჭროლათვალება ანია ხელში აეყვანა, ცალი ხელი კი თაფლისფერთვალება და-ძმის-თვის შემოხევია...

ოთხნი იყვნენ:

პატარა ვასო.

პატარა შალიკი.

პატარა ანია და პატარა ვერა...

მოხუცმა პაპამ, გულის ტკივილი რომ ჩაეხშო, შუშის ნატეხით თითები გადაისერა და სოფლისკენ მიმავალ გზას გაუდგა.

წლებმა წლები რომ შეცვალეს, ვასო სოფელს დაუბრუნდა. მამაპაპისეულ კარ-მიდამოს რომ მიადგა, დედამინას ნაჭრილობევი შეუხორცდა და გულმა კვნესა შეწყვიტა...

დედამინის გულმა, მისმა არა.

შრომამ მუხას დაამსგავსა. მოძლიერდა, ფეხვები გაიდგა. მზის წნული მაინც სტკიოდა...

და-ძმის წილი გული სტკიოდა მუდამ.



იქ არაფერი შეცვლილა. ფანჯრებიც კი ისევ ისეთი ჭუჭყიანი და მტვრიანი იყო.

თაფლისფერთვალება ვერა და შალიკი გზის პირას ელოდებოდნენ.

სადღაც იქვე იმაღებოდა სხივჩამოტეხილი მზე.

უმალ იგრძნო ვასომ მათ შეკრულ მუჭში ჩამალული მათი წილი „პაპას გულის“ ძალა.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, გომარეთ-სოფლის ყანებში ყაყაჩო ყვაოდა უკვე.

„პატარა ანია“ ისევ არ ჩანდა...



დიდხანს უძებნია ვასოს პატარა ანია.

ადამიანები ადამიანებს უამბობდნენ ამის შესახებ, ჩიტები – ჩიტებს...

მერცხლებს კარიდან კარში დაჰქონდათ „პაპას გულის“ ტკივილი.

ბოლოს მოკეთეს მოუტანია ამბავი:

ზესტაფონში, ერთ ოჯახში, ჭროლათვალება ანია ჰყოლიათ რძლადო. უფრო მეტიც უთქვამთ: ბავშვთა სახლიდან ახალციხეში გაუშვილებიათ და იქ გაუზრდიათო. პიანინოზე დაკვრა ჰყვარებია პატარა ანიას და დედინაცვალი ამის გამო ხშირად უწყრებოდა.



ორი ერთნაირი იდგა ბაქანზე.

ორივე ჭროლათვალება.

ოდესლაც პატარა ვასო და პატარა ანია.

ორივეს ისევ ისე ეჭირა შეკრულ ხელისგულებში „პაპას გულის“ საკუთარი ნაწილი...

ყვითელგულა ფურისულები ყვაოდნენ სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე...

## მიხა პუპა

დიდი კაცი იყო. გულიც დიდი ჰქონდა, მთელი სოფლის სიყვარულს რომ იტევდა, ისეთი.

ფართო, დაკოურილი ხელისგულები, ალაგ-ალაგ ნახეთქებით, სახე მუდამ ღიმილიანი.

წისქვილის ქვაზე იჯდა მუდამ.

ჩვენი უბნისკენ რომ ჩადიოდა, იმ გზის დასაწყისში იდო ის ქვა, მისი სახლის წინ.

სოფლის განუყოფელი ნაწილი იყო მიხა პაპა.



რომ დაიბადა, ველისპირს მზის სხივები შემოხვია და სამყაროს ამცნეს მისი დაბადება... ქათქათა, თმაკულულა ბატქნებმა ბლავილით აიკლეს იქაურობა. ცხვარ-ძროხა ჯერ კიდევ არ გაერეკა მამას. ომი რომ დაიწყო, მას შემდეგ, პატრონის მოლოდინში, ხშირად იდგა ეზოში ბაგამიუსვლელი საქონელი.

პატრონი არ დაბრუნებულა. მამის გარეშე დარჩენილი ოჯახი აირია და

ველისპირს შემოხვეული მზის სხივები ტეხილ-ტეხილად გაიბნა ნაცრისფერ სამყაროში. პატარა მიხა ძმასთან ერთად ბიძა-ბიცოლას შეუფარებია და ობოლი ბიჭები თორმეტ წლამდე ველისპირის მწვანე ველ-მინდვრებს შეჰყურებდნენ პორიზონტს მიღმა მიმავალი მზერით.



გამთენისას გასდგომიან გზას...

ბიძა, ბიცოლა და თავშალში გამოკრული საგზლით ხელში პატარა მიხა... დიდი გულით, მთელი სამყაროს დარდს რომ დაიტევდა, იმხელა გულით. ლუქ-სექტურგს, ახლანდელ ბოლნისს მიემართებოდნენ ველისპირელები. დიდხანს უფიქრია ბიძას, რა გზას დასდგომოდა, როგორ გაეკვალა გზა ობოლი ძმისშვილისთვის, ბოლოს გერმანელ მჭედელს შეხვედრია შემთხვევით, მაშინდელ ლუქსემბრუგში რომ დასახლებულა ოჯახით, მოლაპარაკებია და შეგირდად მიბარება გადაუწყვეტია პატარა მიხასი. ემძიმებოდა პატარა ბიჭს საკუთარი სოფლის დატოვება, თუმცა ყოჩალად, ველ-მინდვრებში დატოვებული გულით მიაბიჭებდა ბიძის გვერდით.

გერმანელები გამრჯე და პატიოსანი ხალხი აღმოჩნდნენ. პატარა მიხაც დაუზარებლად ეუფლებოდა მჭედლობას. ოჯახში მისი ტოლი ბიჭი ჰყავდათ – ესაია. ბუნებით თბილ და მოსიყვარულე მიხას არც მისი შეყვარება გასძნელებია. ძმებივით იზრდებოდნენ ბიჭები. შრომას რომ მორჩებოდნენ, ჩამოსხდებოდნენ ხოლმე იქვე, სამჭედლოს წინ, უწესრიგოდ დალაგებულ ქვებზე და თამაშობდნენ. თამაში რომ მობერზრდებოდათ, მიხა თავისი სოფლის ამბებს უაბიბდა, თმაკულულა, ქათქათა ბატქნებისა და ყაყაჩოებით გადაწითლებული ველ-მინდვრების ამბავს.

შეგირდობის დრო რომ გაუვიდა, მიხა სოფელში დაბრუნდა. მძიმე იყო განშორება, მაგრამ ყმაწილებში უკვე სისხლი ყიოდა და მიხა უკანმოუხედა-

ვად გაემართა საკუთარი სოფლისკენ მიმავალ გზაზე.

დიდხანს გრძნობდა ესაიას მზერას, ცრემლი რომ სდიოდა წვეთებად.

ბიჭებს გული გაეცვალათ ერთმანე- თისთვის.

●  
ბერიძეების ქალი მოსწონებია მიხას გომარეთ-სოფლებში.

სოფელიც მაშინვე დატრიალებულა!

გამრჯე და უკვე ყველასათვის საყ- ვარელი ახალგაზარდა მჭედელი ზედ- სიძედ მიუღიათ და სამუდამოდ ჩაუხუ- ტებიათ გულში. იქამდე თესავდა სიკე- თეს, სანამ ომში არ მოუწია წასვლა.

მძიმე სანახავი იყო ომი, მძიმე გა- სავლელი...

ცალხელა ბავშვები,

დანგრეული სახლები,

საკინძეგახსნილი დედები,

ცრემლი, ტკივილი, უიმედობა...

ქერჩთან მოხვედრია ჭურვი მის გემს, ორ ნაწილად გაუხლეჩია. ერთი მაშინვე ჩაძირულა.

მეორე ნაწილი, რომელზეც მიხა სხვა გომარეთელ ბიჭებთან ერთად მსახუ- რობდა, ნაპირს მისდგომია. ძალიან უმძიმდათ ბიჭებს გაყინული თანამებ- რძოლების დატოვება, მაგრამ დრო არ ითმენდა. ერთმანეთის მიყოლებით ცდილობდნენ გემიდან გადასვლას. ზო- გი ნაპირამდე ვერ აღწევდა და წყალში ვარდებოდა. მათი გადარჩენა შეუძლე- ბელი იყო. ნაპირზე გადასულებმა თა- ვი უსაფრთხოდ რომ იგრძნეს, სწორედ მაშინ მოადგათ გერმანელებით სავსე მანქანა.

მიხა პაპამ გერმანული, მისებურად „ნემენცური“, შეგირდობისას ისწავლა. ახლაც ჩაესმოდა ესაიას ხმა, დაუინე- ბით რომ ამეორებინებდა უცხო სიტ- ყვებს. წინააღმდეგობის მიუხედავად, წამში აღმოჩნდნენ ალყაში. ტყვეები ერთმანეთის მიყოლებით დააყენეს და გზას გაუყენეს...

არავინ იცოდა – საით... უხმოდ მი- დიოდნენ, დახეთქილი ტერფებით. მხო-

ლოდ გენს გრძნობდნენ ერთმანეთისას – გომარეთ-სოფლისას!

მზის ჩამოტეხილი სხივები დედა- მინას რომ ოდნავ შეეხნენ, მაშინ შენ- ყვიტეს სვლა. იქვე, სადღაც საქონლის ფერმისმაგვარ შენობაში შეყარეს და ჩაკეტეს. საღამომდე არავინ გამოჩენი- ლა. შედამებულზე კარი გაიღო, გერმა- ნელები სწრაფი ნაბიჯებით და ხმამა- ლალი საუპრით უახლოვდენოდნენ.

მიხას გული გაუჩერდა თითქოს.

არა, სხვა გული იგრძნო...

ხმა ეცნო! თვალები დახუჭა. მის წინ, ქვეცნობიერში გერმანელი ოსტა- ტის პატარა ბიჭი, მისი გულგაცვლილი ესაია დარბოდა!

– ესაია! – იყვირა მიხამ.

დედამინა თითქოს ნაფლეთებად იქ- ცა!

– მიხა! – „ნემენცური“ ინტონაცი- ით იყვირა შენობის ბოლოში მდგარმა გერმანელმა.

შეუჩერებლად ტრიალებდა ფერ- ფლისფერი სამყარო. ესაიას ბრძანე- ბით, გერმანელებმა მომარჯვებული ავტომატები დაუშვეს და მარცხნივ, კა- რისკენ გადაინაცვლეს.

●

– არ თქვა, „ნემენცური“ რომ იცი! – ეჩურჩულებოდა ესაია.

– არ თქვა, მოღალატე ეგონები შე- ნებს და დაგხვრეტენ! – ემუდარებოდა ესაია!

ისევ გაცვალეს გულები...

ესაიას ბრძანებით, პატიმრები ფერ- მიდან გამოიყვანეს და „კოლონაში“ ჩა- აყენეს. მას შემდეგ მიხა ესაიას გულით ხელში დადიოდა, მაშინაც კი, როდესაც ტყეში გაიჭრნენ და საფრანგეთში გა- დავიდნენ. ესაია დარჩა იქ... მათი ბავ- შვობის „ნემენციაში“...

მძიმე გულებით დაბრუნდნენ ომში ნასული პატარა ბიჭები.

სახლში შვილები და ახალი განსაც- დელი ელოდა მიხას.

სამი შვილი დასტიროდა ბერიძეების ქალს.

●  
მზე-სოფლისთვის არც ჭროლათვა-ლება ქალები დაუკლია უფალს!

წყაროსთან ჩავლილი ეგრისელაანთ ჭროლათვალება ფოფოლასთვის მოუკ-რავს თვალი...

უმალ დატრიალებულა სოფელი!

●  
ჩვენი უბნის ჩასახვევში დგას მათი სახლი, იქვე წისქვილის ქვაა.

წისქვილის ქვაზე, ჩემს ქვეცნობიერ-ში ახლაც ზის დიდი კაცი – მიხა პაპა!

## თაის

თოვლმა უკვე დნობა დაიწყო, თაია კი ისევ იქ იდგა.

სოფლის სასაფლაოზე.

თოვა რომ დაიწყო, მაშინაც იდგა.

სოფლის სასაფლაო ისე გაზრდილი ლიყო, დედის ლოდინში გაზრდილი ობოლი ბავშვის გული გეგონებოდათ. ჯერ შემოუღობავ საფლავებზე, თითქოს ისევ ცოცხლად ეყარა შარმანდელი ზამბახები.

სასაფლაოსკენ მიმავალი გზა ნაომა-რი სოფლის გზას ჰქავდა.

ოღონო-ჩოლორო,

დანაპრალებული,

რუსის ჩექმის ნატერფალი.

სოფლის წყაროსთან ქვად ქცეული ტკივილი იდგა,

წყლის ხმას ერწყმოდა ადამიანების არადამიანური გოდება.

●  
თაიამ თვალი რომ გაახილა, ეზოში მხოლოდ კრუხ-წინილის კრიახი ისმოდა.

ოჯახის უფროს დიასახლისს საო-ჯახო საქმეები მოეთავებინა და ეზოში პატარა შვილიშვილს ეთამაშებოდა. კაბის კალთაში რამდენიმე ვაშლი ედო, რომელსაც რიგრიგობით აწვდიდა შვილიშვილს და თვლას ასწავლიდა:

– ერთი ვაშლი დედას, ერთი – მა-მას, ერთი – პაპას! – კისკისებდა პატა-

რა ონავარი.

თაიამ სწრაფად ჩაირბინა კიბე და მორცხვად მიუხსლოვდა თამაშები გარ-თულ დიდედასა და შვილიშვილს. მეუღლე რომ მოიკითხა, ბავშვმა თითოთ ჭალისკენ მიუთითა და თვითონ პირველი გაიქცა მამის სანახავად.

მარიამობისთვე იდგა – უცნაური, მდუმარე, ავისმომასწავებელი.

ჭალაში, ლიახვის პირას, სოფლის კაცები ჩამომსხდარიყვნენ.

შეშფოთებული ხმები ეუცხოვა თა-იას.

დროდადრო ტყისკენ იხედებოდნენ.

ტყე დამუნჯებულიყო თითქოს.

ბავშვი ხტუნვა-ხტუნვითა და მამის ძახილით მირბოდა წინ.

მამამ შვილი რომ დაინახა, გულს უკან ისეთი ტკივილი იგრძნო, თითქოს მისთვის, მისსავე შუასაყარში გული გა-ეგლიჯა ვინმეს.

●  
სროლის ხმა რომ გაისმა, დედამინას გული გაუჩერდა.

საკუთარ ნერვებს გლეჯდა შეშინე-ბული სამყარო.

მამის ფეხებთან,

შვილის სხეული,

სახის ნაკვთებში შემორჩენილი ღი-მილით.

თაია მათთან არ მისულა, ლიახვს მიადგა მოწინებით. კოხტად ჩანწერული თმა გაიშალა და... სათითაოდ გაატანა ლიახვს, წამში შევერცხლილი...

მას შემდეგ ასე დაიარება თაია – თმაგაშლილი, თასმებშესნილი, საკინ-ძეგადაღელილი.

პირველად რომ მივიდა სასაფლაო-ზე, არარსებული გაზაფხული იდგა.

ლიახვის პირას, ჭალაში, ახლაც დგას ქვადქცეული მამის სხეული წინ, შვილისკენ გაწვდილი ხელებით....

– ერთი ვაშლი დედას, ერთი – მამას,

ერთი – პაპას!

საუკუნიდან საუკუნემდე დაატარებს  
მწუხარე დედამინა.

შორს, ჰორიზონტს მიღმა, ისმოდა  
აღრიალებული ლიახვის ხმა.

### მზის გარეშე

ბაიებით გადაყვითლებულ მინდორს  
მიუყვებოდნენ.

მინდორი დიდი იყო, ბაიები – პატა-  
რა,

ქალი ბაია – მზისსადარი.

ცალი ხელით ცას მოსჭიდებოდა,

ცალით პატარა ბიჭის ხელი მოემ-  
წყვდია ხელისგულებში.

ბიჭს დიდი ხელისგულები და ოქ-  
როსფერი კულულები ჰქონდა.

შიშველი ტერფებით მიდიოდნენ.

მოცელილთავიანი ჭანგა ბალახი ფე-  
ხებს უსერავდათ, მაგრამ ტკივილს ვერ  
გრძნობდნენ. ნასერებიდან ჩამონრეტი-  
ლი სისხლის წვეთები ჭრილობის კიდე-  
ებს ეხებოდა და სიამეს ჰგვრიდა წინ  
მიმავალთ.

ჰორიზონტს მიღმა მიდიოდნენ.

არარსებულ ცისარტყელას დაეძებ-  
დნენ ცის კაბადონზე.

ბიჭს თვალები სტკიოდა, ერთი არა  
– ორივე.

ერთი თვალი ერთ მზეს ვერ ხედავ-  
და...

მეორე, პირველში მოლიცლიცე მზის  
სხივს ისრუტავდა გაფართოებული გუ-  
გებით.

მოწმენდილ ცას რომ ჰქონდა, იმ  
ფერის იყო მისი გუგები.

გაზაფხულზე ციდან ცისანები ცვი-  
ოდა მის გუგებში და სიშიშვლეს უმა-  
ლავდა დამუნჯებულ სამყაროს.

თვალიდან თვალში მოხეტიალე მზე-  
რას დაჰქონდა სამყაროს ამბები.

პატარა ბიჭივით, მასაც დიდი თვა-  
ლები ჰქონდა და ტყის პირას მორაკრა-  
კე რუს რომ მიადგებოდა, წვიმის წვე-  
თებად იქცეოდა ბიჭის თვალებში.

ქალს ბაია ერქვა.

მზისსადარი ქალი იყო.

ბიჭს?!?

ზოგისთვის – ბრმა,

ზოგისთვის – მზეუხილავი...

ჩემთვის სამყაროს თვალი იყო...

ჰორიზონტს მიღმა მიდიოდნენ.

მზეს მიჰყვებოდნენ.

დასერილი ტერფებით ტოვებდნენ  
კვალს.

საკუთარი წილი დედამიწის გული  
მიჰქონდათ თან, საკუთარი წილი ჩიტე-  
ბის ჭიკიკი სამყაროს ხმებში...

ბაიებმა რომ ჭკნობა დაიწყეს, ტერ-  
ფებმა ტკივილი იგრძნეს.

ცაზე არარსებული ცისარტყელა  
რომ გამოჩნდა,  
ბიჭმა მინდვრის ბოლოს  
ნაცრისფერ, ხმელტოტიან ხესთან  
ჩაიმუხლა.



ზურგით იდგნენ სოფლის შარაზე,  
მინდვრებს შორის იპარებოდა ეს  
გზა.

ვგრძნობდი,

ჩემი სამყაროს თვალი,

მზის სუნით გრძნობდა გადახრუკუ-  
ლი მინდვრების სევდას.

## ლოუკა ბაქანიძე



### ლუსის ძიებაში

ამ ხის ძირას მცემეს ბავშვობაში და იმასაც ამ ხის ძირას ვაკოცე პირველად, ვის გამოც მცემეს. ამ ხის გვერდით დგას სკოლა, სადაც ვსწავლობდი, სანამ გამომაგდებდნენ მარკებით ფულზე თამაშის გამო და ამ ხის გვერდით დგას ეკლესია, სადაც მე და სერგო, ჩემი კლასელი, ზედ სამრეკელოზე, სულ ზე-ვით ავძვრებოდით ხოლმე და ვაბოლებ-დით სიგარეტს, ვაკონტროლებდით გარემოს და ვლაპარაკობდით ღმერთზე. დაკეტილი იყო ეკლესია, გაუქმებული. სამრეკლოს კოშკში აუტანელი სუნი იდგა. რაღაც ეგდო მკვდარი, გახრწნილი – ჩიტი თუ კატა, აღარ მახსოვს.

ბუმბულებიც ეყარაა და ალბათ – ჩიტი. ან კატა იჭერდა მტრედებს და მერე ის კატა მოკვდა და ბუმბულებიც დარჩა. მოკლედ, სულ ეგ სუნი იდგა და სულ მატლები ფუთფუთებდნენ. მერე შევეჩ-ვიეთ სუნსაც და მატლებსაც, არ ვაქ-ცევდით ყურადღებას და ვლაპარაკობ-დით ღმერთზე, ვენეოდით სიგარეტს, ნახევარ-ნახევარს, დატოვებით. ეკლე-სია რო ღმერთის სახლია, ვიცოდით, მაგრამ ეს ეკლესია სულ დაკეტილი იყო და ორივეს გვჯეროდა, რო ღმერ-თი წასული იქნებოდა სადღაც, სხვა, ღია ეკლესიებში. ამ სუნში და მატლებ-ში ღმერთს რო არაფერი ესაქმებოდა,

ამაზე შევთანხმდით ორივე. ამიტომ თავისუფლად შეიძლებოდა მოწევა. მე ნანახი მქონდა ფილმი ღმერთზე. მამა-ჩემმა წამიყვანა ვერის ბალში. კალათ-ბურთის დარბაზში ვისხედით უამრავი ხალხი და, ჩვეულებრივ, ტელევიზორში ვუყურებდით ფილმს. ხუთ საათზე მეტანს გრძელდებოდა და ნახევარ სა-ათში უკვე ერთი სული მქონდა, წამოვ-სულიყავით, თან ვერაფერს ვარჩევდი ტელევიზორში, მაგრამ ღმერთი რომე-ლიც იყო, დავიმახსოვრე – წვერებია-ნი და გამხდარი ტიპი. ქრისტეზე იყო ფილმი, მაგრამ მაშინ ეგ მეგონა ღმერ-თი და სერგოსაც ასე ვეუბნებოდი, გამ-ხდარი და წვერიანია-მეთქი ღმერთი. ეს კიდევ მიმტკიცებდა, ღმერთი ცხენზე ზის, დაჭენაობს და გველეშაპებს ხო-ცავსო და მეცინებოდა, აზრზე არ ხარ-მეთქი არაფრის.



გავიდა ბევრი წელი, ვიცხოვრე უამ-რავ ადგილას და ისევ ამ ხესთან მოვ-ხვდი, აქვე, ახლოში გადმოვედი საც-ხოვრებლად ახლახანს. ხე ისევ ისე დგას, ოლონდ კიდევ გაიზარდა, მგონი. ადრეც უზარმაზარი ჭადარი თუ ნეკერ-ჩხალი იყო და სკოლის შენობაზე მაღა-ლი ჩანს ახლა. ეკლესიას აღარ ესევა ჭიები. ხალხი დადის, მღვდელიც ჰყავს, დილაბით ზარიც რეკავს იმ სამრეკ-ლოში, მე და სერგო რო სიგარეტს ვა-ბოლებდით და ღმერთზე ვლაპარაკობ-დით. მაშინ ორივეს გვიყვარდა ღმერთი, მაგრამ ახლა დიდად აღარ მაინტერე-სებს. სერგოს არ ვიცი, ისევ აინტერე-სებს ღმერთი თუ არა. სერგო მოკლეს აფხაზეთის ომში და არც მინაღვლია დიდხანს. ბავშვობის მერე დავიშალეთ. მე სკოლიდან გამაგდეს და სხვა სკო-ლაში გადავედი, მერე სხვა უბანშიც და ერთმანეთს დავეკარგეთ. კაი ხნის შემ-დეგ ძველი კლასელი შემხვდა და იმან მითხრა, მოკლესო ჩვენი სერჯიო ომ-ში. გვიან ლამით, ბარიდან რო ვბრუნ-დები სახლში, ვჯდები სკოლის ეზოში ძელსკამზე, ეკლესიასთან და ვუყურებ-ჭადარს თუ ნეკერჩხალს. ზოგჯერ შე-

მოივლის ვინმე ძალლით, გაჩერდება ცოტახანს, ძალლს ასეირნებს და მი-დის. მე ვერ მხედავენ. სიბნელეში დგას ძელსკამი, ეკლესის ჩრდილში. რო-ცა ძალიან მთვრალი ვარ, ყოველთვის მკვდრებზე ვფიქრობ. ჩემს მკვდრებზე. ამ, მარტის ქარიან შუალამეს კი დედა-ჩემი გამახსენდა, რომელიც რამდენიმე თვის წინ, შემოღვიმაზე მოკვდა. გვი-ანი ღამეა, ქარიშხალი ჭადარს თუ ნე-კერჩხალს არყევს, სკოლის თავზე უხე-იროდ დამაგრებული თუნუქის სახურა-ვი ტკაცუნებს. ქარს გადმოაქვს იქვე, სავსე ბუნკერებიდან, რასაც მოერევა, ცელოფნებს თუ მუყაოს ყუთის ნაფლე-თებს და ეზოში დააფრიალებს. ალბათ, ცივა, მაგრამ ნასვამზე ვერ ვგრძნობ სიცივეს. ვფიქრობ დედაჩემზე, რომე-ლიც მოკვდა და უცებ იქვე, ახლოში, მესმის: – შვილო! – გამისკდა გული.



ერთხელ ზემოთ, მთაზე, პანთეონში აგვიყვანეს მთელი კლასი. აქ ნამყოფი ვიყავი ადრეც: ყოველ წელს, მარტში, ქალების დღეს, წამიყვანდა ხოლმე მამა და დავხოხავდით მთის ფერდობებზე, ვეძებდით რაღაც ყვავილს, ლურჯს. არც მაშინ ვიცოდი და არც ახლა ვი-ცი, რა ყვავილი იყო, იას ჰყავს, ოლონდ დიდია უფრო. შევაგროვებდით და შევ-კრავდით დიდ თაიგულს, გავიდოდით მერე ბილიკზე და ჩამოვდიოდით მთაწ-მინდიდან ფეხით. გზად შევივლიდით პანთეონში, სადაც მამა სანთლებს ყი-დულობდა და ვანთებდით უზარმაზარ ლოდთან. მამამ მითხრა, რო აქ იყო დასაფლავებული ძალიან კარგი კაცი, ვაუა-ფშაველა. მაშინ წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყო ვაუა-ფშაველა, მაგ-რამ ლოდი მომწონდა ძალიან. ბოლოს ვბრუნდებოდით სახლში. დაკრეფილ ყვავილებს გზაში ორ თაიგულად გავ-ყოფდით და დედაჩემს ვჩუქნიდით. ჰო-და, აგვიყვანეს-მეთქი მთელი კლასი პანთეონში. მასწავლებლებმა იყიდეს სანთლები და მასწებმაც და ბავშვებ-მაც დაანთეს ვიღაცა ქალის ქანდაკე-ბასთან. სტალინის დედა ყოფილა. აქ მე

და მამას არასოდეს დაგვინთია სანთელი. მოვკიდე ხელი ლიკას, ჩემს კლასელს და მივიყვანე დიდ ლოდთან. მომწონდა ეგ გოგო. მეთქი, ლიკა, ნახე რა მაგარი ლოდია, აქ არის დასაფლავებული ვაჟა-ფშაველა! ლიკასაც მოეწონა ლოდი და გამიხარდა და მერე ორივემ ზედ ლოდზე დავანთეთ სანთლები. ვერაფრით მივხვდი, რატომ გამათრია ყურით სასწავლო ნაწილმა, თინამ და ისევ იმ ქალის ქანდაკებასთან მიმიყვანა. ბოლო ხმაზე მიკიოდა და ჩუმად მიყურებდა ყველა – კლასელებიც, მასწავლებლებიც. ბოლოს – ჩადი დაბლა და დაგველოდე, დასჯილი ხარო, – თინამ. პანთეონიდან ისტორიის მასწავლებელმა გამომიყვანა – კეთილმა და წყნარმა კაცმა, რომელსაც რა ოინებს არ ვუწყობდით მთელი სკოლა და ვამწარებდით. რო მოვყავდი, ჩუმად მითხრა, მეც ძალიან მიყვარსო ფშაველა. იმ დღეს დედაჩემი და მამაჩემი დაიბარეს სკოლაში და არ ვიცი, რა უთხრეს მასწავლებლებმა თუ დირექტორმა, მაგრამ მამაჩემმა მეორე დღეს წამიყვანა მონკავშირის მაღაზიაში და მსუბუქი სათევზაო სპინინგი მიყიდა, თავისი ტყავის ფუტლარიანად და არაფერი რო არ დამიშავებია, მივხვდი. ამის მერე იყო, ლიკას ძმამ და მისმა მეორებმა, უფროსკლასელებმა, რო დამიძახეს გარეთ, სკოლის ეზოში და ხის ძირას მომარტყეს ერთი-ორი; ლიკა რატომ აიყოლიერ, სად წაიყვანეო, შენ გამო სკოლიდან გარიცხესო ლამის.



– შვილო! – მომესმა იქვე და გამისკდა გული. მოვიხედე: დგას ლამპიონის შუქზე წელში მოხრილი მოხუცი ქალი, პალტოს კალთები უფრიალებს ქარში და ხელით იმაგრებს. სულებისა და ეგეთების რო მჯეროდეს, მეგონებოდა, ფიქრით გამოვიწვიე-თქო საიდანლაც დედაჩემის სული. ვიცოდი, რო დედაჩემი ვერ იქნებოდა და დედაჩემი გასულ შემოდგომაზე მოკვდა, მაგრამ ისე ჰერგი, ხელები გამიოფლიანდა. წამოვდექი: – რა გნებავთ, ქალბატო-

ნო? ძალლი გამეპარა სახლიდან, პატარა თეთრი პუდელი, ამ ეზოში ხომ არ შემოსულაო. რანაირად დამინახა ნეტა იმ სიბნელეში. მოხუცები ხომ ცუდად ხედავენ, თან ბნელა. – არა, ქალბატონ, ერთი საათია აქ ვარ და არ დამინახავს, – ვეუბნები და აქეთ-იქით ვიხედები, იქნებ ძალლს მოვკრა თვალი სადმე. ლუსი ქვიაო ჩემს ძალლს, შენც დაუძახე, მე ხმამაღლა ვერ ვეძახიო, თან ჩემი ხის გარშემო დაიწყო სიარული: – ლუსი! ლუსი! სად იმალები, შე გათახსირებულო! დადის ასე, პალტოს კალთებს იმაგრებს და ზოგჯერ შიშით ახედავს სკოლის სახურავს, სადაც უხეიროდ დამაგრებულ თუნუქს ისევ ტკაცუნი გაჰქინდა ქარში. – ლუსი! ლუსი! – ვლრიალებ ბოლო ხმაზე მეც და ეზოს კუთხე-კუნჭულებში ვიხედები, სადმე ხო არ შეძვრა ის ოხერი პუდელი. ხანდახან ვათვალიერებ მოხუცაც – როგორ ჰერგავს დედაჩემს. ზურგიდან ბევრი მოხუცი ქალი ჰერგავს დედაჩემს. საერთოდ, მოხუცი ქალები ზურგებით ძალიან ჰერგანან ერთმანეთს, მაგრამ ეს წინიდანაც ზედგა-მოჭრილი დედაჩემი როა?! ამუბნელი იქნება, გალმა უბნებიდან აქ არ დაუწყებდა ძებნას თავის ძალლს. უკვე ვხვდები, რო ეზოში პუდელის ჭაჭანიც არსადაა, მაგრამ ველოდები, ქალი რას იტყვის. ბოლოს გაჩერდა და ამბობს: – ალბათ, სხვა ეზოში შეიპარა. – ანდაც, ქუჩაშია სადმე, – ვთქვი მე. გაქცეული ძალლები რო პირველ რიგში სხვა ძალლებთან საჟიმაოდ გარბიან ან წაგვის ბუნკერთან ახლომახლოს, სარჩოს მოსაძიებლად, კი ვიცი, ძალლი მყოლია მეც, მაგრამ მომერიდა თქმა. ბოლოს უხეიროდ ამოვდერდე: – თქვენი ძალლი დედალია თუ მამალი, ქალბატონ? – და ეგრევე ენაზე ვიკინე. ლუსიო, შე დებილო თავო-ჩემო. ლუსი როგორ იქნება მამალი, კრეტინო. მოხუცმაც არ დააყოვნა და გამიწრა: – ლუსი მამალი როგორ იქნება, აბა? დედალი ცუგაა. ლუსი! – აჲ, ხო. – გავუღიმე მართლა დებილივით და ჭიშკრისკენ წავედი, – კარგად ბრძანდებოდეთ, იმედია, იპო-

ვით თქვენს ლუსის... მართლა გულით მინდოდა, რო ეპოვა. კინალამ ეკლესი-ისკენ გავიხედე და ვთხოვე, ღმერთო, აპოვნინე-მეთქი ლუსი, მაგრამ გამახ-სენდა, რო ღმერთი დიდი ხანია ალარ მაინტერესებდა. უცებ ქალმა მთხოვა: – იქნებ, დამხმარებოდი? იქნებ ერთად მოგვეძებნა, თან, შეხედე რამხელა ხმა გქონია, შენ უფრო იოლად გააგებინებ, მე სად შემიძლია შენსავით ყვირილი! რას ვიზამდი, მოვბრუნდი ისევ: – კარ-გით, ქალბატონო. ამ მხრიდან მოვედი და პუდელი არსად მინახავს, შევამ-ჩნევდი, მოდი, ახლა ეზოს იქით, ჩიტა-ძის ქუჩაზე მოვძებნოთ. – მოვძებნოთ, – დამეთანხმა ქალი და მელავში წამავ-ლო ხელი, მაგრად ჩამჭიდა და გავედით ეზოდან.



წითელ სამკერდე ვარსკვლავებზე, კლასში რო დაგვირიგეს და ფორმაზე უნდა მიგვემაგრებინა და გვეტარებინა, მამა ამბობდა, სისულელეაო. წაგვიყ-ვანეს ქალაქარეთ, მინდორში, სადაც ლექსები უნდა გვეთქვა სათითაოდ და ჩემი ჯერი რო მოვიდა, გავიჭედე ტომ სოიერივით, ვერ გავიხსენე ლექსი ვე-რაფრით და მთელი ოთხი კლასის ბავ-შვები დამცინოდნენ, მაგრამ წითელი ვარსკვლავი მაინც მომცეს და მიხარო-და, სანამ ერთხელაც მამამ არ შეამჩნია და არ მითხრა, სისულელეაო ეგ ვარ-სკვლავი. მეტი ვერაფერი ვათქმევინე ან რას მეტყოდა მაშინ, მესამე თუ მე-ოთხე კლასელ ლანირაკს. მერე, სკო-ლის ქვემოთ, ძერუინსკის ქუჩაზე რო ბეტერები გამოჩნდნენ საიდანლაც და კარგახანს პირლია ვათვალიერებდით კლასელები, ძალიან მოგვნონდა ეს უც-ნაური, მოკლელულიანი ტანკები. მამამ თქვა, ჩვენი მტრები არიანო. იმ დღეს ადრე გამოგვიშვეს სკოლიდან რატომ-ლაც, არ უთქვამთ, რატომ. არც ერთი გაკვეთილი არ ჩატარებულა და ყველა მასწავლებელი სამასწავლებლოში იყო შეკეტილი. ბოლოს გამოვიდნენ დაძმა-რებული სახეებით და – წადითო სახ-ლში, ბავშვებო, დღეს გაკვეთილები არ

გვექნებაო, – დირექტორმა გვითხრა. გამოვიყვანე ლიკა ეზოში და ავუხსენი, რო წითელი ვარსკვლავი, ჩვენ რო ასე მოგვნონდა, სისულელე იყო და მოკ-ლელულიანი ტანკები ჩვენი მტრები იყ-ვნენ სინამდვილეში. მე და ლიკა უკვე შეყვარებულები ვიყავით, ერთმანეთს ვენდობოდით და ლიკამ დამიჯერა. მოვხსენი ვარსკვლავი ფორმიდან, მეც მოვიხსენი. მერე დავალაგე ხის ძირას ქვაზე, ეკლესიდან გადმოვიტანე აგუ-რი და ჩემს ვარსკვლავს დავცხე, სანამ არ გატყდა. მერე ლიკამ თავისი ვარ-სკვლავი გატეხა, თან სკოლისკენ ვიყუ-რებოდით, ვინმეს რო არ დავენახეთ და არ დავესაჯეთ, მაგრამ სკოლის ფან-ჯრებში არავინ ჩანდა, მთელ სკოლა-ში სიჩუმე იდგა და, როგორც სერიალ „მონა იზაურაში“ მქონდა ნანახი, ეგრე ვაკოცე ლიკას – ჩავეხუტე და ტუჩებში ვაკოცეთ ერთმანეთს, ჭადრის თუ ნე-კერჩლის ძირას. შემდეგ ეკლესიასთან წამოვკრიფეთ აგურის ნატეხები და ქვები, ჩავილაგეთ ჩანთებში და გავე-შურეთ ტანკებთან საომრად, რადგან ისინი მტრები გამოდგნენ. ძერუინსკის ქუჩაზე შევარჩიეთ დასამალად მოსა-ხერხებელი სადარბაზო და ჩვენ-ჩვე-ნი ქვები ამოვალაგეთ. კაი მოზრდილი აგურის ნატეხი ვგლიჯე ქუჩის მოპირ-დაპირედ ჩამომდგარ ერთ-ერთ ტანკს და ჩავიკუზეთ საპირისპირო შეტევის მოლოდინში, მაგრამ ტანკებიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. მაშინ, გათამამებუ-ლებმა, ქვების სეტყვა დავატეხეთ ორი-ოდე ტანკს, რომელსაც მივწვდით. მო-ულოდნელად ტანკებს შუა საიდანლაც ჯარისკაცი გაჩნდა, რუსულად შეგვა-გინა და ჩვენსკენ გამოიქცა. ჩანთები იქვე დავტოვეთ და სადარბაზოს სილ-რმეში, კიბეზე აცცვივდით, საიდანაც, ჯერ ეზოში და შემდეგ ეზოდან მეორე ქუჩაზე გასასვლელი მეგულებოდა. რა-ლას გვიპოვნიდა ის ჩემის სალდათი.



„საით წაგილო მარტის ქარმა“ – დედაჩემმა დამიმესიჯა გასულ მარტს. ტრადიციულად, რამდენიმე დღით რო

გადავიკარგე და არ გამოვჩნდი. სადლაც, მაგიდის უჯრაში, ძველ ტელეფონი მიგდია და მესიჯი იქ მაქვს შენახული. და ერთი წლის მერე, ახლაც ხომ მარტია. ახლაც ხომ ქარიშხალია. ხელკავით მიმყავს მოხუცი ქალი, ასე რო ჰეგავს დედაჩემს და ქარმა რო არ წააქციოს, გვერდში მეკრობა. დროდადრო შევჩერდებით და ლუსის ვუხმობთ, დაკარგულ ჰუდელს: — ლუსი, ლუსი, აბა, სადა ხარ, ჩემო გოგო, — ძლიერ ისმის ქარში ქალის ხმა. — ლუსი! — ვღრიალებ ხმის ჩახლეჩამდე. ალბათ, რო გაეგო იმ ძალლს ჩემი ხმა, სულ გადაიკარგებოდა სადმე, მაგრამ ლუსი ჯერჯერობით არსად მოჩანს. ავყევით ქვაფენილიან ქუჩას ბოლომდე. ზემოთ, პატარა სკვერში შევედით და იქაც დავძებნეთ ლუსი. ვიღაც წყვილი ზასაობდა იმ ქარიშხალში, სკამზე ისხდნენ. თავზე წამოვადექი და ვკითხე, აქ თეთრი ჰუდელი ხო არ გინახავთ-მეთქი. არა ძმაო, რაის ჰუდელიო, — ბიჭმა ცოტა დამიძაბა. გამოვედით სკვერიდან და თანამგზავრს ვეკითხები: — სად ცხოვრობთ, ქალბატონო? ალბათ, თქვენი სახლის ახლომახლო იქნება სადმე, შორს არ წავიდოდა... დაბლა ვცხოვრობო, — ქალმა, იქ დავძებნეო უკვე. — სანამ ჩვენ ვეძებთ, შეიძლება თავად დაბრუნდა სახლში? — ვაიმედებ, — მიგაცილებთ ახლა სახლამდე და თან გზადაგზა დაგუძახოთ კიდევ. ცოტა იყოყმანა და დამთანხმდა ბოლოს. ალბათ, სციოდა უკვე და იმიტომ. მაგარი ქარი ქროდა და ვგრინობდი, დროდადრო როგორ კანკალებდა. მე ჰუდი მეცვა მარტო და შიგნით მოკლემკლავიანი მაისური, მაგრამ მთვრალი რო ვიყავი, მაინც არ შემცივდებოდა უჰუდოდ. ხომ არ მოგახუროთ-მეთქი ჰუდი და იუკადრისა — რას ამბობ, საერთოდ არ ცივა, თბილი პალტო მაცვიაო... მგონი, ჩემს ჰუდზე დახატული თავის ქალა და ძვლები არ მოეწონა.

●  
ჩემს ბავშვობაში ასეთი თამაში იყო: მაგიდაზე დადებულ მარკას ვურტყამდით ხელისგულს და ვინც მარკას ამოატრიალებდა, ის იყო მოგებული. მე

და კობიძე, ჩემი კლასელი, შევიკეტეთ კლასში. ყველა წასულია. ჩამიჩუმი არ ისმის სკოლაში. ხუთკაბიკიანები გვიგდია ორივეს და ვთამაშობთ ფულზე. ხან ის მიგებს, ხან მე ვუგებ. უცებ იღება კლასის კარი და შემოდის სასწავლო ნაწილი, თინა. მეორე დღეს მოიწვიეს პედ-საბჭო, დაიბარეს ჩემი და კობიძის მშობლებიც და მე და კობიძე გაგვრიცხეს სკოლიდან, კლასში მარკებით ფულზე თამაშის გამო. მალევე, ნაძალადევში გადავედით საცხოვრებლად, ჩემს ახალ სკოლასთან ახლოში რო ვყოფილიყავი და ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში არ მეარა ყოველ დილით. ჯერ ავეჯით დატვირთული საბარგო წავიდა და მერე ჩვენ, მე, დედაჩემი და მამაჩემი მივყევით მანქანით. სკოლასთან გავაჩერებინე და დავემშვიდობე მთელ კლასს. მერე ეზოში, ჭადარს თუ ნეკერჩალს დავარტყი წრე და წამოვედი. ალბათ, ბოლო ხატება, რაც სიკვდილის წინ გამიელვებს, ეს იქნება: მანქანის უკანა ფანჯარას რო ვარ აკრული, მეოთხეკლასელი ლანირაკი და ვუყურებ ლიკას, რომელიც მანქანას მოსდევს, როგორც დებილ კინოებშია ხოლმე.

## ●

როცა ლუსის არ ვუხმობთ, როცა ჩუმად მივდივართ, ხანდახან მგონია, რო მე და დედაჩემი დავეხეტებით ჰუაღამისას მარტის ქარიშხალში, ლამპიონებით განათებულ, ძველი უბნის უკაცრიელ შუკებში, დავიარებით და გულში, ჩემთვის, ვუყვები სერგოზე, ჩემი ბავშვობის მეგობარზე, აგერ, იმ ეკლესის სამრეკლოში რო ვიმალებოდით და პაპიროსს ვაბოლებდით და აფხაზეთის ომში რო მოკლეს. ვუყვები ჩემს პირველ შეყვარებულ ლიკაზე, ხის ძირას რო ვაკოცე და შემდეგ, პატარა ბავშვები, ცხრა აპრილის ლამის წინ, რუსულ ბეტეერებს რო ვებრძოდით ამ ქუჩაზე, სადაც ახლა შევუხვიეთ. ჩემს ბავშვობაში, ჩემი უშველებელი ჭადრის თუ ნეკერჩელის გარშემო დავატარებ დედაჩემს ხელკავით და ვუყვები, რაც მისთვის არასდროს არ მომიყოლია.

ვიხედებით ეზოებში, ვათვალიერებთ ბნელ სადარბაზოებს და ვეძებ, ვეძებ და ვისსენებ და ვლრიალებ: – ლუსი! სადა ხარ, ლუსი...

უცებ წინ ღრჭიალით გვიმუხრუჭებს მანქანა, გადმოდის ვიღაც გოგო და ჩემს თანამგზავრს ეხვევა ტირილით: – ბებო, გაგვისკდა გული, ყველგან გეძებეთ, სად არ დავრეკეთ! მოხუცმა ხელი გააშვებინა და მკაცრად ამბობს: – რატომ მეძებდით ნუცა, ხომ იცი, სადაც წამოვედი? ხომ გაგაფრთხილეთ, ლუსის საძებნელად რომ მივდიოდი! მართლა, ხო, დაბრუნდა ლუსი? ყველგან ვეძებეთ მე და ამ კარგმა ბიჭმა, ვერსად ვიპოვეთ და ხომ არ დაბრუნებულა სახლში ლუსი? გოგომ შემათვალიერა და უთხრა: – კი ბებო, მოვიდა ლუსი. სახლშია ლუსი. ჩაჯერი ახლა მანქანაში და წამოდი სახლში. შემდეგ მოხუცი მანქანაში ჩასვა და მომიბრუნდა: – დი-

დი მადლობა, ბებიაჩემს რომ მიხედეთ, მარტო არ დატოვეთ! – რისი მადლობა, პირიქით! – ვბურტყუნებ უაზროდ, – გამიხარდა, რო დაბრუნდა ლუსი, იმდენი ვეძებეთ! გოგომ მანქანისკენ გაიხედა და ჩუმად მეუბნება: – ხანდახან გაგვეპარება ბებო და დადის ასე, ეძებს ხოლმე, ხომ გესმით, ასაკი... სამი წლის წინ მოგვიკვდა ლუსი. შემდეგ მანქანაში, საჭესთან ჯდება და მიდიან.

შუა ქუჩაზე ვდგავარ კაიხანს. მერე მოვდივარ სახლისკენ. გზად შევიარე სკოლის ეზოში და ისევ ძელსკამზე ჩამოვჯექი. ვუყურებ ჩემს ჭადარს თუ ნეკერჩხალს. სკოლის სახურავზე უხეიროდ დამაგრებული თუნუქი ტკაცუნებს. სადღაც, მაგიდის უჯრაში, ძველი მობილური ტელეფონი გდია. მარტის ქარი წაგვის ბუნკერებიდან კრეფს, რასაც მოერევა და ეზოში დააფრიალებს.

## სოსო ბეჭველიანი



### ფიროვ

უცნაური ჯიშის ღორები გვყავდა ადრე, ჩემს ბავშვობაში – დიდები, შავები, ველურები... აკლებული ჰყავდათ მთელი სოფელი. მესერის მყარი ღობეც კი მოჩვენებითი ბარიერი იყო მათვეს. თუ მოუნდებოდათ, რკინის ჭიშკარსაც ჰაერში ასწევდნენ. ამიტომ როგორც კი ზამთარი მიიღეოდა, სოფლიდან ძალიან შორს, დიდი ხევის გადაღმა გავრეკავდით და თვეობით იკარგებოდნენ. არც ვეძებდით, თითქოს გამეტებული გვყავ-

და, მაგრამ მაგათ რა ნადირი მიეკარებოდა, ყველა მტაცებელზე უარესები იყვნენ. წინამძლოლი უზარმაზარი დედალორი იყო, რომელსაც „ფაროჩს“ ვეძახდით.

ერთ წელს კარგი ზამთარი იყო. ოდნავ მოთოვა, „ზომხა“ ახლოვდებოდა, ასევე „ლიძენალი“ (ლორების დაკვლის რიტუალი). ეს დღე ყველას უხაროდა, მე კი ატანა არ მქონდა. ჯერ უზარმაზარ ტახებთან უნდა გეჭიდავა, მუხლებამდე თოვლიან ლაფში ჩაფლულს, მერე ღორის აუტანელი, შემზარავი კივილი, მერე იმის თრევა და გაპუტვა... ყველაზე აუტანელი კი თბილი სისხლის მძიმე სუნი იყო, დღეები რომ მქონდა ნესტოებში ჩაგუბებული.

მოკლედ, „ლიძენალი“ ახლოვდებოდა და ჩვენი მყრალოხშივრიანი საღორეები ცივი და მოლიავებული იყო. მამაჩემს მეზობელმა გადმოსძახა ხუმრობით – ნუ ღელავ, „ლაფაქისთვის“ ღორის ყბას გამოგიგზანით („ლაფაქი“ ბარაქის მომტანი დიდი ხონჩაა, რომლითაც ოჯახის უფროსი კართან ხვდება მეკვლეს). იმ ღამით ძლიერი თოვა დაიწყო, დილით კი ჩვენი საჩეხი სავსე დაგვხვდა ღორებით, ნამატით გაორმაგებული. როცა მთაში ავდენიდით პირუტყვს, იქიდანაც იკარგებოდნენ (თითქოს ყველა სულიერს გაურბოდნენ), უფრო შორს მიდიოდნენ, იმ ადგილზე შორს, კვარაცხელიას ნაჯოგარს რომ ვეძახით. მაშინ ჩემი მეზობელი, ხანშიშესული კაცი იყო ჩემთან, ერთ ქოხში ვიყავით. საუკეთესო

ადამიანი იყო ავთანდილ ბაბუა, ბევრი რამ ვისწავლე მისგან. ერთხელაც სალამოხანს უცებ დაიძაბა და ავიშვიშდა ეს საოცრად მშვიდი კაცი: „აუ, აუ, შენი ღორები გამოჩდნენ...“ გავიხედე... ერთი ქედის ქვემოთ, „ლელვარე ლაშვნიარ“ რომ ვეძახით („ლელვარე ლაშვნიარ“ ხორცის შესანახი, უმზეო, გრილი ადგილი, თითქმის შუა ზაფხულამდე იდო თოვლი იმ ადგილას და, ეტყობა, მონადირები ნანადირევის ხოცს იქ ინახავდნენ), მაგრამ მე ის გამიკვირდა, ასე რატომ ალშუროთდა ეს კაცი ჩემი ღორების დანახვაზე. სანამ ამაზე ვფიქრობდი, ავთანდილ ბაბუამ გააგრძელა: „საშინელი ლამე გველის, დელგმა, უნდა მოვემზადოთ...“ ამან მთლად დამაბრია – რა დელგმა, „იმშა დეცი ნაკვიშ“ („ჩიბუხში ჩასადები ღრუბელიც არ ჩანდა“). მაინც ავყევი, დავყფაცურდით, დავიწყეთ ჩვენი საცოდავი მიწურის გამაგრება, ნახევრად ხის, ნახევრად კი ქვის რომ იყო – პატარა, უფანჯრო, ბნელი. ამასობაში ჩემმა ღორებმაც ჩამოაღწიეს, ცალკე ისინი ემზადებოდნენ, ვეებერთელა ქვის ქვეშ დაიწყეს მინის თხრა, ისე ღრმად და ფართოდ ამოთხარეს ეს დიდი ბრტყელი ქვა, მთლიანად მათ თავს ზემოთ მოექცა და ლამე, როცა ყველა მხრიდან შემოაღწია ჩვენი საცოდავი მიწურის კედლებში ძლიერი სეტყვის მერე ნამოსულმა ლეშმა, მე კი მთელი ლამე ერთადერთ მშრალ, ბნელ კუთხეში ვიყავი ატუზული, სწორედ მაშინ ვინატრე – ახლა ჩემი ღორების ბუნაგში ჩამანვინა-მეთქი.

## მყნობა

რას ნარმოვიდგენდი, თუ ისევ ვერ მოვუსწრებდი. არა, დაგვიანებით არ დამიგვიანია, დრო ზუსტად მქონდა გათვლილი, ჩანიშნული. უბრალოდ, გაზაფხულმა იჩქარა, ბუნებამ დამასწრო, ყველა კვირტი გამლილი დამხვდა, გაშლილს კიდევ არა უშავს, უკვე ფოთოლში გადასული. ღიამწვანე ჯერაც უფორმო ფოთლები (ქარის დაბერვისას რომ უფრო მყარად ირხევიან, ვიდრე, უკვე სრულყოფილი) კარგად ფარავდნენ ხის სიშიშვლეს, აქა-იქ დარჩენილ ჯერ კიდევ ცარიელ ჩიტის ბუდეებსაც. მყნობის დრო

კალენდარზე აღნიშნულ თარიღზე მალე გასრულებულიყო. გულდანყეტილმა, ძველ ნამყენებს დავუწყე თვალიერება. აგერ რვა ნლის წინათ დამყნობილი ტყუპი მსხლის კენწეროები ბეღლის საურავს ასცდნენ და უკვე თავბრუდამ-ხვევად ქათქათებენ. ბოსტანში კვირტით დამყნობილ ვაშილის პატარა ნორჩ ტოტსაც სხვა, ტოტებისგან განსხვავებით, უფო მოწითალო ყვავილი მოესხა. ყანის ბოლოში კი ვეებერთელა, ბებერ პანტა ვაშლზე, მამაჩემის დამყნობილი ხუთი სახეობის ვაშლი რა ხანია ერთ საძირეზე ხარობს. ვაშტერდები თითოეულ მათგანს და ვხვდები, რომ ესეც შემოქმედებაა, უფრო სწორედ, ჩემთვის არაფერი ისე არ იგივდება წერასთან, როგორც მყნობა. კალმით მყნობა პროზის წერას უფრო ჰგავს, კვირტით მყნობა კი – ლექსისას, რადგან ეს უკანასკნელი უფრო სათუთად, უფრო რთულად უნდა ამოზარდო უფრო დაბალი წერტილიდან, ვიდრე ეს კალმით მყნობის შემთხვევაში ხდება.

## ჩემი პირველი სასწაული

პირველად რომ მთაში წავედი, ნახირში (უფრო სწორად მამაჩემს გავყევი), თერთმეტი-თორმეტი წლისა ვიქებოდა, ლამის ოცნებად მქონდა ქცეული. მაშინ ასე გაუაზრებლად, სხვანაირი ნარმოდებენა მქონდა ამ ყელაფერზე.

სოფელი დაითქვამდა, რომ უკვე დრო იყო პირველყველი გაერიდებინათ საძოვრებისთვის, სათიბებისთვის. დაახლოებით დილის ხუთ საათზე მთელ სოფელში ატყდებოდა ერთი აურზაური, ადამიანების შეძახილი, საქონლის ბლავილი, ღორების ჭყვიტინი, ძალლების ყეფა... ეს ყველაფერი ისე აზანზარებდა გარემოს, სანამ ყურს მივაჩვევდი, ასე დამფრთხალი და დაბნეული, ჩემს საქმეს ვერ ვაბამდი თავს, ისედაც ნახევრად მძინარე. ყველა მხრიდან მოდიოდა ეს ხმები და გროვდებოდა სოფლის შუაში, გზაზე, რომელიც მთელ სიგრძეზე შუაზე ყოფს სოფელს. ჩვენ, მოზარდებს, უნდა გაგვესწორ ყველასათვის, რომ სოფლის თავში, სადაც წისქვილებიანი ვიწრო ხევია და

გზა სხვადასხვა მთებისკენ მიდის, იქ დავლოდებოდით. იქ ვიყოფოდით, იქ უცელიდით მიმართულებას ასე ერთმანეთში აზელილ და ასე ბრმად ყველაფრისგამთელავად მომავალ პირუტყვს. ძალიან ძნელი იყო. ძლივ-ძლივობით გამოვარჩევდით და მერე შევეფინებოდით სხვარასხვა მხარეს ასე კედელივით აღმართულ ტევრებს. მას შემდეგ, რაც ეს ყველაფერი მორჩია და თითქმის დაცლილ, ცოცხალ-მკვდარ სოფელში უღელში შესაბმელი ხარიც აღარ დარჩა, არაერთხელ გამხსენებია ეს დღე, თუ როგორ თანდათან იცლებოდა სოფელი ამ სიცოცხლით სავსე ხმაურისგან და ივსებოდა თითქოს სასიამოვნო, მაგრამ უსიცოცხლო სიჩუმითა და სიცარიელით.

ცოტას იწვიმებდა, მერე გადაიღებდა, ისევ გაწვიმდებოდა... ყველა სხვადასხვა მხარეს გაუჩინარდებოდა სქლად ჩამონილილ ნისლში, თითქოს ხმებსაც რომ ახშობდა. ათი-თხუთმეტი კომლის პირუტყვი უწყვეტ ზოლად დაიკავებული გოლაის მხარის აღმართებზე. ასე ნისლში ავიარეთ ნახევარი გზა, „მოსასვენებელ წიფლნარამდე“ დავაკებულ ადგილამდე, სადაც ვისვენებდით. გადაჭრელებული იყო ეს საუკუნოვანი ხეები დანით ამოკვეთილი სახელებით, ზოგი ახალი, ზოგიც ძველი, ზოგი კიდევ იმდენად ძველი, ხის კანს იყო შეხავსებულ-შეხორცებული და ძლივს შეიმჩნეოდა – „იგგორ ქურასბედიანი. 1939.6.“

როცა ტყე მორჩა, ალპური ზონის დასაწყისთან ისევ შევისვენეთ. ისევ სქელი ნისლი, ისევ მცირე ჟინულლი. ჯუჯა ხშირ არყებთან მშრალი ადგილი შევნიშნე, ნამოვჯექი, წვრილ საძირებს მივეყრდენი და უცებ ძილმა წამილო. მარტო დალლილი კი არა, გალახულიც ვიყავი. ცოტა ხანში ვიღაც უხეშად მაჯანჯლარებს და მაღვიძებს – ბიძაჩემია... გაღიზიანებული, უხასიათოდ წამოვდექი, მაგრამ ჰოი, საოცრებავ! ნისლი გაფანტულიყო და ჩემ თვალწინ ისეთი ხედები იშლებოდა... ეს იყო ბუნების ნამდვილი ზემი და სასწაული. უბრალოდ, მიახლოებითაც ვერ წარმომედგინა, ასეთ რამეს თუ შევესწრებოდი. ჯერ მხოლოდ სველი ბალახის ეს პირველყოფილი სი-

ხასხასე, ამ უცნაური ყვავილებით სავსე მთის ფერადი სათიბების რხევა, მერე უფრო იქით, ნაკადულებით და ჩანჩქერებით დასერილი, ალაგ კლდოვანი საძოვრები, ქედები, იალალები... პატარა ხევ-ხუვებში ჩარჩენილი თოვლის ნაპირებზე ამოსული მაღალი ყვითელი ყვავილები... ოდნავ ცივი ქარი და ის ცხოველი სურნელი ბუნებისა... რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რამდენი კარგი რამე ჩაინავლა თუ ჩაინთქა მეხსიერების იმ მხარეს, სადაც მუდმივად ბნელა და ზოგჯერ საგანგაშო ნათურასავით თუ აციმციმდება რომელიმე შორეული მოგონება და ასე მომანდომებს იქ, იმ შორეულში, იმ გარდასულში, იმ მოუხელ-თებელში, რამის მოხელთებას.

### სიზმარცხალი

არადა, რა პოეტური სიზმარი იყო – მთებთან ახლოს, გრძელი, მწვანე, ალაგ მძაფრსუნიანი ჭავხვირის, ხოლო გარშემო, მოცვისა და მაყვლის მწიფე ბუჩქებით გარშემორტყმული, ტყეში ჩავარდნილი ველტოფი, დიდი მოშრიალე ხეებით. ჯერ არ ვიცი, აქ რას ვაკეთებ... მოშორებით, ხის გადანაჭერზე, დიდი პრიალა ნაჯახია ჩარჭობილი. იქვე ჩემი ოცი წლის უნახავი მამიდაშვილი ზის, ნაჯახს დაყრდნობია და მიღიმის. არ მესიამოვნა. რატომ არ მესიამოვნა, ამდენი ხნის უნახავი მამიდაშვილის ნახვა? მერე რა, რომ გარდაცვლილა. მაშინ მე მასზე ოთხი წლით უმცროსი ვიყავი, ახლა მე ვარ თექვსმეტი წლით უფროსი. უცებ თავზარი დამეცა, იქვე ხის მორები დავლანდე, რაც ავისმომასწავებელია, რაც ახლობლის სიკვდილის მაუწყებელია. ამას სიზმარში მივხვდი... ეს ბევრგან მსმენია, ერთგან ამიხდა კიდეც. სიზმარი უცებ აიმღვრა, უცებ აიბურდა, ტალახიანი წვიმა წამოვიდა, სიზმარმა რაღაც საშინელ კადრებად იწყო დალაგება. მოვახერხე და გამოვათრიე საკუთარი თავი იმ კოშმარიდან. ცხადია, ძილი გამიტყდა. დედისგან ვიცი, ასეთ დროს სიტყვის უთქმელად უნდა ადგე, ცეცხლი დაანთო, ხის ნაფოტი აბრუნო ხელით თავის გარშემო, ილოცო

და მერე დაწვაო. მეც ამას ვაპირებ...

დილაუთენია ავდექი. ლოგინში წოლას მანიც აზრი არ ჰქონდა. ის იყო გარეთ გამოვედი, რომ ბიცოლაჩემი შემოვარდა ჭიშკარში დაფეხებული, მითხრა, რომ ჩემი ბიძაშვილი იპოვეს სადღაც მკვდარი. ახლა უკვე ცხადში აიბურდა ყველაფერი. დაბნეულს არაფერი მიკითხავს, სახლში შევვარდი, რატომდაც საგარეო ტანსაცმელი ჩავიცვი, მანქანა დავქიქე, დედაჩემი უკვე მოთქვამდა... ჩავსი.... წავედით... შუაგზაში გამახსენდა, რომ მძინარე ბავშვი დავტოვეთ მარტო სახლში. დავბრუნდი, წამოვიყვანე... სოფლის დასაწყისში, სადაც პატარა ხრამია, ჩაყოლებაზე რომ ლრმავდება და ფართოვდება, ხიდია გადებული. ხიდზე ხალხი ირეოდა. ვკითხე, რა ამბავი იყო. ხრამში გადამხტარა, დაბლა, სადაც ბევრად ფრიალო და ლრმაა. ისიც არ გამხსენებია, სოფელში წალებული ერთადერთი საგარეო ტანსაცმელი რომ მეცვა, პირდაპირ ისე გადავეშვი თავ-დალმართში. უკვე დაესვენებინათ ხის, უხეშად აწყობილ საკაცეზე. ამოვიყვანეთ. უბედური ბიჭი იყო, ცოლ-შვილი გაექცა, მარტო ცხოვრობდა, არც მეზობლად ჰყავდა ვინმე, გალოოთდა, ბოლოს ჰალუცინაციებიც დაეწყო, ახლა კი ასე დაასრულა სიცოცხლე ოცდათოთ-ხმეტი წლის ბიჭმა.

შუადღის მერე სახლში წამოვედით. აქეთ კიდევ იმას განვიცდიდი, რომ ბავშვმა ეს ყველაფერი ნახა. ვიცი, არ მომასვენებდა შეკითხვებით, მე კიდევ აზრზე არ ვიყავი, როგორ ამეხსნა. მთელი დღე არაფერი მიქამია, არც გამხსენებია, სალამხანს შემთხვევით სამზარეულოში შესულს უცებ მომშივდა. მაცივარი გამოვალე, პირველ რიგში, რასაც თვალში მომხვდა, შემწვარი ქათმის ბარკლები იყო. ერთი გამოვილე, ჩავკბიჩე, სულ რაღაც სამი ლუკმა მექნებოდა ნაჭამი, რომ გონს მოვეგე. თავზარი დამეცა, ტანში გამცრა. მხოლოდ მაშინ გამახსენდა, რომ, როცა ასეთი ახლობელი გიკვდება, ხორცის ჭამა გასვენებამდე სასტიკად იკრძალება. გულისრევა დამეწყო, მაგრამ ვერ ვაღებიე, სიგარეტს მოვუკიდე და ყანის პირებზე დავიწყე

სიარული. მზე ჩასვლაზე იყო, არ ვიცი დამთხვევა იყო თუ მომეჩვენა, რატომ-დაც ბუზებს ვერ ვიშორებდი, სულ ჩემი სახის გარშემო ტრიალებდნენ, თითქოს ჩემი ამონასუნთქი იზიდავდათ. სასწრაფოდ ჩაიდანში წყალი გავათბე, სოდა გავურიე და კუჭი ამოვირეცხე.

## ქოლგა

ერთ თვეში უკვე მესამედ დავკარგე. არადა, გაფიქრებაც კი, რომ ამ უსაშველოდ წვიმიან ქალაქში ქოლგის გარეშე მინევს სიარული, საშინელ დისკომფორტს მიქმნის. გამოდარებას ვინ ჩივის, ერთი საათითაც თუ გადაიღებს, ესეც დიდი შვებაა. ასე გრძელდება კვირები, თვეებიც კი. მაინც საიდან ამდენი ნალექი? მე კი მესამე ქოლგა დავკარგე. კარგად მახსოვს, ერთი ფოსტაში დამრჩა. როცა მივბრუნდი, აღარ დამხვდა. მეორე – ორმოცდამეთვრამეტე წომერ ავტობუსში. მესამე მომპარეს. დიახ, კაფეში ვიჯექი, სიგარეტის მოსაწევად გარეთ გავედი და, როგორც მერე გავარკვიე, იქ მსხდომმა ცოლ-ქმარმა მითხრა, ვიღაც ბოშა ქალს აუცანცლავს. არადა, კარგი ქოლგა არც ისე იაფი ღირს, ოცი ევრო მაინც ჯდება. ჩინელებში ბევრად იაფია, მაგრამ, რად გინდა, ქარის ოდნავი დაბერვაც საქმარისია (ქარი კი სულ უბერავს), რომ ჩიტის გადამსხვრეული წვივებივით საპირისპირო მხარეს იღუნება მისი წვრილი სამაგრები. დღისით ხომ ასე მანვალებს, ღამე კი უდიდესი შვება წვიმა ჩემთვის. იმ პატარა ოთახში, რომელიც კოლუმბიელებისგან ვიქირავე, ბილბაოს ცენტრში, ერთ ძველ, დიდ სახლში, ხმაური ყველა მხრიდან აღწევს, თითქოს კედელი კი არა ფარდები გვყოფს. ზედა სართულზე ვიღაც ქალი რამდენჯერაც საპირფარეშოში შედის, ისეთი ხმა მესმის, თითქოს წვიმის შრიალმა იმატა, მაგრამ უცებ გონს ვეგები და საბანს თავზე ვიფარებ. მცირედი ჩქამიც ისე აღწევს ჩემამდე, მგონია, ბოლო წვეთი ყურის ბიბილოზე დამეცემა. მერე კიდევ იმ პატარა ოთახის ფანჯარაში, რომელიც კორპუსის შუაში დარჩენილ დიდ სივცეს გადაჰყურებს, სადაც სარეცხს ფერენ, სადაც ოთხივე

მხრიდან ოცდაათი მეტრის სიმაღლეზე აღმართული ფანჯრებიანი კედლებია, სულ მცირედი გაფაჩუნებაც კი ხმაურად ისმის. მძიმე სამუშაო დღის შემდეგ რომ დაძინებას ცდილობ და ერთგან ვიღაც ახველებს მთელ ხმაზე გაბმულად, ვიღაც ჭურჭელს რეცხავს სამზარეულოში, ისე რეცხავს, გგონია, ვიღაცაზე გულმოსულია და ჭურჭელზე იყრისო ჯავრს... ქშენა და კვნესა კიდევ ერთდროულად... ერთი ქალი კი ყოველ საღამოს, ზუსტად თერთმეტ საათზე იწყებს ძალის განვრთნას. გაბმულად, მთელ ხმაზე გაპკივის: „ასე არა, ასე არა, გადაბრუნდი, ადექი, ადექი, ახლა მოიტანე, ყოჩაააღ, კარგიაა!..“ და რამხელა ბედნიერებაა ამ დროს თავსხმა წვიმა, დელგმა, თავისი ჭექა-ქუხილით, საერთოდაც, მეორედ მოსვლის მოლოდინი.

### სალვა

ბილბაოს გარეუბანში ერთი ტავერნაა, ყოველთვის ვაკითხავ ხოლმე, როცა იქით მიწევს გავლა. ძალიან პოეტური გარემოა, მიუხედავად იმისა, რომ, პოეტის გარდა, ყველას ნახავ მანდ. ტავერნის წინ დაბალი თუთების პატარა ხეივანია, დიდი მოედნის მხარეს, ეს თუთები ისე მრგვალად არის გასხლული, გაკრეჭილი და ისეთ წვრილ საძირეზეა, შორიდან ჰაერში გამოყიდებული ბუჩქები გეგონება. თუთებზე ვაზივით ჩემთვის უცხო ხვიარაა გასული, ყურძნის დიდი მტევნებივით რომ ჰკიდია ყვავილები. ყურძნის მტევნების ზუსტი ფორმის, ღია ღურჯი ფერის, თავპრუდამხვევად სურნელოვანი, მაგრამ ამ ყველაფერს მაშინ იგრძნობ, თუ მუშაობის საათებში შეივლი, როცა აქა-იქ კანტიკუნტად არის ხალხი. სხვა დროს კი, დასვენების დღეებში ან ფიესტებზე, ისეთი აურზაური, ყაყანი და ჯგლეთაა... ეგ კიდევ არაფერი, აი, ერთმანეთში არეული სხვადასხვა ალკოჰოლური სასმლის სუნი კი, საერთოდ ასამარებდა ამ „რომანტიკულ გარემოს“. ტყეებში ხეტიალით გასავათებულმა, შევიარე ერთ დღეს. ფორთოხლის წვენი შევუკვეთე, თუმცა ბარმენმა ჩემი დანახვისთანავე, ღუდის

ჭიქა მოიმარჯვა, რადგან მანამდე სულ ლუდს ვუკვეთავდი. ორი ხამონიანი „პინჩო“ გადავიღე თეფშზე და კუთხეში შევიყუშე. ხალხი ცოტა იყო. მოშორებით, პლასტმასის მაგიდასთან მჯდარ შუახანს გადაცილებულ კაცს მივამტერდი, არა იმიტომ, რომ მთელი სხეული უცახცახებდა და შავი ღვინით სანახევროდ ავსებულ მაღალ ფუჟერში საწრუპი ჩაედოთ, რადგან ერთიანად აკანკალებული ხელებით შეუძლებელი იყო, ჭიქა ისე დაეჭირა, სასმელი არ დაქცეოდა. თავსაც ისე აქანავებდა აქეთ-იქეთ, პირს ძლივს ახვედრებდა საწრუპს. ტანჯვა იყო მისი ყურება. თითქოს საიდანლაც მეცნობოდა. მომეჩვენა, რომ ძალიან ნაცნობი სახე ჰქონდა. დაგფიქრდი და გამეცინა, საიდან უნდა მცნობოდა, ალბათ, აქ ვხედავდი ხოლმე და დამამახსოვრდა, აკი, თავადაც მომაშტერდა, თან, თითქოს მიღიმოდა კიდეც. თავი დავუქნიე, მივესალმე. ძალიან გაუხარდა, შევატყვე, რაღაცნაირად გამოცოცხლდა, აწრიალდა. „მაგარი ჩაბრატებულებივით კი ვესალმებით ერთმანეთს“, – გავიფიქრე. – „საწყალი, ნეტავ ვინ არის? ვინ უვლის?“

გავიდა რამდენიმე თვე. ცხადია, ეს ამბავი აღარ გამხსენებია, მეორე დღესვე დამავიწყდა. ერთ დღეს ხუანხოს ვკითხე (ჩვენი ემპრესის პრარაბს), უფრო, აღბათ, დროის გასაყვანად. დიდად არც მაინტერესებდა, თუ სად წავიდნენ ის ჩვენი ნაცნობები, ადრე რომ ამ ემპრესაში მუშაობდნენ. მანქანით ვმგზავრობდით ხოლმე ერთად. ისიც თითქოს სულზე ელოდა ჩემს შეკითხვას, ჩაირთო მაგრამ, რა ჩაირთო. თან ისე მიყვება, თითქოს ცხელი კარტოფილი აქვს პირში – ჩათუთქული სიტყვებით. ერთი პირბა, ვინანე. ის რას შემატყობს, ისეთ აზარტშია შესული. ის რუმინელი ბიჭები, ისე-ასეო, ის მეორე ხუანხო, იქაო, გორკა და ოსკარი საერთოდ სხვა ხელობაზე მუშაობენო, სალვას კიდე... მე აღარ ვუსმენ უკვე, ფანჯარაში ვიხედები, სოფლებს და ყანებს გავყურებ, მაგრამ სალვაზე შევცბი, უცეპ რაღაცამ დამკრა თავში.

– რა თქვი, სალვას რა დაემართაო?

– ჰაა? კარგად გახსოვს ხო სალვა?

– იცინის.

– როგორ არ მახსოვს, თითქმის ნახევარი წელი ერთად ემუშაობდით ვიტორიაში, ყოველ დღე ერთად ვიყავით...

– პარკინსონით დაავადდა.

## ჟრისტო

ისე გემრიელად ეწევა კრისტობალი სიგარეტს, ისეთი მოწევა იცის, მთელი ცხოვრება რომ ვერ იტანდე. უყურებ და მოწევა გინდება, თანაც ძალიან. აგერ, შეუ მუშაობის დროს, ერთი ცალი მოხარშული კარტოფილი ამოილო ზურგჩანთიდან, გაარჩია, ცოტა მარილი მოაყარა და ნელა შეუდგა ჭამას. „ლვიძლზე მაქვს პრობლემები, ხშირ-ხშირად და ცოტ-ცოტა უნდა ვჭამო, მაგრამ ყოველ ჯერზე იმდენ მტვერს ვაყოლებ, რადა აზრი აქვს“<sup>1</sup>-ო, თითქოს თავისისთვის ჩაილაპარაკა. არაფერი მიკითხავს, არც შემიცხადებია, არც ის მითქვამს, რომ მეც ზუსტად ასეთ დღეში ვარ. როგორც კი მორჩა, ეგრევე სიგარეტს მოუკიდა, თან საუბრობს და ყბებს ისე ამოძრავებს, გეგონება, კვამლს ლეჭავსო, მერე სიტყვებს ჩემამდე მოჰყვება თამბაქოს კვამლის სურნელი. უცებ მეც მომინდა მოწევა. მოვუკიდე... თითქოს ათი წელია ვიცნობ, სინამდვილეში კი გუშინ გავიცანი, როცა მითხრა, რომ ანდალუსიელი არაბების შთამომავალია, თან, თავის ყავისფერ მკლავებზე დამახედა, რომელიც თეთრ თმას დაეფარა. ცოტა დაპნეული სახეზე მივამტერდი. თავის ხასიათთან შედარებით, თითქოს ძალიან მკაცრი გამომტყველება აქვს – თეთრი ბლანშე, ოდნავ მოხრილი ცხვირი, რაღაცნაირად ჩამუქებული თვალები, ასევე მუქი სახე... კაცი, რომელიც ათი წელი ტიპიური ესპანელის შთაბეჭდილებას ტოვებდა, უცებ, თვალის დახამხამებაში, ნამდვილ არაბად გადაიქცა. შემხედა, გაეცინა: „ხო, ასეა, თავზე რომ ჩალმა შემოვისვიო, აეროპორტში არ შემიშვებენ“<sup>2</sup>... მე გუშინ, მან კი, ერთი დღით ადრე გა-

მიცნო, ასევე, ათი წლის ნაცნობი როცა გარეთ გავახედე – „აუ, ნახე კრისტო, გარეთ რა ამინდია, ჩვენ კი...“ გაიხედა უზარმაზარი ნახევრად დაორთქლილი ვიტრინიდან, იმ მხარეს დაიწყო ყურება, საითაც სან-სებასტიანის პლაზი მოჩანს, ზღვის ქარში ოდნავ მოქანავე პალმებით. მზე იყო, სითბო და თან ოდნავ ცრიდა. რაღაც ძალიან კარგი რამე თქვა, ვერ გავიგე, უბრალოდ ვიგრძენი. მომიტრიალდა:

– ეს მაჩადოა, ანტონიო მაჩადო... იყო ასეთი პოეტი, კარგი პოეტი!

– ვიცი კაცო, ანტონიოც ვიცი და მანუელიც!

– ვაახ! შენ საიდან იცი? პოეზია გიყვარს?

– ეეე კრისტო, კრისტო!.. ვუთხარი და, რადგან ასე გაუკვირდა, „გაკვირვებას ახლა განახებ“, გავიფიქრე და მივაყარე და მივაყარე. უკვე გამტერებული მიყურებდა. მოკლედ, საქმე იქამდე მივიდა, სათემელი გამიხდა, მეც რომ ვწერ, წიგნებიც რომ მაქვს გამოცემული, თან, აზარტში შესულმა, რაღაცები გავაბუქე. კაი ხანი გამტერებულმა მიყურა, ცხადია, დაეჭვებულმაც:

– ნო მე ხოდას!...<sup>1</sup>

– მართლა, კრისტო, მართლა!.. (ვიცინი).

– ინტერნეტში არის რამე? (ტელეფონს იმარჯვებს).

– კი, იქნება...

– შენი გვარი გამიმეორე, ნელა!!

დამარცვლით გავიმეორე, თან ცოტა შორიდან დავყურებ (ხარაჩოზე ვარ), გამოჩნდა ჩემი ფოტოები, ჩემი წიგნებისაც, ჩემი მოკლე ბიოგრაფია ინგლისურად, ვიდეოები, რა გინდა სულო და გულო...

– ისტია!<sup>2</sup> შენ გიუი ხარ. ჩამოეთრიე მაგ ხარაჩოდან და მოუსვი აქედან!

– რატომ, კაცო? მე ამ ყველაფერზეც ვწერ, ეს ჩემი ცხოვრებაა, ჩემი ბედისწერა, შეიძლება ოდესმე ამ შემთხვევაზეც დავწერო... (ანუ ახლა რაზეც ვწერ).

<sup>1</sup> რას მეუბნები?!

<sup>2</sup> ლმერთო!

## თამარ გელიტაშვილი

სიცონიური გალაზვილის რომანის შუპ-ჩრდილები

(„მე ის ვარ“)



ქრისტიანული სწავლებით, „სიყვარული ღვთისაგან არს!“ შესაბამისად, ყოველგვარი სიყვარულის ზედასაბამი პირველსაფუძვლიდან, ღვთაებრივი საწყისიდან მომდინარეობს და ამიტო-მაც არის კურთხეული, მაგრამ ღვთა-ებრივი ჰარმონია მაშინ ირღვევა, როცა ეს გრძნობა ნორმის ფარგლებს სცდება და ფანატიზმის სახეს იძენს. მინიერი სიყვარულის ამგვარ ანომალიას მედი-ცინის ენაზე „ადელის სინდრომი“ ჰქვია.

ეს სინდრომი ცალმხრივი, პათო-ლოგიური ტრფობით შეპყრობილ ადამიანებს ახასიათებთ, რომელთაც არაადეკვატური, ავადმყოფური ლტოლვა აქვთ სიყვარულის ობიექტისადმი. ცალმხრივი, უპა-სუხო გრძნობა კი ერთიათად აძლი-ერებს მათ არანორმალურ მიჯაჭ-ვულობას რჩეულის მიმართ. მათ მხოლოდ და მხოლოდ საყვარელ (ამოჩემებულ) ადამიანთან დაკავ-შირებული ფაქტები თუ მოვლენები აინტერესებთ, სხვა დანარჩენის მიმართ მათი გონიერა დახშულია და არანაირი მიმღებლობა არ გააჩნია. მათ ტვინს იმდენად შთანთქავს ერ-თი ადამიანის ტრფობა, გარესამყა-როს სრულად სწყლებიან და იქმნი-ან ილუზიას, რომ შეყვარებულთან ერთად ცხოვრობენ – ბედნიერება-სა და სიამტკბილობაში. მაგალი-თად, რუსი პოეტი და ფილოსოფო-სი ვლადიმერ სოლოვიოვი იმგვარი ფანატიზმით ეტრფოდა გათხოვილ ქალს, სოფია ხიტროვოს, რომ საერ-თოდ დაეკარგა რეალობის აღქმა და ანდერძად დაიბარა, როცა მოვკვდები, სოფიას ეზოში დამკრძალეთო.

ფსიქიატრიაში ტერმინ „ადელის სინ-დრომის“ წარმოშობა ცნობილი ფრან-გი მწერლის, ვიქტორ ჰიუგოს ქალიშ-ვილის, ადელ ჰიუგოს სახელს უკავ-შირდება, რომელსაც არაადეკვატური გრძნობით უყვარდა ინგლისელი ოფი-

ცერი ალბერტ პინსონი.

ადელის სულში დაირღვა ის ღვთა-ებრივი ბალანსი, რომელიც სიყვარულს ტკბილ-მნარე განცდას მოაქვს. გოგონა წარმოსახვებში გაეხვია, მთლიანად უკუაგდო გრძნობის მტანჯველი მხარე და დიდი უხილავი კედელი აღუმართა მას. ასე შექმნა ადელმა მხოლოდ მისთვის მისაღები ტკბილი, ილუზიური სამყარო. ადელის ცნობიერებაში ალბერტი მისი ქმარი იყო, თუმც კი ამ უკანასკნელს ვიქტორ ჰიუგოს ქალიშვილის მიმართ, ცინიზმისა და აბუჩად აგდების გარდა, სხვა არანაირი დამოკიდებულება არ ჰქონია, მან სრულიად სხვა ქალზე იქორწინა.

ამგვარი ფანატიზმი და პათოლოგია ხშირად საბოლოოდ ფსიქიატრიული საავადმყოფოს კედლებით სრულდება ხოლმე და ვერც ადელ ჰიუგო გადაურჩა ამ ხვედრს.

„ადელის სინდრომმა“ ჩვენს ლიტერატურაშიც პპოვა გამოძახილი. ამ პრობლემას ეხმიანება ნიკო ლორთქი-ფანიძე მოთხრობით „ქორწილი“, რომლის მთავარი პერსონაჟი ქეთო ფანატიკური სიყვარულით ეტრფის თავის მეულლეს, ბესოს. ეს ფანატიზმი, რომელიც მომაპეზრებელი ხდება მეორე მხარისთვის, ძვირად დაუჯდება ახალგაზრდა ქალს – ჭკუიდან შემცდარს, თავისი სათაყვანებელი ბესო ძალივით დააბამს ჯაჭვით.

„ადელის სინდრომი“ აისახა თანამედროვე მწერლობაშიც. ამჯერად შევჩერდები ნაირა გელაშვილის მინირომანზე – „მე ის ვარ“.

●  
ნაირა გელაშვილის მინირომანს წინ უძლვის ფოტო, სარკეში მომზირალი ქალის ნახევარსახისა, რომელიც, დიდი ალბათობით, ავტორისაა. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც თამარ კოტრიკაძე რომანს ავტობიოგრაფიულს უწოდებს („რადიო თავისუფლება“).

„მე ის ვარ“ პოსტმოდერნისტული ოპუსია, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ამდენად, გასაკვირი სრული-

ადაც არ არის, რომ ავტორს წიგნის-თვის საკუთარი ფოტო დაერთო, რადგანაც საქმე მეტატექსტთან გვაქვს, სადაც მწერალი საკუთარი ნაწარმოების პერსონაჟიცაა, რომელსაც დამკვირვებლის როლი მოურგია და ფეხდაფეხს, ლანდივით დასდევს პროტაგონისტს. ამდენად, ცალსახად იმის თქმა, თითქოს ნაირა გელაშვილი ფოტოთი იმაზე მიგვანიშნებდეს, რომ საკუთარი თავგადასავალი უნდა გვიამბოს, რთულია. ვფიქრობ, ავტორს ეს ხერხი იმისათვის დასჭირდა, თავიდანვე შეამზადოს მკითხველი პოსტმოდერნისტული ნაწარმოების აღსაქმელად. ამიტომაც აქ უნდა გავითვალისწინოთ პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ორი თავისებურება – რიზომა და ორმაგი კოდირება.

რიზომისთვის, ანუ არქიტექტონიკური დესტრუქციისთვის, არ არსებობს არანაირი წესრიგი და დასაშვებია ყოველგვარი სტილური მანერისა თუ ხერხის გამოყენება, თუმც, არც ისაა გამორიცხული, მწერალი პირადი ცხოვრების დეტალებს გვიყვებოდეს და ფოტოს ორმაგი კოდირებისთვის (ორმაგი ჩანაფიქრისთვის) იყენებდეს. ამას ემატება ნაწარმოების სათაურიც – „მე ის ვარ“, რომელიც სავსებით დასაშვებია, მინიშნება იყოს იმაზე, რომ მთავარი პერსონაჟი თავად ავტორია. ამდენად, ორვე მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება და ტექსტის შეფასებისათვის არცა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. სათაური ყველაზე უფრო დამაფიქრებელია ნაირა გელაშვილის მოცემულ რომანში. ამიტომაც ქვემოთ კვლავ მივუბრუნდები.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ, თუკი რამე ღირსება გააჩნია ამ მხატვრულ ტექსტს, ეს მისი სახელდებაა. ძალიან შთამბეჭდავი სათაური შეურჩია მწერალმა საკუთარ შემოქმედებით ოპუსს.

რომანს ეპიგრაფად რუსთაველის სიტყვები აქვს წამდლვარებული – „მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიმდე გასატანისა“. თუ გავითვალისწინებით,

რომ „ვეფხისტყაოსანი“ მარადიული, ამასთანავე, ზღვარდაუდებელი მიჯნურობის ამბავს მოგვითხრობს, გასაგები ხდება, რატომ დაურთო ავტორმა ტექსტს რუსთაველის სიტყვები. „ვეფხისტყაოსანის“ პერსონაჟების მსგავსად, რომანში – „მე ის ვარ“ უკურნებელი სენით შეპყრობილი ადამიანის გრძნობათა პერიპეტიები და წინააღმდეგობებია ასახული. გარდა ეპიგრაფისა, წიგნს სათაურის ქვეშ მინაწერიც აქვს – („ძველებური ამბავი. მოზარდებისათვის“), რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სიყვარული ოდითგანვე არსებობს და ის განსაკუთრებული სენიტიურობით მოზარდებში იფეთქებს ხოლმე.

ნაწარმოებში თორმეტი წლის გოგონას, ნია ლელიშვილის სასიყვარულო დრამაა ასახული. რომანი სხვადასხვა ეპიზოდად არის დაყოფილი, სადაც დროის ათველა იწყება 1959 წლიდან და მთავრდება 2010 წელს, მაგრამ ამბის თხრობისას წლები ერთმანეთშია არეული და ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ირღვევა. ამგვარ ქრონოლოგიურ არევ-დარევას რომანის სიუჟეტში გარკვეული ქაოსი შემოაქვს, რაშიც, როგორც ჩანს, დიდ როლს თამაშობს რიზომა და პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი თავისებურება – ეკლექტურობა.

ნია ლელიშვილის სიყვარულის ისტორია, საბოლოო ჯამში, ორმოცდათერთმეტი წლის მანძილზე მიმდინარეობს. მწერალმა ეს წლები სამ ნაწილად დაყო: 1. ნიას სიყმანვილისდროინდელი გატაცება; 2. ნია – ახალგაზრდალექტორი; 3. ნია – შუახანს გადაცილებული ქალბატონი. როგორც ზემოთ ვახსენე, ეს წლები ერთმანეთშია არეული და სტრუქტურულ უწესრიგობას იწვევს, რაც თავიდან, ცოტა არ იყოს, დამაბნეველ ეფექტს ახდენს მკითხველზე და გონების დაძაბვა და გარკვეული ძალისხმევა გჭირდება, რომ ნარმოდგენა შეგექმნას ნაწარმოების შინაარსზე, თუმც მწერლის ამგვარი მიდგომა ტექსტისადმი გამართლებულია, რადგან

რომანის კომპოზიციური უწესრიგობა სრულ თანხვედრაშია პროტაგონისტის დაულაგებელ-დაუწყობელ ყოფასთან. ქაოსურია როგორც რომანის სიუჟეტური ქარგა, ისე მთავარი პერსონაჟის ცხოვრების გზაც: სირბილი – დევნა – სირბილი – ძებნა – სირბილი...

„გადაიქროლებს არაყიშვილის ქუჩაზე, გაირბენს ფალიაშვილის ქუჩას, ვიღაც ძლევამოსილ ქალს ეჯახება, მუჯლუგუნს იღებს, მიაწყდება რიგის ქუჩას, ვიღაც საშიში ბიჭები დაუსტვენენ, შეიძლება, იმიტომ რომ, კაბა, რომელიც მუხლებს არ უფარავს, მეტისმეტად უფრიალებს... სულერთია...“

აყენებს ვიღაც.

ხელისგულები გადაყვლეფილი, მუხლები დასისხლიანებული, ლოყა დაუეუილი, მთლიანად მტვერში ამოსვრილი... და აი, ეს ყველაფერი მაინც მიაქვს, მიარბენინებს კიდეც, მთელ თავის იავარქმნილობას. ეჲ! ყურადღებას არ აქცევს, საშიში ბიჭები რომ უსტვენენ, შეუბრალებლად“.

ეს თორმეტი წლის ნია ლელიშვილის რუტინად ქცეული ყოველდღიურობაა. მას ფანატიკურად შეუყვარდება თავისი სახლის მოპირდაპირედ მცხოვრები 20 წლის სტუდენტი, რომლის არც სახელი იცის, არც გვარი, არც თვალის ფერი და არც სახის დეტალები, თუმც კი ზედმიწევნით იცის საოცნებო ვაჟის მარშრუტი – მუხაძის 14 ნომრიდან ფალისვილის 84-მდე და პირუუ:

„გადაირბენ კავსაძის ქუჩას, მანქანა ამუხრუჭებს... გადაირბენს ბერძენიშვილის ქუჩას და ფალიაშვილის № 84-თან ჩერდება. სულს ძლივს იბრუნებს. სახლის კუთხესთან ჩანთას ძირს დააგდებს, ზედ მუხლებზე დგება, გაოფლილ საფეთქელს კედელს აყრდნობს და ჭავჭავაძის პროსპექტისაკენ იყურება. ამ დღეს ისიც ამ დროს ბრუნდება ხოლმე შინ... წუთები მისეირნობენ. ჩქარა ნადით! დგება, მხრით სახლის კედელს ეყუდება, თვალს არ ახამხამებს... წუთუ დაიგვიანებს?“

გამოჩნდა! ბერძენიშვილის ქუჩას მოუყვება, მაგრამ ვიღაცასთან ერთად. გადმოკვეთეს მოსაშვილის ქუჩა... ნამიც

და № 84-ის სადარბაზოში იმაღება, რომ არ დაინახოს: მან. და მას არც არასდროს დაუნახავს, როგორ აცილებენ და როგორ ხვდებიან...

როცა ფალიაშვილს გადაკვეთენ და ბერძენიშვილს ზემოთ აუყვებიან, გამოდის სადარბაზოდან და ზურგიდან უყურებს, იქამდე, ვიდრე მუხაძეზე შეუხვევენ მარჯვნივ..."

შეყვარებულ გოგონას უკვე ისე აქვს თვალი გაწაფული, რომ ბიჭის ოთახის სილრმეში მოძრავ სხეულებსაც ხედავს. მხოლოდ ის ერთი აინტერესებს ამქვეყნად. ფიქრობს ამოხსნას – ნეტავრა უყვარს სტუდენტს, ნეტავ როგორ ზის, როგორ იცინის ან რაზე იცინის, რას ჭამს, რას სვამს... ასე იმონებს ნიას არსებას აქამდე უცნობი, მტანჯველი, გულისგაგლეჯვამდე მტკივნეული, ცალმხრივი სიყვარულის ჰეგემონია. „ადელის სინდრომმა“ ღრმად ჩაიბუდა გოგონას გულში და ფანატიკური სიყვარულის ტყვედ აქცია. სტუდენტი ბიჭით შეპყრობილი ნია საკუთარ ქმედებებს ვეღარ აკონტროლებს, მთლიანად კარგავს პიროვნულ „მე“-ს და დეპერსონალიზაციას განიცდის, თანაც ისე, რომ არაფრის შეცვლა, არაფრის გამოსწორება არ სურს. არ სურს და არც ძალუძს საკუთარ გრძნობებთან ჭიდოლი, ვნებათაღელვის დაოკება, ემოციების მოთოვება, მეტიც, ის თითქოს ადამიანიც აღარ არის. მისი თვალები მხოლოდ ერთი ადგილისკენ ფოკუსირდება, დანარჩენი სამყარო მისთვის აღარ არსებობს: „როგორც ყოველთვის მის სამფანჯარას მისჩერებია. სამსართულიანი აგურის სახლის მეორე სართულის სამფანჯარას. ამ ქუჩის ყველაზე ლამაზი სახლია. დაბინდული აგურის. მინიდან ძირზე უთხელესი ხავსი აჰკვრია. და არის № 14“.

გოგონა, რომელიც ცხოვრებით უნდა ტკბებოდეს, ფრთაფარფატა პეპლები და ყვავილები უხაროდეს, თანატოლებთან ერთად ერთობოდეს, გეგონება, ნანილ-ნანილ დაშალეს, ძველი და გამოუსადეგარი სათამაშოსავით. იმდენად შორეული, იმდენად მიუწვდომელია მის-

თვის საყვარელი არსება, რომ ზუსტად იცის, ვერასოდეს ელირსება მის ახლოდან ნახვას. ამას ვერასოდეს გაბედავს, რადგან ჰერნია, რომ ემოციისგან გული გაუსკუდება. ამიტომაც შურს ყველასი, ვინც ბიჭის სიახლოვესაა.

ნია ვაუს მთელი ნაწარმოების განმავლობაში მხოლოდ ნაცვალსახელებით მოიხსენიებს: ის, მას, მისი... ასევე პირის ნაცვალსახელით მოიხსენიებს საკუთარ თავსაც („მე ის ვარ“). იმდენად წმინდა, იმდენად საკრალურია ნიასთვის საყვარელი ადამიანი, მისი სახელის ნარმოთქმასაც ვერ ბედავს, მაშინაც კი, როცა მის ვინაობას გაიგებს. რაც შეეხება მთავარი პერსონაჟის მიერ საკუთარი სახელის პირის ნაცვალსახელებით მოხსენიებას, აქ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქმე გვაქს პოსტმოდერნისტულ ტენდენციასთან – ორმაგ კოდირებასთან. მხატვრული ტექსტის სახელდების ამგვარი დაშიფვრა თან სიცხადეს სძენს მწერლის ჩანაფიქრს, თან აბუნდოვანებს. ამ რებუსის ამოხსნას სათაურის ორმხრივ გააზრებასთან მივყავართ:

1. ავტორი გაიგივებულია საკუთარი რომანის პერსონაჟთან (მე ის ვარ);
2. მთავარი პერსონაჟი, ანუ ის, არის სახე(ლ) დაკარგული გოგონა, რომელსაც აღარ გააჩნია პიროვნული „მე“.

ფანატიზმით შეპყრობილ ნიას აღარ აქვს უნარი, იცხოვროს როგორც ჩვეულებრივმ ადამიანმა; ვეღარ აღიქვამს რეალობას, თითქოს ყურთასმენა დაეხშო, თითქოს სამყარო მხოლოდ მისი (ბიჭის) ნაბიჯების ხმას გამოსცემს, სხვა ყველაფერი – ოჯახის წევრთა ფუსფუსი თუ ნაუბარი – მარტომდენ უსარგებლო ზმნებად და სინტაგმებად ქცეულა:

„ხმები და ჩქამები.  
ოთახებიდან.  
ზარი.

კარის ჭრიალი. რაღაცის დაგდება.  
სკამის გახრიალება. თეფშებისა და დანა-ჩანგლის წკრიალი. ისინი ეუბნებიან,  
რომ:

უმცროსი ძმა მოვიდა.  
უფროსი ძმა მოვიდა.  
სათითაოდ ასადილა, მარიამ.  
დედა მოვიდა.  
მარია მიდის.  
ნეტავ, არავინ შემოალოს კარი“.

ნიას მხოლოდ ერთი ნატვრა აქვს – ზღაპრის პერსონაჟად, ქვაბის ხუფად გადაიქცეს, მერე გაქალდეს, სახლი მიულაგოს სანაცრელს და მერე ისევ გახუფდეს. მხოლოდ ეს არის ერთადერთი გამოსავალი – „იქვე ყოფნა, რაღაც საგნად, სამარადეამოდ. სხვა ხომ არაფერი არ შეუძლია. მხოლოდ ყურება, ყურების ბედნიერება, გაუმარჯოს თვალებს!“

ფალიაშვილის ქუჩის მონაკვეთი №84-დან №11-მდე, მისი პარალელური მოსაშვილისა და მუხაძის ქუჩები, რომლებსაც დარიალისა და ბერძენიშვილის ქუჩები კვეთენ, სამყაროს ჭიპად ქცეულან ნია ლელიშვილისთვის. სწორედ აქ არის მისი ცხოვრების დასაწყისი და დასასრული, გაღვიძება და დაძინება, მწუხარება და სიხარული... ბიჭის დანახვაზე თვალთ უბნელდება, მისი ტანის სითბო და სურნელი შორიდან მოაქვს ქარს. ვერ გაუგია ნიას, რა დაავადება შეჰერია ასეთი სიმპტომატური და მოურჩენელი. დღე ხომ მის ნაბიჯებს დასდევს, არც ღამით ასვენებს მისი ნახვის სურვილი და მთელი ღამე მლოცველივით მუხლმოყრილი მისჩერებია ბიჭის სახლის ფანჯრებს. იმდენად შემაძრნუნებელია ვაჟის მონატრება, ვერც სულისშემსუთველი სიცხე აფერხებს გოგონას და ვერც ძვლების გამყინვავი სიცივე:

„სანოლში მუხლმოყრილი  
მხრებზე საბანნამოსხმული  
ფანჯრის რაფაზე იდაყვებდაყრდნობილი  
შუბლით შუშას მიკრული  
ბარდნით მოჯადოებული  
გაქვავებული  
და თან აღელვებული  
ესე იგი:  
აუღელვებლად გაქვავებული  
აი, ასეთი:  
შესცეკრი თოვას.

„ეს ჩვენი პირველი თოვლია. ჩვენი პირველი თოვლი!“

ამ მონაკვეთში, როგორც ვხედავთ, სტილურ ექსპრესიასა და მუსიკალურ ტკბილებოვანებას თან ერთვის რიზომა – პოსტმოდერნისტული უნესრიგობა, პუნქტუაციის არქონა და გრამატიკული ნორმების მოშლა. ამასთანავე, მწერალი კიდევ ერთ პოსტმოდერნისტულ ხერხს, მეტატექსტს იყენებს და, როგორც უკვე აღვნიშნე, თავადაც შემოდის სიუჟეტში, მეტიც, პროტაგონისტის განუყრელი თანამგზავრი ხდება, პირადი მცველივით სულ თან დასდევს, რიტორიკულ შეკითხვებსაც უსვამს („თქვენი თოვლი? კი, მაგრამ რა გაქვთ თქვენ, საერთოდ, საერთო, ნია?“) და, საჭიროების შემთხვევაში, აფრთხილებს კიდეც მოსალოდნელი ხიფათისგან თავის დასაცავად:

„ფრთხილად, ნი! ნინ დაიხედე! მანდ, ერთგან, ვიდრე ბორდიურს მიაღწევ, ქვაა ამოჩრილი, ფეხს წამოკრავ! და რადგან ძალიან სრაფად მირბისარ, მთელი ძალით დაასკდები ასთალგა! ორი წამილა გაშორებს დაცემას, ნინ დაიხედე!

ნაიქეცი!

გხედავ. მახსოვს“.

მწერლის თანაგრძნობა აშკარაა. მას ძალიან უყვარს საკუთარი პერსონაჟი, მხოლოდ მან იცის, რა ჯოჯოხეთიც ტრიალებს მოზარდის გულში, ამიტომაც ებრალება ის და ტკივილისთვის არ ემეტება. ყველაზე უფრო სათუთად, ყველაზე უფრო თბილად ეპყრობა ნიას, იმათზე უფრო ყურადღებიანი და მზრუნველია მისადმი, ვიდრე გოგონას ოჯახის წევრები ან ახლობლები.

ნიას აღარც დედის სიყვარული გააჩნია, აღარც ძმების და აღარც არავისი. უფრო სწორად, მას ჰგონია ასე, რადგანაც მისი გული მხოლოდ ერთი ადამიანით შეივსო, რომელმაც სხვა ყველა განდევნა იქიდან და თავად გაბატონდა. მას შემდეგ ასე ნელ-ნელა, ნაწილნილ ხრავს გოგონას და ნორმალური ცხოვრების საშუალებას უსპობს. ამიტომაც ეწყება ნიას კონფლიქტი და გაუცხოება დედასთან. ქალიშვილის

უცნაური, აკვიატებული საქციელით შემფორთებული დედა სერიოზულად ეჭვობს მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე.



ნაირა გელაშვილის წიგნის შესახებ ინტერნეტში გიორგი ლობჟანიძის რეცენზიაა განთავსებული. გიორგი ლობჟანიძეს ნია ლელიშვილის (ცხოვრებისეულ დრამაში დამნაშავედ გარესამყარო მიაჩნია. მისი აზრით, გოგონას პიროვნულ ტრაგედიას მისი გრძნობების საზოგადოების მხრიდან უგულებელყოფა განაპირობებს, რაც იწვევს ნიასა და სხვა დანარჩენთა დაპირისპირებას, ამ დაპირისპირებაში კი განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მასნავლებელს და ჩვენს სასკოლო პროგრამას, რომელიც ბავშვებს „ვეფხისტყაოსნის“ სწავლას აიძულებს.

მოვუსმინოთ გიორგი ლობჟანიძეს:

„რომანის პირველივე ფრაზებიდან შესანიშნავად ჩანს, როგორ უპირის-პირდება ყველა და ყველაფერი პატარა გოგონას ნამდვილ გრძნობას, მის იმ დროისათვის ეგებ ყველაზე ნამდვილ სუბსტანციას. ამ დაპირისპირების საყველთაო ველში ჩართულია: დედა, ოჯახი, მასნავლებელი და რაც მთავარია, სასკოლო პროგრამა „ვეფხისტყაოსნის“ ციტატების სახით, რომლებიც გოგონას სინამდვილესთან თავისი „არქაული“ შეუსაბამობის ფონზე უცხოდ, საშიმად და ერთგვარად გროტესკულად გამოიყურება. რეალურად, ისე ჩანს რომ მხოლოდ ამ გოგონაში დუღს ისეთი სიყვარული, რაც „ვეფხისტყაოსნშია“ აღნერილი, მაგრამ რადგან მოზარდისათვის ამ პოემის ენა უკვე ძველია, გარემომცველი სინამდვილისათვის კი ენა პრაქტიკულად გაუგებარი, ამიტომ ბავშვი ამ ციტატებს უფროსების მიერ მის დასათრგუნავად გამოყენებულ იარაღად აღიქვამს“.

როგორც აღვნიშნე, გიორგი ლობჟანიძე ნიას უცნაური საქციელისა თუ პიროვნული დრამის უმთავრეს ბრალეულობას „ვეფხისტყაოსნის“ სწავლებაში ხედავს, რადგან ფიქრობს, რომ ჩვე-

ნი უმთავრესი ლიტერატურული ძეგლი არქაულია, მოძველებული, რომ მისი ენა მკვდარი ენაა და რუსთაველის პოემის სწავლება სკოლაში უკვე გროტესკის სახეს იღებს. ეს საკითხი სერიოზულ პრობლემად ქცეულა და მოზარდებზე (ნაირა გელაშვილის რომანის მთავარი პერსონაჟის სახით) ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს.

დავინწყოთ იმით, რომ გოგონას საერთოდ ყველაფერი აღიზიანებს, არა მარტო „ვეფხისტყაოსნი“ („ვეფხისტყაოსნი“ მხოლოდ ნიას არ მოსწონს, დანარჩენი მოსწავლეები ხალისით სწავლობენ), არამედ ყველაფერი. ერთხანს გალაკტიონის ლექსი დააინტერესებს, სწორედ ის, ძებნას რომ ეხება („სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ...“), რადგან იქაც მიუწვდომელია ძებნის ობიექტი. ამიტომ ნიაც, ამ პოეტური შედევრის ლირიკული გმირის მსგავსად, ლექსში „ქარი ქრის...“ საკუთარ ტკივილს ხედავს და ცდილობს, იქ იპოვოს პასუხი კითხვაზე, როგორ უწამლოს „დაავადებულ“ გულს, თუმც – უმედეგოდ. ვერც გალაკტიონის პოეზია მოუტანს შვებას და ვერც ანა კალანდაძის შემოქმედება დაედება სალბუნად, რადგან გოგონა ყველა ლექსში ლირიკული გმირის ცალმხრივი სიყვარულით გამოწვეულ მწუხარებას აწყდება, რაც კიდევ უფრო მეტად თრგუნავს და უარესად უმძაფრებს გულისტკივილს. პოეზიამ ვერ შეძლო ეწამდა მისი სწეულებისათვის. ამდენად, როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსნის“ არქაულობა არაფერ შუაშია, ნია ვერც სასკოლო პროგრამას უდებს გულს და ვერც ვერანაირ კლასიარეშელიტერატურას. ამიტომ რჩება შთაბეჭდილება, რომ რეცენზიის ავტორმა დრო იხელთა და პირადი დამოკიდებულება, უფრო სწორად, პროტესტი გამოხატა ჩვენი სასკოლო პროგრამის მიმართ, რითაც აშკარა წინააღმდეგობაში მოვიდა როგორც მწერალთან, ისე მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟთან. არ დაგვავიწყდეს, რომ ნაირა გელაშვილმა წიგნს სწორედ იმ ნაწარმოებიდან წარუმდღვარა ეპიგრაფი („მომეც

მიჯნურთა სურვილი სიკვდიმდე გასა-ტანისა"), რომლის, როგორც სასკოლო-საპროგრამო მასალის წინააღმდეგაც ასე გულდაგულ ილაშქრებს მისი წიგნის რეცენზიტი და მოზარდებისთვის მოძველებულსა და გამოუსადეგარს უნიფრებს. არც ის უნდა დაგვრჩეს ყურადღების მიღმა, რომ უკვე ლექტორი ნია ლელიშვილი სწორედ „ვეფხისტყაოსანს“ ასწავლის სტუდენტებს და ასწავლის არა უგულოდ და ძალდატანებით, არა ისე, როგორც მოძველებულ-მოსაძულებელ ტექსტს, არამედ მთელი არსებით, მთელი გულითადობით, რადგანაც თვითონაც იმავეს განიცდის, რასაც რუსთაველის სიყვარულით გახელებული პერსონაჟები განიცდიან. მართალია, გარკვეული ასაკობრივი ზღვარია სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს შორის, მაგრამ აქ მთავარი „ვეფხისტყაოსანის“ „მოძველებული“ ენისადმი დამიკიდებულებაა და არა ის, ვინ როდის ეზიარება მისი გენიალური სტრიქონების სიდიადეს. ალბათ, მისალები იქნებოდა გიორგი ლობჟანიძის პროტესტი, საკითხი რომ სხვანაირად დაესვა და პრობლემად დაესახა არა ის, რას ვასწავლით სკოლაში (გნებავთ, უნივერსიტეტებში), არამედ ის, როგორ ვასწავლით.

და კიდევ... გიორგი ლობჟანიძე წერს: „რომანის პირველივე ფრაზები-დან შესანიშნავად ჩანს, როგორ უპირისპირდება ყველა და ყველაფერი პატარა გოგონას ნამდვილ გრძნობას“. გოგონას ნამდვილ გრძნობას ვერანაირად ვერ დაუპირისპირდებოდა ყველა და ყველაფერი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არავინ არაფერი იცოდა მისი გრძნობების შესახებ (გარდა, ნათესავი გოგონასი. მანაც მოგვიანებით შეიტყო, უფრო სწორად, მიხვდა რა ქარბობალაც ტრიალებდა ნიას გულში). ოჯახს აღიზიანებდა ნიას ახირებული, პათოლოგიური ქცევა და საერთოდ არაფერი უწყოდა მისი უნიორმო, აკვიატებული სიყვარულის შესახებ.

რა იცოდა ოცი წლის სტუდენტმა ნიაზე? – იქამდე არაფერი, ვიდრე ნიას მდგომარეობით შეშფოთებულმა ნათე-სავმა გოგონამ არ გაანდო ბიჭს დეი-დაშვილის უთქმელი ტანჯვა-წამების შესახებ. მას მხოლოდ აივანზე ან ფანჯარაში თუ მოუკრავს თვალი მოზარდისთვის. ორი წლის შემდეგ კი, როცა უკვე მისთვისაც ცხადი შეიქნება გოგონას ფანატიკური გატაცების შესახებ, ჯერ სიბრალულს იჩენს მისადმი, გარკვეული სითბოთი და მზრუნველობითაც ეპყრობა და სთხოვს, რომ სკოლას, სწავლას დაუპრუნდეს, შემდეგ კი, ცოტა ხანში, საერთოდაც ყიდის ბინას და საცხოვრებლად სხვა უბანში გადადის. შესაძლოა, ნიას დამღლელ და შემანუხებელ ფანატიზმისაც გაურბის.

გაურკვეველი მერმისისა და მიზნის მქონე ნია ბიჭის დედას პროდუქტებით სავსე ჩანთის ატანაში ეხმარება. მოულოდნელად პურს დასწვდება, აკოცებს და ისევ უკან დააბრუნებს იმის იმედით, რომ შემდეგ იმ პურს მისი სათაყვანებელი არსება ბაგეებით შეეხება. რა არის ეს? – სიყვარული თუ აკვიატება? ფსიქოზად ქცეული სიყვარული არის აკვიატება, რომელსაც სამუდამოდ ვერ მიაძინებ, ვერ დაასამარებ და ვერ შეელევი. ესაა „ადელის სინდრომი“ – უცნაური ფენომენი სიყვარულიდან ფსიქოზამდე. სწორედ ასეთი სინდრომით დაავადდა ნაირა გელაშვილის რომანის მთავარი პერსონაჟიც, რომლის ცხოვრების წესად ქცეულა მანაკალური დევნისა და ძებნის რუტინა.

მართალია, ნია ლელიშვილს გატაცება ფსიქიატრიული საავადმყოფოს კედლებში არ დასრულებულა, როგორც, ჩვეულებრივ, „ადელის სინდრომით“ დაავადებულებს ემართებათ ხოლმე, მაგრამ არც მთლად ჯანსაღად გამოიყურება მისი ცხოვრებისეული სტილი.

მას მერე, რაც ბიჭი ნიას უპნიდან გადავიდა, გოგონამ მიწაზე ჩამოყრილ, მაღალი გამავლობის დენის მავთულებს მოჰკიდა ხელი და თავის მოკვლა სცადა (ბედად, დენი გათიშული იყო), შემდეგ კი მოულოდნელად დაეკარგა დევნისა

და ძებნის სურვილი. მასში ქაოსურად ამოვარდნილ ვნების ქარიშხალს, ყველასაგან მოულოდნელად, უემოციო ინდიფერენტულობა შეენაცვლა. ბიჭის ძებნა აღარ დაუწყია. ამ მონაკვეთიდან მოყოლებული, უკვე მდორედ მიმდინარეობს სიუჟეტი, რაც, თავისთავად, ანელებს მკითხველის მოლოდინს, მაგრამ, ვინაიდან თხრობა კვლავ გრძელდება, ინტერესი მაინც რჩება იმისა, ბოლოს და ბოლოს, იპოვის თუ არა გოგონა ბიჭს, ეგებ ბედმა თავად შეახვედროს ერთმანეთს და გასრულდეს მათი ამბავიც „ვითა სიზმარი ღამისა“ და გასრულდეს ისეთივე ტკბილად და ბედნიერად, როგორც იმათი ამბავი გასრულდა, ვის შესახებაც მოთხრობილია „ვეფხისტყაოსანში“. აი, სწორედ ამ განცდით აგრძელებს რეციფიენტი რომანის კითხვას, მაგრამ... არაფერი განსაკუთრებული.

ვაჟის წასვლის შემდეგ ნია ჩვეულებრივად აგრძელებს ცხოვრებას. შევბას საყვარელ საქმიანობაში ჰპოვებს. პროფესიის არჩევასაც ბიჭს დაუკავშირებს – გერმანულის ლექტორი გახდება იმის გამო, რომ ოდესლაც **მას** მოატყუა, გერმანული კარგად ვიციო (საკუთარი ტყუილით შეძრული საბრალო გოგო პირდაპირ დაეწაფა გერმანულს, რათა **მასთან** შემდგომი შეხვედისას პირნათელი ყოფილიყო). ნიას დამოკიდებულება სტუდენტებთან, თანამშრომლებთან, მეგობრებსა თუ ზოგადად, საზოგადოებასთან საკმაოდ მშვიდი და განონასწორებულია. თავიდან თითქოს ეგუება კიდეც არსებულ სინამდვილეს, მეტიც, ოჯახსაც შექმნის, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მისი სიმშვიდე კვლავ ირლვევა, ისევ იღვიძებს პერიოდულად მიძინებული მანია ამოჩემებულ-აკვიატებული ძებნისა და ასე, ხუთ წელიწადში ერთხელ, გართულებულ ქრონიკული დაავადებასავით უტევს შეყვარებული პოვნის სურვილი. ეს მანია ქმართან განქორწინების შემდეგ კვლავ განუახლდა და უკვე ზრდასრულ ქალ მთელი ძალით შემოუტია. მანამდე კი,

მთელი ოცდათოთხმეტი წელი, ისეთივე ყოველდღიურობით ცხოვრობდა, როგორც ასობით და ასი ათასობით ადამიანი ცხოვრობს.

ხუთ წელიწადში ერთხელ გრძნობების ამოფრქვევა და ასეთი რუტინით სამოცდასამ წლამდე მიღწევა არ უნდა იყოს მთლად ჯანსაღი ადამიანის ცხოვრების წესი, თუმც ნია, ერთი შეხედვით, ჯანსაღიც არის და საკმაოდ წარმატებული ქალბატონიც.

და აი, ორმოცდათერთმეტი წლის შემდეგ, როგორც იქნა, იპოვა ქალმა საოცნებო მამაკაცი – გოგი კორდია. იპოვა, ჯიუტი ძალისხმევისა და უდიდესი შეუპოვრობის ხარჯზე. სწორედ ამ დროს აღწევს ნანარმოები კულმინაციას, სწორედ აქ მართებდა მწერალს ოსტატობის გამოვლენა, მაგრამ ნაირა გელაშვილმა ეს პრობლემა მარტივად და უინტერესოდ გადაწყვიტა – მოულოდნელად ნია უარს ამბობს სანატრელ მამაკაცთან შეხვედრაზე. ისევე როგორც პირველ ჯერზე, ამჯერადაც განბილებული რჩება მკითხველი. რას ნიშნავს ნიას საქციელი?! როგორ გავიგოთ მისი ქმედება?! საერთოდ, რა ჰქვია ამას?! – მიღწეულით განელებული აზარტი?! რატომ აქვს ნანარმოებს ასეთი არაფრისმომცემი დასასრული?! თუ ის არის მიზეზი, რომ ნიას სურს მის მეხსიერებაში ისეთად დარჩეს საყვარელი მამაკაცი, როგორიც ახალგაზრდობაში იყო და ისეთი სასტიკი იმედგაცრუება აირიდოს თავიდან, დემნა შენგელაიას პერსონაჟ ბათა ქექიას რომ დაემართა თავისი ცხოვრების დიდი სიყვარულის, უკვე მიხრწნილობაში მყოფი სიდუ დანელიხეს დანახვისას, ასეთი საბუთი მეტად უსუსური იქნებოდა. ვიდრე ამ კითხვას კვლავ დავუბრუნდებოდე, მანამდე „ბათა ქექიას“ ფინალი გავიხსენოთ: ბაზრობაზე ბათა ქექიამ სიჭაბუკისა და ვაჟკაცობის ოცნება, სიყვარული და სილამაზე სიდუ – დანელიხე ნახა დაბერებული. „დროს მოეკლა ამ ქალის მშვენება. უკბილო, დამჭერია, მიხრწნილი დედაბრის პირით ცხოვრებამ გაიცინა და ბათა ქექ-

იას უკანასკნელი თამაში მოუგო“ (აკაკი ბაქრაძე).

ასეთი ფინალი დემნა შენგელა-იას რომანისა სავსებით ლოგიკურია, რადგან იგი ნაწარმოების კონცეფ-ციიდან გამომდინარეობს. ბათა ქექია ის პერსონაჟია, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ირონიის ზღვარზე გადის, ყველას და ყველაფერს ირონიით უყურებს და სწორედ ამან გააძლებინა მუხთალ წუთისოფელში, მაგრამ, როგორც აკაკი ბაქრაძე შენიშვნავს: „სიცილის ოსტატი ისევ სიცილით დამარცხდა. ასეთი ყოფილა ცხოვრების კანონი. მისი დარღვევა არავის შესძლებია. ვერც ბათა ქექიამ მოახერხა ეს“.

შეიძლება იმის დაშვება, რომ რეალობასთან ასეთივე შეჯახება გარდა-უვალი იქნებოდა ნაირა გელაშვილის პერსონაჟისთვისაც და შეიძლებოდა ამ მიზეზითაც ეთქვა უარი საყვარელ მამაკაცთან შეხვედრაზე, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი, მკითხველის ვარაუდია და მისი პასუხი ნაწარმოებში არ არის. მხატვრული ნაწარმოების ფინალი რებუსი არ არის, რომ მკითხველის ამოსაცნობი იყოს. ქალი ორმოცდა-თერთმეტი წლის განმავლობაში ეძებდა კაცს, ეძებდა ყველგან და ყოველთვის და ამ ძებნის პროცესში ჩართული ჰყავდა მეგობარიც. იძოვა და ახლა უკვე მკითხველი ელოდება ამ ძებნის შედეგს – მათ შეხვედრას, ფსიქოლოგიურად მოტივირებულ, მხატვრული დამაჯერებლობითა და მწერლური ოსტატობით შესრულებულ ფინალს. საკითხავია, რატომ აძებნინა მწერალმა ქალს საყვარელი მამაკაცი ნახევარი საუკუნის მანძილზე, რა საჭირო იყო ამდენი ვნებათაღელვა, თუკი ბოლოს ამ ყველაფერს ასეთი უინტერესო და არაფრისმომცემი დასასრული ექნებოდა? აქ ნამდვილად არ გამოგვადგება გურამ რჩეულიშვილის სიტყვები „ალა-ვერდობაში“ რომ იტყვის: „ვნების სიმ-ძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“-ო.

ზემოთნახსენები ქალ-ვაჟის ბოლო შეხვედრის, სტუდენტის მიმართ ნია-

სადმი გამოჩენილი არნახულად სათუთი მოპყრობის შემდეგ, მას შემდეგ, რაც გოგონამ გადალახა შიში იმისა, რომ ვაჟს თვალს ვერ გაუწორებდა, რაც ენით უთქმელი ნეტარება და ბედნიერება იგემა, რის გამოც სამყაროც გაფერადდა და ოჯახის წევრების მოფერების სურვილიც გაუჩნდა, მკითხველი ინტერესით ელოდება, რომ ნაწარმოებს აუცილებლად ექნება ლოგიკური დასასრული, მაგრამ ამაოდ... რომანმა ორჯერ მიაღწია კულმინაციას და ორივე ჯერზე ჩავარდნაა, ეს კი, ვფიქრობ, რომანის სერიოზული ნაკლია.

და კიდევ... მთავარი პერსონაჟის მოქანცველი დევნა ვაჟისადმი თხრობის სტილზეც აისახება და მკითხველ-საც საკმაოდ ღლის. „მე ის ვარ“ არ არის ისეთი ნაწარმოები, რომელსაც ერთი ამოსუნთქვით წაიკითხავ. ზემოთ აღნიშული სათაურისა და ფოტოსურათის შეფარული სათქმელის გარდა, ვერც ქვეტექსტების არსებობა დაგაფიქრებს. ეს არის უიდეო ტექსტი ცოტათი მოსაწყენი სიუჟეტით, რომელიც საბოლოოდ გიტოვებს დიდ იმედგაც-რუებას თავისი არაფრისმთქმელი და-სასრულით. ვფიქრობ, მწერალმა სათანადო ფინალი ვერ მოუნახა საკუთარ რომანს, არადა, მწერლობა ხშირად მხოლოდ ერთი ფრაზა ან წინადადებაა, რითაც უმთავრესი სათქმელი, ნაწარმოების დედააზრია გამოთქმული. რევაზ ინანიშვილმა მოთხრობა „სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა“, ნიკოლორთქიფანიძის „თავსაფრიან დედა-კაცს“ მიუძღვნა. რომ არა ნაწარმოების ფინალური ფრაზა, მწერალი, ალბათ, ახალს ვერაფერს ეტყოდა მკითხველს ქართველ ქვრივ დედაკაცზე, მაგრამ დაწერს რევაზ ინანიშვილი კაკლის ხიდან ჩამოვარდნილი ბარბარეს შესახებ თითქოს მარტივ, მაგრამ ბევრისდამტევ წინადადებას – „მიწაზე დაცემულ-მა ერთი ესლა შესძლო, მუხლებზე კაბა გადაიფარა“ – და მთელი ნაწარმოების კონცეფციასაც ჩატატევს შიგ და მთავარი პერსონაჟის მხატვრულ სახესაც –

მის ქალურ ბუნებასა და ზნეობრივ მხა-  
რეს დახატავს.

ამგვარი მაგალითების მოხმობა უხ-  
ვად შეიძლება, მაგრამ, მკითხველი რომ  
არ შევაძეზრო, აქ შევჩერდები. სამწუ-  
ხაროდ, ნაირა გელაშვილის მოცემულ  
რომანში ასეთი ტევადი ფრაზები, ანუ  
ის, რაც ტექსტს მხატვრულ ხიბლ-  
საც სძენს და აზრობრივ შინაარსასაც  
გამოკვეთს, არ არის. არადა, ამ ნაწარ-  
მოებზე, ქება-დიდების გარდა, არა-  
ფერი წამიკითხავს. ინტერნეტფორმუმ  
„მასწავლებელი ჯი“-ზე ლევან ლორ-  
თქიფანიძის რეცენზიას შეხვდებით აღ-  
ნიშნულ რომანთან დაკავშირებით. ლე-  
ვან ლორთქიფანიძე წერს:

„რამდენიმე კვირის წინ „Die Presss“-  
ს (ერთ-ერთი მთავარი ავსტრიული გა-  
ზეთის) ვებგვერდზე მოულოდნელად  
მცირე რეცენზია აღმოვაჩინე. რეცენ-  
ზის ავტორი, მიმომხილველი იუტა  
ზომერბაუერი, ნაირა გელაშვილის ნა-  
წარმოებს წარმტაც და იუმორით სავსე  
რომანად მოიხსენიებდა. ცხადია, და-  
ვინტერესდი. ცოტა შემრცხვა კიდევ-

კიდევ ერთხელ აღმოვაჩინე, რომ მეც  
ჩვეულებრივი უმადური ვარ, რომელ-  
საც საკუთარ ბალში თურაშაულის და-  
ნახვა უჭირს და პანტის საშოვნელად  
აქეთ-იქით დაეხეტება. თუმცა ჯობს  
გვიან, ვიდრე არასდროს“, – ციტატის  
დასასრული.

ესეც ერთი, უცნაურობად ქცეული  
ჩვენი ხასიათის სამწუხარო გამოვლინე-  
ბა – რატომ გვგონია ქართველებს აუ-  
ცილებლად მისაღები და მოსაწონი უც-  
ხოელი რეცენზენტისა თუ მიმომხილ-  
ველის მოსაზრება?! რატომ მიგვაჩინია,  
რომ უცხოელის ნათქვამი უტყუარი  
ჭეშმარიტებაა?! არაფერს ვიტყვი იმა-  
ზე, რამდენად „წარმტაცი“, მით უფრო  
„იუმორით სავსეა“ მოცემული ნაწარ-  
მოები. მაინც სად ნახა ავსტრიელმა მი-  
მომხილველმა იუმორი ამ მინირომანში.  
ის კი არა, სერიოზული ეჭვი მიჩნდება,  
საერთოდ კი წაიკითხეს ეს ნაწარმოები  
ავსტრიელმა მიმომხილველმა და ჩვე-  
ნებურმა კრიტიკოსმა?! – ამის განსჯა  
უკვე მკითხველისთვის მიმინდვია.

## გიორგი შერვაშიძე

### ახერიაული ოცნება ერთმოქმედებიანი დრამა



**მოქმედი პირი:**

**მანანა:** მთავარი მოქმედი პირი, რომელიც ამერიკიდან სამშობლოში ბრუნდება და თან ჩამოჰყავს მოხუცი ქალბატონი, რომელსაც წლების განმავლობაში უვლიდა.

**ჯულია:** სწორედ ის მოხუცი ქალბატონი, რომელიც მანანამ სამშობლოში ჩამოიყვანა და ახლა აქ უნდა მოუაროს.

**დალი (ხმა):** მანანას მამიდაშვილი, რომელიც ხშირად ურეკავს. ისიც მომვლელად მუშაობს საბერძნეთში.

**თამთა:** მანანას ქალიშვილი. მისი იდეაფიქსია ნარკომანი ქმრის, რომელიც ამჟამადაც ციხეში ზის, პრობლემებით ცხოვრება.

**ჯიმი:** მანანას მეუღლე, რომელიც თურმე ცოლს ლალატობდა და თან საუკეთესო დაქალთან.

**რუსო:** სწორედ ის საუკეთესო დაქალი, რომელმაც მანანას ქმარი წაართვა.

**ნიაკო:** მანანას უფროსი შვილიშვილი, რომელსაც ჰყავს ბოიფრენდი.

**გიგი:** ნიაკოს ბოიფრენდი, რომელიც ჩატიკლულია სექსზე.

**ლევანი:** მანანას ვაჟიშვილი, რომელსაც ჰყავს ოთხი მცირენლოვანი შვილი და აქვს ბევრი ვალი, რადგან თამაშობს.

**დავიდი:** ჯულიას შვილის, ბატონი ჯორდანის ადვოკატი და ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში.

**სურათი პირველი:**

სცენაზე დგას ძველი, მრგვალი ხის მაგიდა და ოთხი ასევე ხის სკამი. ოთახის ერთ კუთხეში – ძველებური ტანსაცმლის კარადა და იმავე ფაქტურის საწოლი, ხოლო მეორე კუთხეში – ფარდაჩამოფარებული განჯინა და ტუმბოზე მდგარი ძველისძველი ტელევიზორია განთავსებული. კედელზე გახუნებული ხალიჩა პკიდია და ოთახს მაგიდის თავზე დაკიდებული მტვრიანი აბაური ანათებს. ლოგინის ქვეშ გასაშლელი საწოლია შენახული. მაგიდასთან სამოც წლამდე ქალი ზის და გახსნილ ნოუთბუქს ჩასცერის. მის გვერდით ეტლი დგას, რომელშიც ძალა ხნიერი მანდილოსანია მოკალათებული. მოხუცს სახეზე უანგბადის ნიღაბი უკეთია და მკლავში კათეტერი უდგას, რომლის გადასხმის სისტემაც ეტლზევეა მიმაგრებული.

**მანანა:** კი, დალი, ჩამოვედი გოგო, აბა, მართლა სამუდამოდ იქ ხომ არ დავრჩებოდი? შენ როგორ ხარ? რა არის შენსკენ ახალი?

**დალი** (ხმა): მე რა მიშავს, გოგო, ვარ ისევ ამ ჩემს საპერნენტში და ვმუშაობ... ვუვლი ამ ჩემს გამოშტერებულ ქალს და ვარ ასე... ხან წნევა მანუხებს და ხან რევმატიზმი. შენ ის მითხარი, შენ როგორ ხარ? გაგიარა თავბრუს-ხვევებმა?

**მანანა:** არა, გოგო, არ გამიარა. პირიქით, ისეთს შემაქანებს ხოლმე, ლამის ძირს გამაგოროს. წამოსვლამდე ანალიზებიც კი გავიკეთე. მე ხომ იქაური დაზღვავაც მაქვს. აბა, რაც ამერიკის მოქალაქე გავზდი, იმაზე ბევრად უკეთესი სადაზღვევო პაკეტი გამიხდა, ვიდრე მაშინ, როცა მარტო სოციალური მქონდა... ჰოდა, ძაან რომ შემანუსა ამ თავბრუსხვევებმა და სისუსტეებმა, გოგო, მერე სიცხეც მომცა რამდენჯერმე და პირდებინებებიც დამეწყო, წავედი კლინიკაში და სულ ყველაფერი გამოვიყვლიე.

**დალი** (ხმა): მერე რაო? რა გითხრეს, რა განუხებსო? რამე სერიოზული ხომ არაა?

**მანანა:** რაო და ჭირი მაგათ, სანამ ყველა ანალიზის პასუხი არ მოვა, ვერაფერს გეტყვითო. ამ პასუხებმა კი-დევ ისე დაიგვიანეს, რომ ისე წამოვედი, ვერც ვერაფერი გავარკვიე. ეს თავბრუ კიდევ ისევ მესხმის და სიცხესაც სამ დღეში ერთხელ ისევ მაძლევს... და აბა, რა გითხრა, რით დაგამშვიდო და ან კი თავი რით ვინუგეშო. იმედია, მართლა სერიოზული არაფერი იქნება და მეც მალე დავისვენებ. მოვკვდი ქალი ნერვიულობით ამ პასუხების მოლოდინში. ალბათ, მოვა ანი ეს დასაწვავი პასუხებიც და მეც დავმშვიდდები. მეილზე გამოგიგზავნით, ასე შემპირდნენ.

**დალი** (ხმა): არაფერიც არ იქნება. დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები. აგერ მე და აგერ შენ... არაფერი იდარდო და მაგის ჯავრი არ გქონდეს. შენ ის მითხარი, იმ შენს ბებოს რა უქენი, როგორ დატოვე, გოგო? როგორ შეელიე? ჩემგან განსხვავებით, გადარეული იყავი მაგაზე და მზე და მთვარე ამოგდიოდა და ასე უცებ როგორ მიატოვე? ისე, ხომ არ მოკვდა, გოგო?

**მანანა:** არა, რა მოკვდა. ა, აგერ მყავს ეს ჩემი ჯულიაც. შეხედე, როგორ ვარდივითაა.

ქალი ნოუთბუქს მოხუცისკენ აბრუნებს და კისკისებს. მერე ჯულიას ეუბნება: *Wave to Dali Julia*. ქალი არ ინძრევა. მაშინ მანანა მკლავში ხელს ჰკიდებს, ზევით სწევს და დალის ხელს ერთად უქნევენ.

**დალი** (ხმა): არ გამაგიურ, გოგო, ეს რა, მართლა თან წამოიყვანე? ვაიმე, მანანა, შენ რა, მართლა გადაირიე? რად გინდოდა, გოგო, ეგ ქალი, მანდ რამ ჩაგაყვანინა? ნამდვილი გადარეული ხარ, რა!

ქალები ხმამაღლა იცინიან. მანანა ბჟირდება. დალის ხველება უტყდება.

**მანანა:** წამოვიყვანე გოგო, აბა, რა მექნა, იქ ხომ არ დავაგდებდი? ახლა მოგიყვე, რა მოხდა. მოკლედ, ეს წლები მე ხომ სხვაგან არ მიმუშავია და მარტო ამას ვუვლიდი. კარგადაც მიხიდინენ, რადგან, ხომ იცი, ამას ჩვეულებრივი მომვლელი ვერ მიხედავს და ექთანი სჭირდება. აი, ხომ ხედავ, ახლაც როგორაა – მე თუ არ დავეხმარე, თავისით ვერაფერს იზამს. ცალკე კიდევ ეს წამლები, გადასხმები და მთელი პროცედურებია. მე კიდევ ეს ექთნის კურსები ხომ სანამ წავიდოდი, მანამდე გავიარე?! სერტიფიკატიც კი ავიღე... ჰოდა, რას გიყვებოდი, უი, სულ დამავიწყდა.

**დალი** (ხმა): რას მიყვებოდი და ეგ ქალი მანდ როგორ აღმოჩნდა.

**მანანა:** ჰო, გამახსენდა, მოკლედ, ჯულიას ოჯახი ამის შენახვის ხარჯს თურმე მისივე დანაზოგიდან იხდიდა, ანუ ჯულია ჩემს ხელფას თავისი შეგროვილი და გადადებული ფულიდან მაძლევდა, რა. ხედავ, როგორი წინდახედული და ჭკვიანი ქალია? იმაზეც კი იზრუნა, სიბერეში არავინ შეეწუხებინა. ჰოდა, ერთ დღესაც მოვიდა ამისი ბიჭი და მითხრა, ჯულიას დანაზოგი დამთავრდა და ჩვენ მაგლენს ვერ გადაგიხდითო. აბა, ისე ხუმრობა ხომ

არაა, ქალი თავისი თავის მოვლის ხარჯს თორმეტი წელი იხდიდა, თან სამამაგად ძვირს, ვიდრე ჩვეულებრივ მომვლელებს უხდიან. მერე გათავდებოდა ის ფული, აბა, რა იქნებოდა. არადა, მე რომ ამათთან მივედი, ყველას ეგონა, ექვს თვეზე მეტი ვერ იცოცხლებდა. მაშინ გაუონვაც ახალი გადატანილი ჰქონდა და ცალი მხარე სულ წარმეოდა. მე კიდევ ისე მოვუარე და მოვაკოხტავე, აგრე შენც კი ხედავ, როგორ დედოფალივითაა.

**დალი** (ხმა): სად იპოვეთ ერთმანეთი? ბედი გქონია შენც და მაგასაც, აბა, მე უკვე სამი მოხუცი გამოვიტორე, გოგო, გადარევას ვარ. ქალმა წელინადი ვერ ვიმუშავე ერთ ოჯახში. სულ პანტაპუნტით იხოცებიან ეს ჩემი ცოდვით სავსე მოხუცები. გაფიცებ, თუ არ მასწავლო, რას უშვები ახლა მაგ ქალს ისეთს, ასე რომ ას წლამდე აცოცხლებ?!

ქალები ისევ იცინიან. მანანა ისევ ბუირდება და დალის კი ისევ ხველა უვარდება. მანანას თავბრუ ეხვევა და დალის ხელით ანიშნებს, მადროვეო. ოთახიდან ბარბაცით გადის და წყლიანი ჭიქით ბრუნდება.

**მანანა:** აი, ისევ დამეხვა თავბრუ. ვანენალა რა ვული...

**დალი** (ხმა): მერე, მერე რა მოხდა, მოყევი გოგო, გავგიუდი ქალი ცნობის-მოყვარეობით? რაო, მაგისმა აბდალმა შვილმა, გაჩუქექ მაშინ ჩემს დედასო?

ქალები ისევ იცინიან. მანანა მალევე ჩერდება და წყალს სვამს. დალი სანამ ისევ ხველა არ აუვარდება, იცინის.

**მანანა:** რაო და უნდა დაგემშვიდობო. ეს სახლი უნდა გავყიდო და ეს ჩემი დედა მოხუცთა თავშესაფარში ჩავაბაროო. მაგ თავშესაფრის ფული კი, ისევ ამ სახლის გაყიდვიდან შემოსული თანხით უნდა ვიხადოო. ის თავშესაფარი ბევრად უფრო იაფია, ვიდრე შენ გიხდით, ასე რომ უკაცრავად და იქაც კარგად მიხედავენ...

**დალი** (ხმა): ფუი, შეურცხვა ნამუ-

სი და ვაცობა. ესე იგი, დედაჩემისთვის კაპიკს არ გავიღებ და ისევ თვითონ საკუთარი სახლის ფულით უნდა იხადოს თავის თავის მოვლა-პატრონბის ფულიო? ეგ ყოფილა უნამუსო და გათახსირებული კაცი. მაგას დედა არ ყვარებია. გაეჭირვებინა პატარა, აელო ვალი და გადაეხადა შენთვის. დედაც იქვე ეყოლებოდა, თან კარგად მოვლილი და ნაპატრონები და ის სახლიც ისევ მაგას დარჩებოდა. რას გერჩოდა და რას გიშვებდა აქეთ, ეგ ბედოვლათი? ისე, გოგო და, ეგ ქალი აქეთ რატომ წამოიყანე, მაინც ვერ გავიგე?

**მანანა:** არ დამამთავრებინე და როგორ გაიგებდი. ჰოდა, ეგ რომ მითხრა, შემომეყარა გულზე და წამომცვიდა ცრემლები. ცალკე ჯულია აზლუქუნდა, არ მინდა მე მოხუცთა თავშესაფარში, ჩემს სახლში მირჩევნია, ჩემს მანანასთან ერთადო.

**დალი** (ხმა): მაიცა, ეგ რა, ლაპარაკობს კიდეც? მე ეგ შენი ჯულიაა თუ ღრჯულია, მთლად მუნჯი და გამოთაყვანებული მეგონა.

**მანანა:** მუნჯი და გამოთაყვანებული შენ ხარ. ძალიან კარგადაც ესმის, ხედავს, აზროვნებს და განიცდის კიდეც. მოკლედ, ბევრი ვიტირეთ თუ ცოტა, ბოლოს ეგეთი რამე მოვიფირე. ვუთხარი, ჯორდან, ასე ჰქვია ამის შვილს, მოდი, იცი, როგორ ვქნათ და რაც ეგ თავშესაფარი ჯდება, იმდენი გადამიხადე და ამას მე მივხედავ-მეთქი. ეს ჯორდანი სულ გაგიუდა, ეგ როგორო, კაცო, ხომ გითხარი, ეს სახლი უნდა გავყიდოო. მერე გაყიდე, მაგას ვინ გიმლის-თქო. მე ჩემს ჯულიას თან, ჩემს სამშობლოში, ჩემს სახლში წავიყვან და შენ კიდევ ყოველთვიურად ის თანხა ჩამირიცხე, რაც იმ მოხუცებულთა თავშესაფარში უნდა გეხადა-მეთქი. აბა, ხომ კარგად მოვიფირე?

**დალი** (ხმა): ვაა, ეს მართლა რა საოცრად მოგიფირებია, მანანა, შენ რა გითხარი... ზუსტად ვიცი, ეგ ქალი ვერ გაიმეტე, თორემ რაში გაწყობდა ახლა ეს ყველაფერი? წამოხვიდოდი შენებთან და იქნებოდი კოხტად შენს შვილებში, შვილიშვილებში. რა, არ გე-

კუთვის თუ? ხომ ინახავდი ამდენი წელი ამდენ ხალხს და ახლა ესენი მოგხედავდნენ ცოტას. გაგანებივრებდნენ და გატარებდნენ ხელისგულზე... და შენ კიდევ აიტკიე აუტკივარი თავი და გაიჩინე ახალი საზრუნავი. ნამდვილი ღვთისნიერი ადამიანი ხარ, რა...

**მანანა:** კი, ნაღდად ეგრე იყო და ვერ გავიმეტე ჩემი ჯულია იქ დასატოვებლად. ზუსტად ვიცი, ვერ მიხედავდნენ, ისე როგორც საჭიროა და მერე მე აქ მომკლავდა მაგის დარდი და ამას კიდევ იქ უჩემობა. მოკლედ, დაუჯდა ჯორდანსაც ეს ჩემი სიტყვები ჭკუაში. წავალ ჩემს ცოლსაც დავეკითხები, ყველაფერს აგწონ-დაგწონი და საღამოს გეტყვი პასუხსო. რა მოიფიქრეს, კი ხედავ. ასე ჩამოვედით სამშობლოში მე და ჩემი ჯულია და ანი რაღა გვიჭირს? ვიქნებით ასე თბილად და ტკბილად.

**დალი (ხმა):** მანანა, შენ მართლა გადამრევ, რა. ნამდვილი გიში და გადარეული ხარ. იმედია, ის ჯორდანია თუ ვიღაც ზმუკი, მართლა გადაგიხდის, რასაც შეგპირდა და ისე არ გამოვა, ეგ მოხუციც შენ შეგატოვოს და ეგეც შენი სარჩენი გახდეს.

ქალები ისევ იცინიან. ისმის ზარის ხმა. მანანა დალის ემშვიდობება, ნოუთბუქს ხურავს და ოთახიდან კარის გასაღებად გადის.

#### სურათი მეორე:

ოთახში შემოდის მანანა, უკან მოსდევს ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ბევრი სამკაული აქვს ასხმული და სიარულისას უღრიალებს.

**მანანა:** სად ხარ თამთა, დედა, აქამდე? გადამრევთ შენ და შენი ძმა. მესამე დღეა ჩამოვედი და აეროპორტის შემდეგ პირველად გხედავ. ის შენი ძმა კიდევ საერთოდ არ გამოჩენილა. არც კი დაურეკავს. საქმეა ახლა ეს? მამაშენი ხომ საერთოდ გადაჰყვა იმ სახლის რემონტს. მომიყვანა აქ, შემომაგდო დედაჩემის დანატოვარ ამ ჩანთხლეულ სახლში და თვითონ კი გაუჩინარ-

და. სულ ერთი და იგივეს გაიძახის, არ მცალია, მუშებს უნდა დავადგე თავზე. რა აქეს მაგ სახლს ეგეთი სარემონტო, რომ ორი წელია აკეთებს? მომენატრეთ, გოგო ყველანი და რატომ არ გესმით ჩემი?

**თამთა:** კარგი, რა დედა, ნუ იცი ხოლმე ესე ჩაციება. არ მეცალა და ვერ გამოგიარე... და ეს ქალი ასე ფიტულივით რატომ მიყურებს?

**მანანა:** გაანებე მაგ ქალს თავი... მოეწონე და გიყურებს... და დასარეკადაც ვერ მოიცალე ხომ? ვერც შენ, ვერც შენმა ძმა და ვერც მამაშენმა? აი, ეგა ყველაზე ცუდი, რომ, რასაც შენი შვილი უყურებს, მერე ისიც იმავეს შვრება. არც ეგ ქალბატონი გამოჩენილა და არც მას დაურეკავს. არადა, როცა ვჭირდები, სულ ბებაბებას გაიძახის და ახლა აქ რომ ვარ, აღარ ვახსოვარ. მგონი, ჩემი ჩამოსვლა არც არავის გაგხარებით.

**თამთა:** ოოო, მორჩი რა, დედა. მოვა ნიაკოც, ლევანიც, ჯიმიც და ყველანი სათითაოდ გინახულებენ. დაწყინარდი, ყველას უყვარხარ და მოენატრე. უბრალოდ, ეტყობა, ვერ მოიცალეს. აი, მე ხომ მოვახერხე და მოვედი, ეგენიც ეგრე შემოგივლიან. დედა, რამე გულის ნამალი გექნება და დამალევინე, რა. დილიდან მიფრიალებს... ყავაც კი ვერ დავლიე.

**მანანა:** რა დროს შენი გულის ფრიალია, ხომ მშვიდობით ხარ? ისე კაი გამახსენე, ჯულიასთვის წნევა კი არ გამიზომავს. მადროვე ერთი...

მანანა დგება და ჯულიას ეტლი მაგიდასთან მიჰყავს. კარადიდან წნევის აპარატს და წამლების პარკს იღებს. მოხუცს წნევას უზომავს, იღიმის და კმაყოფილი აქნევს თავს: *You are okey, do not worry Julia.* შემდეგ მომცროპარკიდან წამალს იღებს და ერთ აბს თამთას ანვდის.

**მანანა:** აი, ეს დალიე. არაა ძლიერი წამალი და მოგიხდება. ისე, არ მომწონხარ, დედა ამ ბოლო დროს. რაღაც გადალლილი და გამოფიტული მეჩვენები. რა ხდება, ხომ მშვიდობა გაქვს

სახლში? შენი ძვირფასი ბიზნესმენი მეუღლე ხომ არ გაპრაზებს? ისე, სადაა თემიკო, არც აეროპორტში მომიკრავს თვალი. ისევ ვერ მოიცალა ხომ ვაჟბატონმა? ხომ კარგადაა?

უეცრად თამთა სახეზე ხელებს იფარებს და ტირილის ინყებს. მანანა ძალიან იბნევა. ქალიშვილს გულში იკრავს და ამშვიდებს. თამთა მისი მკლავებიდან თავს ინთავისუფლებს და ყვირის:

**თამთა:** არა დედა, ძალიან ცუდადაა თემიკო, ძალიან... ეგეც ცუდადაა და მეც საშინლად ვარ. წარმოიდგინე, რომ ყველანი დიდ ტრაკში ვართ... დაჭერილია შენი ძვირფასი სიძე და ახლა ციხეშია. ჰო, რატომ მიყურებ ეგრე გაოცებული, რა, არ იცოდი ეს ამბავი? არავის უხარებია იქ, ამერიკაში შენთვის, რომ შენი ძვირფასი სიძე უკვე მესამედ დაიჭირეს და ახლა, ალბათ, კაი დიდ სროკსაც მიარჩობენ. შენ, რა მართლა არ იცოდი ეს ამბავი?

**მანანა:** დედა, შენ რა გადაირიე? რას მელაპარაკები? სად თემიკო და სად ციხე? ხუმრობ, ალბათ, ხომ, თამთა? გეხვეწები, გაჩერდი ახლა თორემ გული გამისკდება და მოვკვდები. წუშვები ეგრე...

**თამთა:** კი, დედა ეგრეა და შენი ნაბიჭვარი სიძე ახლაც ციხეშია. ორჯერ გამოვათრიე იქიდან. აი, ყველაფერი გავყიდე, ეგ რომ გარეთ გამოსულიყო და მაინც იგივე ქნა მაგ ლორმა და ისეც ჩაწვა წუმპეში.

**მანანა:** დედა, არაფერი მესმის, რას ლაპარაკობ? ამიხსენი, რა მოხდა, თორემ საცაა, გული საგულედან ამომივარდება. რა გჭირთ, რა წუმპე, რა გაყიდე? საერთოდ რა ამბავია?

**თამთა:** რა ამბავია და ის ამბავია, რომ ნაბიჭვარი თემიკო განარკომანდა და დააქცია ოჯახი. ჰო, შენი სანაქებო სიძე მორფინისტია. ორჯერ დაიჭირეს ნარკოტიკებზე და ორივეჯერ გამოვიყვანე. სულ ყველაფერი გავყიდე. სახლიც, მანქანაც, აგარაკიც, ჩვენი ძველი ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაც და აი, სულ ყველაფერი გავიღე, ოღონდ

ეგ გამომეყვანა და ერთი თვის წინ კი ისევ დაიჭირეს. ისევ წამალზე და ახლა რაღა ვქნა, აღარ ვიცი. მირჩიე, დედა რამე! რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

თამთა მაგიდაზე ემხობა და ისტერიკულად ტირის. ცახცახებს და მთელ ხმაზე მოთქვამს: – მიშველე, დედა, მიშველე, დედა... დავიღუპეთ, დედა...

მანანა შვილთან მიდის, გვერდით უჯდება, ეხუტება და თავზე ეფერება:

**მანანა:** ეს რა მითხარი, შენ მოგიკვდეს შენი დედა. ეს რა ამბავში ყოფილხარ და მე კი არაფერი ვიცოდი, შენ გენაცვალე, ჩემო თვალის ჩინო და დედას იმედო. დამშვიდდი, დედა გენაცვალოს. ახლა დედა შენთანაა და ყველაფერის იზამს, რომ შენ ბედნიერი იყო... მითხარი და ყველაფერი მომიყევი... მითხარი, რა არის საჭირო?

ტირილი მანანასაც უვარდება. თამთა დედას ეხუტება, კოცნის და ნელნელა ორივენი მშვიდდებიან. ჯულია ისეგაუნძრევლად ზის და დედა-შვილს მისჩერებია.

**თამთა:** ისევ უნდა გამოვიყვანოთ.

**მანანა:** კი დედა, როგორც შენ იტყვი, ისე ვქნათ, ოღონდ შენ არ ინერვიულო და აღარ იტირო. მითხარი, როგორ უნდა მოვიქცეთ. მომიყევი, რა მოხდა, როგორ ალმოჩნდით ამ დღეში. რატომ თავიდანვე არ გამაგებინეთ ეს ამბავი?

**თამთა:** და რა მეთქვა, რომ თემიკო გამორფინისტდა? ფულს რომ იპარავდა სახლიდან? მაღაზიდან? ოქროებს რომ ალომბარდებდა? რომელი ერთი მომეყოლა? ან შენ რას მიშველიდი, დედა? რას იზამდი, მეტყოდი, მიატოვე და ნამოდიო? და განა მე არ ვიცი, რომ ასე უნდა მექნა, მაგრამ რა ვქნა, რომ მიყვარს ეგ დამპალი და არ შემიძლია მაგის გარეშე ცხოვრება. გესმის, დედა, არ შემიძლია თემიკოს გარეშე ყოფნა. ვერ მივატოვე და ბოლომდე ჩავყევი ამ ჯოჯოხეთში.

**მანანა:** დამშვიდდი დედა, რაღაცას

მოვიფიქრებთ, რაღაცას ვიზამთ. შენ ხომ მარტო არა ხარ? ჩვენ ხომ შენს გვერდით ვართ... ჩვენებიც... თემიკო-სებიც...

**თამთა:** ვინ ჩვენები დედა? ვინ თემიკოსები? ალარავის ჩვენი დანახვა ალარ უნდა. სამადლოდ ჩემს მაზლთან, თემიკოს ძმასთან გარაუში ვცხოვრობთ, იცი, შენ? გარაუში დედა, სადაც საბურავები და ლვინოები ალაგია, სადაც ადრე საქეიფო ჰქონდათ მოწყობილი, ახლა იქ შენს შვილიშვილს სძინავს. აი, საერთოდ ალარაფერი გვაქვს ჩვენი, აი, საერთოდ ალარავის უნდა ჩვენი დანახვა. აი, საერთოდ ყველას ვალი გვაქვს, ვისაც კი იცნობ და არა.

მანანა გაქვავებული სახით ზის და მექანიკურად იმეორებს ერთსა და იმავეს: – რაღაცას ვიზამთ, რაღაცას მოვიფიქრებთ, ლმერთი არ გაგვნირავს...

**თამთა:** უკვე გაგვნირა, დედა...

**მანანა:** დედა, ესე იგი, მე რომ ფულს გიგზავნიდით ხან სახლის საყიდლად, ხან ახალი ხილ-ბოსტნის მაღაზიების გასახსნელად, ხან რისთვის და ხან რისთვის, ეგ ყველაფერი... ეგ ყველაფერი...

**თამთა:** კი, დედა გატყუებდით, არც ბინა გვიყიდია და არც ხილ-ბოსტნის მაღაზიები გაგვიხსნია. ყველაფერი, სულ ყველაფერი, ტყუილი იყო. რაც კი გვერნდა და რასაც შენ გზავნიდი, ყველაფერი თემიკოს სასამართლოებმა და გარეთ გამოყვანამ წაილო. უკვე წლებია, ასე გაძალლებულები ვართ. შეიძლება ათწლეულიც კი. რაც შენ წახვედი და ფულის გამოგზავნა დაიწყე, იმის მერე გამორფინისტდა თემიკო. გესმის, დედა, შენი გამოგზავნილი ფულით დაიწყო წამლის ყიდვა. გესმის, დედა, შენ რომ არ წასულიყავი იმ დამპალ ამერიკაში და იქიდან ფული არ გამოგეგზავნა, თემიკო ვერ განარკო-მანდებოდა. გესმის, დედა?!

თამთა ხელებს მაგიდას ურტყამს და ყვირის. მძიმედ სუნთქავს და ზიზღით სავსე მზერით უყურებს ჯერ დედას და შემდეგ ჯულიას.

**მანანა:** ესე იგი, ჩემი ბრალი ყოფილა თემიკოს განარკომანება, ხო დედა? მე რომ არ წაგულიყავი იმ დასაწვავ ამერიკაში, დღე და ღამე არ გამესწორებინა, რათა თქვენთვის ფული გამომეგზა და არაფერი დამეკლო, თქვენ უკეთ იქნებოდით, ხო დედა? ესე იგი, მე უბედურმა დაგინგრიეთ ხო ოჯახური ბენდინერება? ვაი, ჩემო უბედურო თავო, ეს რა დღეში ჩავარდი. თორმეტი წელი ტყუილად ვყოფილვარ მონობაში და, რომ მეგონა, შვილებს მომავალს ვუქმნიდი, თურმე დამინგრევია მათი ცხოვრება. ახლა რაღა ვქნა, რა წყალში გადავვარდე?

**თამთა:** რა უნდა ქნა და უნდა დამეხმარო, დედა. 20000 დოლარია საჭირო თემიკოს რომ საპროცესო შეთანხმება გაუფორმონ და გარეთ გამოუშვან. ერთ კვირაში იქნება ეგ თანხა გადასახდელი და უნდა დამეხმარო, დედა, მაგ ფულის გადახდაში. თემიკო ციხეში არ უნდა დარჩეს. გესმის, დედა? ერთ კვირაშია საჭირო ეგ თანხა, ერთ კვირაში...

**მანანა:** კი, დედა, კი, შვილო, ვიზამ რაღაცას, არ დაგტოვებ ისე. შენ ოლონდ არ იდარდო და ინერვიულო და მოიფიქრებს დედაშენი რამეს. აუცილებლად დაგეხმარება...

**თამთა:** დედა, შენ კიდევ ძალიან ბევრი რამე არ იცი...

თამთა ჩქარი ნაბიჯითა და უღრიალით გადის ოთახიდან. დედას არც კი ემშვიდობება. მანანა ისევ გახევებული ზის და მონოტონურად იმეორებს: კი, დედა, კი, შვილო... ჯულია სახიდან უანგბადის ნილაბს იხსნის და გაოცებული სახით ამბობს: Oh my god...

#### სურათი მესამე:

მანანას ეტლი საწოლთან მიჰყავს და ჯულიას ფრთხილად აწვენს. ლოგინის ქვეშიდან გასაშლელი საწოლი გამოაქვს, შლის და თავადაც წვება: Lets have a nap Julia, I feel a bit tired. ამ დროს კარი იღება და ოთახში ხმაურითა და სიცილით შემოდიან ლამაზად ჩაცმული კაცი და ქალი.

**მანანა:** ჯიმი, რუსო, ვაჲ, როგორ გამახარეთ, სწორედ ახლა რომ მოხვედით. ვიფიქრე, ცოტას დავისვენებ-მეთქი და წამოვწექი, მაგრამ, აბა, რა დამასვენებს, როდესაც წელან თამთა იყო მოსული და ისეთი ამბეჭი მომიყვა, გული მაქვს დამძიმებული.

კაცი მაგიდასთან მიდის, სკამს სწევს, ქალს ანიშნებს – დაბრძანდიო და თავადაც ჯდება. მაგიდაზე საფულეს, ტელეფონს, სიგარეტის კოლოფსა და მანქანის გასაღებს დებს. მანანა საწოლზე წამოჯდება.

**ჯიმი:** რაო, რა მოგიყვა მაგ გამოშტერებულმა გოგომ? მოგახსენა თავისი გამოსირებული ქმრის საგმირო საქმე-ების შესახებ? ეგ მართლა შტერი, გადაპყვა მაგ უვარგისს და გაიუბეჭურა ცხოვრება. წავიდენ ერთი მაგათი...

**მანანა:** ნუ იტყვი ეგრე, ჯიმი. უყვარს ბავშვს ის თავისი ქმარი და რა ქნას? თამთა კიდევ ჩვენი შვილია და ჩვენც ვალდებული ვართ ბოლომდე გვერდით დავუდგეთ.

**ჯიმი:** გვერდით დავუდგე არა ტოროლა... მე კაი ხანია უკვე მაგათზე ხელი ჩავიქნიე. შენ არ გეუბნებოდნენ, ვითომ გიფრთხილდებოდნენ, თორემ ყველას თავი მოაბეზრეს თავისი გაუთავებელი პრობლემებითა და უკულმართობებით. აღარაფერი არ გამოვა მაგ თემიკოსგან. წყალწალებული კაცია...

**მანანა:** გაჩერდი, ჯიმი. თემიკო ხომ ნიაკოს მამაა...

**ჯიმი:** მამაა, თორემ ეგეც ზედ არ ჰყვებოდეს, რა. მაგის საზრუნავი მხოლოდ წამალია. ისეთ ფსკერზეა დასული, რომ იმის იქით მხოლოდ კუკიაა. ეგეთი სამარცხვინო მამის ყოლას ჯობია, სულ არ გყავდეს. ეს შენი ქალიშვილი არ ასვენებს და ექაჩება გარეთ, თორემ მაგის ადგილი სწორედ იქაა, სადაც ახლა იმყოფება. წლების წინ უნდა მიეტოვებინა ეგ სირი და მიეხედა თავისი ცხოვრებისთვის, მაგრამ არ ქნა. უყვარს თურმე... ვაი, ეგ მართლა გამოშტერებული ეგა.

**მანანა:** ჯიმი, შენ მაინც ნულარ მიკლავ გულს. აბა, რა ვქნათ, მივატოვოთ ჩვენი ქალიშვილი ამ გაჭირვებისას და გავდგეთ გვერდზე?

მანანა დგება და მაგიდასთან მიდის. ქალს ეხუტება და გულში იკრავს. ეჩურჩულება: – რუსო, როგორ მომენატრე, ჩემო ერთგულო და საუკეთესო მეგობარო.

**ჯიმი:** დიახ, აუცილებლად ეგრე უნდა მოვიქცეთ. იქნებ, უკეთესიც იყოს. ეს გოგოც ჭეუაზე მოვა, მიხედავს თავის ცხოვრებას და იმ უპატრონოსაც ეგებ ეშველოს რამე. ჰო, ჰო, ნალდად ეგრე აჯობებს. ეს ცოტას იტირებს, ინერვიულებს და მერე შეეგუება. დაფიქრდება ყველაფერზე და მიხვდება, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება და გაუყვება თავის გზას. ის გამოსირებული კი, ალბათ, ციხეში მაინც შეეშევება ამ წარკოტიკებს და იქნებ თვალებიდანაც გამოიხედოს. მაგისთვის ახლა ციხე სწორედ რომ ხსნა და წამალია. აბა, ასე გარეთ ყოფნით კვდება კაცი, თავს იკლავს და იქნებ, იქ მაინც გადარჩეს. იქ წამალს მაინც ველარ გაიკეთებს და ველარც ამ გოგოს მოუშლის ნერვებს თავისი დებილური პრობლემებით.

**მანანა:** მე ვფიქრობ, რომ მაინც უნდა დავეხმაროთ და აუცილებლად ასეც ვიზამთ. ახლა კი მადროვე პატარა ხანს, ჯიმი, ერთი ამ ჩემს რუსოს უნდა მოვეფერო. ნახე, როგორ გალამაზებულა.

**რუსო:** გაჩერდი ერთი. ნეტა, რამ გამალამაზა. თმაც კი ვერ დავივარცხნე ნორმალურად. სალონში შემომიარა ჯიმიმ და აქეთ გამომაქანა – წამო, დროზე, შენი ძვირფასი დაქალი უნდა გაჩენო. არადა, ცალკე კიდევ ფრჩხილებზე ვიყავი ჩანერილი, მაგრამ ვინ მაცადა, ნახე, რას მიგავს ნუნები.

**მანანა:** ტყუილად ნუნუნებ, ჩემო რუსო. მართლა მზესავით გამოიყურები. აბა, ერთი მე შემომხედე, რასა ვგევარ. სილამაზის სალონში, ალბათ, წლებია რაც არ ვყოფილვარ და ვირული შრომისგან კიდევ შენზე ბარემ ათი

წლით უფროსაც დავემსგავსე. ყავას ხომ დალევთ?

**რუსო:** თანხმობის ნიშნად, თავს უკრავს. ჯიმი ჩაის ამჯობინებს. მანანა ოთახიდან გადის.

**ჯიმი:** დღესვე უნდა ვუთხრა ყველაფერი.

**რუსო:** შენ რა, მართლა გადაირიე? მარტო რომ იქნებით, რაც გინდა ის ქენი. ჩემი თანდასწრებით არც კი გაბედო.

**ჯიმი:** ვითომ რატომ?

**რუსო:** რატომ და იმიტომ. არ მაქვს მე ახლა ისტერიკებისა და გულყრების თავი. მე ჩემს სათემელს მერე ვეტყვი. ჯერ შენ მოაგვარე შენი. ბოლოს და ბოლოს შენი ოჯახური ამბავია და მე ნუ გამრევ ახლა მაგაში.

**ჯიმი:** დიდი ჩათლახი ქალი ხარ, რა, ვინც არ გიცნობს... მოდი ჩემთან.

**რუსო:** შენ, მგონი, მართლა შეიშალე, თუ რა გჭირს. მოვიდე კი არა ისა, კიდევ რა გინდა...

ჯიმი დგება და რუსოსთან მიდის. ცალ ხელს კისერზე ხვევს, თავისკენ იზიდავს და ტუჩებში კოცნის. მეორე ხელით კი მკერდს უსრისავს. ქალი ხელს ჰკრავს და იშორებს. ჯულიასკენ იხედება და იცინის.

**ჯიმი:** რა გაცინებს?

**რუსო:** ეს ქალი გვიყურებს, შე დეგენერატო.

**ჯიმი:** გვიყურებს კი არა ის. ვერ ხედავ, მცენარესავით არის.

ოთახში მანანა შემოდის. საინზე ცხელი სასმელი და ტებილეული უდევს. მაგიდასთან მიაქვს და ყველას ნინ უდგამს თავის ჭიქას.

**მანანა:** ისე, რუსო, ახლა რომ ასე-თი გაფურჩქული დაგინახე, ახალგაზრდობა გამახსენდა. გახსოვს, ადრე რა გოგო ვიყავი? არა, შენ მაინც ხომ გახსოვს, რამდენს ვუყვარდა? მგონი, მთელი ჩვენი ჯგუფის ბიჭები, ნახევარი შენზე იყო შეყვარებული და მეორე ნახევარი – ჩემზე. რა, არ იყო ეგრე?

სულ ასეთი მოჩიგარული კი არ ვიყავი?

**რუსო:** მე სად ვუყვარდი, გოგო, მაგდენს, შენზე რომ აფრენდნენ. მე ერთი ჩვეულებრივი, მორცხვი გოგო ვიყავი და შენ კიდევ ნაღდი კრასავი-ცა... და რომ იცოდე, ახლაც მშვენივ-რად გამოიყურები.

**მანანა:** ჯიმი გესმის? ახლა რომ სათოფეზე არ მეკარები, ყოველთვის ასეთი კი არ ვიყავი. ცოლად რომ მოგყავდი, მაშინ ხომ მოგწონდი? ახლა კი გამირბიხარ და შენს ცოლ-ქმრულ ვალდებულებაზეც ხელს იღებ. აბა, რაც ჩამოვედი, მიმაგდე აქ და ალარ მეკარები.

მანანა იცინის. ჯიმიცა და რუსოც ჰყვებიან სიცილში. მანანა ჯიმისთან მიდის, თმაში ხელს უცურებს და ეფერება.

**მანანა:** ბიჭო, ან სახლში წამიყვანე დღესვე, ან შენ დარჩი აქ. ალარ შემიძლია მე ასე მარტო ყოფნა. გაგიგიათ ასეთი ამბავი, ქალს ქმარი ჰყავდეს და მარტოს ეძინოს?

**ჯიმი:** იქ რემონტია და მუშები არიან. აქ ეს ქალი გყავს და რა ვქნა მე, შუაში ხომ არ ჩაგინვებით.

ყველანი ისევ იცინიან. ჯიმი სიგარეტს უკიდებს. რუსოს მაკიაჟი ედლაბნება და თვალთან ჩამოსულ ტუშს ხელსახოცით ინმენდს. მანანა ჯულიას გასძახებს: *Julia, are you okay? isic pasu-xobs: Yes I'm fine.*

**რუსო:** ვაიმე, დედა, ეს ქალი რა, გონზეა და ლაპარაკობს კიდეც?

**მანანა:** გონზეა, აბა, არაა? ჩუმი ქალია და ყველას გამოჩერჩეტებული ჰგონია. არადა, ყველაფრის აზრზეა ეს ჩემი ჯულიეტა.

**ჯიმი:** ვაა და მხედველობაც კარგი აქვს?

**მანანა:** ჰო, აბა, ტყვიას ტყვიაში აჯენს.

მანანა კვლავ იცინის. სხვები სდუ-მან. რუსო იძაბება. ჯიმი ხმამალა ამთქნარებს.

**მანანა:** მოკლედ, ჯიმი, იცოდე, სულ რომ ჩვენი სახლის გაყიდვა მოგვინიოს, მე თამთას ვერ მივატოვებ და მაინც გვერდში დავუდგები. შენ რაც დანაზოგი გაქვს იმ ფულიდან, რასაც მე გიგზავნიდი, მიეცი მაგ გოგოს ეგ თანხა და დავამთავროთ ეს საქმე. თუ არადა, გეუბნები, მართლა გავყიდი იმ სახლს. მაინც რაღაც გაურემონტებელი სჭირს და მერე შენც დაისვენებ და მეც.

**ჯიმი:** მე ჩემი გითხარი და არ ვაპირებ არავის დახმარებას. იმ სახლს კიდევ ვერ გაყიდი, რადგან არაა შენი.

**მანანა:** როგორ თუ არაა ჩემი? აბა ვისია?

**ჯიმი:** რუსოსია... არ გახსოვს, რუსზე რომ გადავაფორმეთ?

**მანანა:** კი, მახსოვს. ბანკისთვის თუ რაღაცისთვის რომ გჭირდებოდა და იქიდან სკაიპით გამაკეთებინე მინდობილობა. მერე ეგ რა პრობლემაა? გავყიდი და რუსო გადაუფორმებს. ეგ ხომ ფიქციური იყო ყველაფერი?

გაოცებული მანანა რუსოს უყურებს. რუსო თვალს არიდებს. ჯიმი მაგიდაზე თითებს აკაკუნებს.

**ჯიმი:** იმ სახლს ვერ გაყიდი. იმ სახლში ახლა მე და რუსო ვცხოვრობთ.

**მანანა:** შენ და რუსო? აბა, რემონტიო? და რა შუაშია აქ რუსო?

**ჯიმი:** უკვე რამდენიმე წელია, მე და რუსო ერთად ვართ და ერთად ვცხოვრობთ იმ სახლში. რემონტი უკვე კარგა ხანია დავამთავრე.

**მანანა:** შენ და რუსო ერთად ხართ? მოიცა, რაღაც ვერ გავიგე. ჩემი ქმარი და ჩემი საუკეთესო მეგობარი ერთად არიან და ერთად ცხოვრობენ ჩემს სახლში?

მანანა სკამზე მიესვენება და გულზე ხელებს დაიკრეფს. რუსო შეშინებული ყვირის: – წყალი... წყალი... ჯიმი მანანას სახეში სულს უბერავს და აფხიზლებს.

**ჯიმი:** კარგი ეხლა მანანა, არ გინდა ესეთები... ჩვენ ხომ რეალურად უკვე

წლებია ერთად აღარ ვართ. შენ იქით ხარ და მე – აქეთ. მე კაცი ვარ და ყურადღება მჭირდება. იცი შენ ჩემი ხასიათი, რომ ვერ გავჩერდები მარტო, სითბოსა და მზრუნველობის გარეშე. ჰოდა, ისე მოხდა, რომ მე და რუსომ ერთმანეთს შეუმსუბუქეთ ყოფა და ახლა ერთად ვართ და ეს ყველაფერი არც ჩემი ბრალია, არც რუსოსი და არც შენი. უბრალოდ, ასე მოხდა და, მგონი, მართლა არ უნდა წასულიყავი იმ ამერიკაში.

**მანანა:** ვაიმე, დედა... ეს რა მესმის. ჩემს სახლში ცხოვრობ, ბიჭო, ჩემს დაქალთან ერთად? ჩემს საწოლში გძინავთ? ჩემს თეთრეულში? ჩემი თეფშებიდან ჭამთ? ჩემი ნაწვალები და გამოგზავნილი ფულით გარემონტებულ სახლში?

**ჯიმი:** რემონტის ფულს ნელ-ნელა აგინაზლაურებ. ხომ იცი, მე სიტყვის კაცი ვარ და ნამუსი არ გამიშვებს, ვინმეს ვალში დავრჩე. ახლა ასე ერთბაშად არ მაქვს, მაგრამ ნელ-ნელა დაგიფარავ. ყველაფერი ჩანერილი მაქვს, რაში რა გადავიხადე და რა დამიჯდა. არ გეგონოს, რომ ამას გავურბივარ... უკანასკნელ თეთრამდე მოგცემ ყველაფერს.

**მანანა:** რუსო, რატომ არ იტყვი რამეს? ეს რა მიქენი, გოგო? ქმარი წამართვი? სახლი წამართვი? ცხოვრება წამართვი? სხვის ბუდეში ჩასახლდი? რატომ, გოგო, რატომ?

**ჯიმი:** მორჩი ეხლა, მანანა, არაა ეს რუსოს ბრალი. ყველაფერში ინიციატივა ჩემი იყო. ჩემგან დაიწყო ეს ამბავი და მე შევუჩნდი რუსოს. გასაქანი არ მივეცი და მერე ისიც დამთანხმდა. ძალიან განიცდიდა, მაგრამ, რას იზამ, ცხოვრება თავისი გზით მიდის... სიყვარულს წინ ვერ დაუდგები. გთხოვ, ცოტა გაგებით მოეკიდე, მანანა, ამ ყველაფერს. კაცი ვარ მე და ქალი მჭირდებოდა გვერდით. რუსო რომ არ ყოფილიყო, მერწმუნე, სხვა იქნებოდა. ასე რომ, ტყუილად ენდური მაგას. ისედაც ძალიან განიცდის ყველაფერს და აღარ უნდა ახლა მაგას შენგან დამატებითი საყვედურები. ისე, სასაყვე-

დურო შენც კი გაქვს და არ უნდა და-  
გეტოვებინე მარტო...

მანანა სახეზე ხელებს იფარებს და  
ქვითინებს. თავს აქნევს და ფეხებს  
აბაკუნებს. ვერ იჯერებს მოსმენილს.

**მანანა:** ესე იგი, ესეც ჩემი ბრალია  
არა? ქმარი რომ გამექცა საუკეთესო  
დაქალთან. ესე იგი, აქაც მე ვარ დამ-  
ნაშავე. ცხრა მთას იქით რომ წავედი,  
რათა პურის ფული მეშოვნა და ყვე-  
ლანი დამეპურებინა? ესე იგი, ქალის  
გაჩენის დღე უნდა დაიწვას, თორემ  
რა მინდოდა მე ამერიკაში და რა ჯან-  
დაბად ვიდგამდი წელებზე ფეხებს? აქ  
უნდა დავრჩენილიყავი და ქმარიც მე-  
ყოლებოდა, სახლიც მექნებოდა და შვი-  
ლებიც ბედნიერები იქნებოდნენ. მერე  
რა, რომ მოშივდებოდათ... და მერე რა,  
რომ შესცივდებოდათ... და მერე რა,  
რო არ ექნებოდათ სახლები, აგარაკები,  
მანქანები, ტელეფონები და ყველაფე-  
რი ის, რაც მე შევძელი და იქიდან გა-  
მოვუგზავნე. ახია, ჩემზე, მართლა ჩემი  
ბრალია ყველაფერი...

რუსო მანანას ზურგს აქცევს და  
ჩუმად ტირის. ჯიმი მორიგ ღერს უკი-  
დებს. მანანა თვალებს ხუჭავს და ტუ-  
ჩებს მთელი ძალით კუმავს.

**რუსო:** მანანა, მე ყველაფერს აგიხ-  
სნი, ყველაფერს მოგიყვები, ოლონდ  
ახლა არა. ახლა არაა ამის ღრო. აი,  
მოვალ მერე და მოგიყვები როგორ და  
რანაირად მოხდა, რაც მოხდა. აი, დე-  
დას გეფიცები...

**მანანა:** ახლავე ორივენი აქედან გა-  
ეთრიეთ და ჩემმა თვალებმა ალარა-  
სოდეს გნახოთ. ბავშვს ფული მიეცი,  
შე არაკაცო. რასაც მე გიგზავნიდი და  
რაც გადანახული გაქვს, ის ფული მი-  
ეცი, გესმისა?

**ჯიმი:** რა ფული, მანანა? რემონტი,  
მანქანა, ახალი ავეჯი...

**მანანა:** მაგ ყველაფერის გარდა,  
ცალკე ხომ გიგზავნიდი შავი დღის-  
თვის გადასადებ თანხას? ეგ ფული მი-  
ეცი ბავშვს. დადგა ეგ შავი დღე... ეს  
რას მოვესწარი, ღმერთო?! ეს რა დღე-

ში ჩავვარდი?!

**ჯიმი:** მანანა მაგ ფულსაც ნელ-ნე-  
ლა დაგიბრუნებ. ცოტა ვიმოგზაურეთ  
მე და რუსომ და შემომეხარჯა, რა. ნუ  
წამიჭერ ახლა ხელს ყელში და ცოტა  
მადროვე. ჩვენს ძველ ურთიერთობას  
ეცი პატივი. ჩვენც ხომ გვინდა ცხოვ-  
რება, გახარება... ალარ ვართ პატარე-  
ბი და გარბის ეს ღრო. ცოტა გავიარ-  
გამოვიარეთ და რუსოს პარიზი, რომი,  
მადრიდი ვაჩვენე... ჩვენც გაგვიგე, რა.  
ხალხი ვართ... ჩათვალე, გესესხე ეგ  
ფული და გადიბრუნებ ყველაფერს უკ-  
ლებლივ, ოლონდ ცოტა მაცადე. კარ-  
გი, ჩემო გოგო...

მანანა გახევებული ზის. თვალები  
ისევ დახუჭული აქვს. თითებით მაგი-  
დის კიდეს არის ჩაფრენილი და მძი-  
მედ სუნთქავს. რუსო დგება და ჯიმი-  
საც აყენებს. ხელკავს გამოსდებს და  
გასასვლელისკენ მიჰყავს. უხმოდ ტო-  
ვებენ ოთახს. მანანა პირს ჯულიასკენ  
აბრუნებს: Do not worry Julia, I'm good,  
everything will be fine. ჯულია სანოლზე  
წამოჯდება და ხელს უქნევს: She is a  
fucking bitch...

### სურათი მეოთხე:

მაგიდასთან სხედან მანანა და ჯუ-  
ლია. მანანას წინ უდევს ჯამი, საიდა-  
ნაც ჯულიას აჭმევს. მოხუცი მორჩი-  
ლად ულებს პირს. მანანა თან აჭმევს  
და თან იცრემლება. ისმის ზარის ხმა.  
მანანა გადის და ოთახში ახალგაზრდა  
წყვილთან ერთად ბრუნდება.

**მანანა:** შენ შემოგევლოს შენი ბება,  
ჩემო ნიაკო, ჩემო პრინცესა და ვარ-  
სკლავო. ეს რამხელა გაზრდილხარ ბე-  
ბას სიამაყევ. ან რა ტანი და, ან რა  
თვალი... ნალდი ჰოლიგუდის ვარსკლა-  
ვი ხარ, რა.

**ნიაკო:** ბება, გაიცანი, ეს ჩემი ბო-  
იფრენდია – გიგი. გიგი, ეს ჩემი ბებაა.

**გიგი:** სასიამოვნოა, ქალბატონო ბე-  
ბა.

**მანანა:** მანანა, მე მანანა მქვია, შვი-  
ლო, თუმცა, თუ გირჩევნია, შენც ბება  
დამიძახე.

მანანა შვილიშვილს გარს უვლის და კმაყოფილი ათვალიერებს. ეხუტება და კოცნის. ახალგაზრდებს მაგიდასთან სვამს და ჯულიას უბრუნდება: *Julia, is not she beautiful? She is just twenty.* მოხუცი ხმას არ იღებს.

**ნიაკო:** ბება, რამეს გვაჭმევ? ძალიან გვშია. თუ გინდა, კარტოფილი შემიწვი. აი, ისე, ბავშვობაში რომ მიწვავდი ხოლმე — პატარებად დაჭრილს და კარაქში.

**მანანა:** შეგიწვავ ბებო, აბა, რას ვიზამ. კომპოტიც მაქვს კიდევ ახალი მოსარშული — კომშის. ჯულიას გავუკეთე და იმასაც გამოგიტანთ. სალათსაც დაგიჭრით — ზეთით და ძმრით. ხომ გიყვარს სალათი?

**ნიაკო:** კი, ბება, იყოს სალათიც.

მანანა ოთახიდან გადის. გიგი დგება, ჯულიას საწოლთან მიდის და წვება. ნიაკოს ხელით ანიშნებს — მოდიო და ისიც გვერდით უწვება.

**გიგი:** სექსი არ გინდა? რალაცნაირი აურაა აქ. აი, ისეთი სახლია, სულ რომ უნდა ისექსაო. შემოვედი თუ არა, ეგრევე ძალიან მომინდა... სუნიც კი ისეთია აქ... არ ვიცი, ამას რა ჰქვია. მიდი, გაიხადე.

**ნიაკო:** გადაირიე? ბება რომ შემოვიდეს?

**გიგი:** ეგ ჯერ რას შემოვა, კარტოფილი აქვს გასათლელი, დასაჭრელი, შესაწვავი... მიდი, უცებ მოვასწრებთ... ძანა მინდევხარ...

**ნიაკო:** და ეს ქალი? ამასთან არ ტესავს?

**გიგი:** ღადაობ? ვერ ხედავ, თვალებსაც არ ახამხამებს, გასულია ასტრალში.

**ნიაკო:** კაი, ოლონდ ძალიან უცებუცებ და ჩუმად. გესმის?

**გიგი:** ჴო, მიდი, დროზე გაიხადე. არა, მოიცა, უნდა გადავიღო. მიდი, ტელეფონი მაგიდაზე ისე დადე, რომ კარგად ჩანდეს საწოლი და ვიდეო ჩართე.

**ნიაკო:** რა დროს ვიდეოა, შენ მარ-

თლა ხომ არ აფრენ? გაგიჟდება ის ქალი, ასე რომ შემოგვისწროს. მოდი, სხვა დროს გადავიღოთ, რა.

**გიგი:** არა, აქ და ახლა უნდა გადავიღოთ. დამიჯერე, ძანა მაგარი გამოვა. ვერ ხედავ, როგორი ოთახია? — განათება, საწოლი, ხალიჩა... რავი, ყველაფერი სექსისკენ გიბიძებს.

**ნიაკო:** კაი, ჴო, ნამდვილი მანიაკი ხარ, რა. და სად დავდო ეს ტელეფონი, რომ კარგად გამოვჩინდეთ?

**გიგი:** დაიკიდე, მე დავდებ. შენ მიდი, გაიხადე.

გიგი დგება და მაგიდასთან მიდის. ბეკვრს ცდილობს, მაგრამ ტელეფონს ისე ვერ დებს, რომ კარგად გამოჩნდენ. ჩივის — შორია ძალიანო. ბოლოს ჯულიას ეტლს საწოლისკენ აგორებს და ტელეფონს ქალის კალთაში დებს. უფრო კი ხელში აჭერინებს და ვიდეოს რთავს. სიცილით მირბის ნიაკოსთან, რომელიც უკვე გაშიშვლდა და საბნის ქვეშ არის შემძვრალი. გიგიც იხდის და გვედით უწვება. ახალგაზრდები სექსით კავდებიან. კვნესიან და ვნებიანად ოხრავენ. მალევე მშვიდებიან და სწრაფად იცვამენ. საწოლზე სხდებიან და თან სიცილისგან იგუდებიან. გიგი ჯულიასთან მიდის და ტელეფონს ართმევს. ამონმებს ვიდეოს ხარისხს და კმაყოფილი აქნევს თავს.

**ნიაკო:** კარგი გამოვიდა?

**გიგი:** აუ, კი ძანი. სუპერია. ავტორთავ ეხლა ჩვენს არხზე.

**ნიაკო:** ჯერ დაამონტაჟე, რა. რამე კაი მუსიკა დაადე. ფილტრებიც...

**გიგი:** ამდენს ტელეფონში ვერ ვიჩალიჩებ. ძან მიჭედავს.

**ნიაკო:** შენც აგერ ბებას ლეპტოპში ქენი.

**გიგი:** არ ტეხავს?

**ნიაკო:** მის ლოგინში სექსი არ ტეხავდა და ლეპტოპის თხოვება ტეხავს? მიდი, ოლონდ დროზე ქენი. აუ, ძალიან მშია. შიშველიც ვჩანვარ?

**გიგი:** კი, შენი მკერდი ჩანს ძალიან კარგად რამდენჯერმე. სახე — ნაკლებად. აი, ძან მაგარი ვიდეოა. ძი-

რითადად სხეულს საბანი გვიფარავს, მაგრამ მაინც ძან კაი გამოვიდა. რაღაცნაირი შემყვანი თემაა. კლასიკური ეროტიკაა. მერე, კინოს რომ გადავიღებთ, აი, ზუსტად ესეთი იქნება – ცოტა ძველმოდური და ვინტაჟური ეროტიკა.

გიგი მაგიდასთან ჯდება და ნოუთბუქს ხსნის. ტელეფონთან სადენით აკავშირებს და მუშაობას იწყებს.

**გიგი:** რაღაც მეილია მოსული ბებიაშენთან და გავხსნა? ძან საინტერესოა, რას წერენ ბებიებს.

**ნიაკო:** მიდი, გახსენი და ხმამალ-ლა წაიკითხე. იქნებ, რამე საიდუმლოც იყოს.

ახალგაზრდები იცინიან. გიგი წერილს ხსნის და კითხვას იწყებს.

**გიგი:** მგონი, რაღაც საავადმყოფო-დან თუ კლინიკიდან უნდა იყოს. მაიცა, ჰო ეგაა. რაღაცის პასუხებია. ესე იგი, ბლა, ბლა, ბლა... აპა, აგერ დასკვნაც. ეეე... ქენსერიო?

**ნიაკო:** ეგ რას ნიშნავს?

**გიგი:** კიბოს, გოგო.

**ნიაკო:** რა, ბებას კიბო აქვს?

**გიგი:** უეჭველი. მაიცა... ბლა, ბლა, ბლა... აი, ესეც. რაო? მეოთხე სტადი-აო... ვაა, თითქმის მთელ სხეულშია გასული მეტასტაზებიო.

**ნიაკო:** ვაიმე... და ეგ რაღა არის?

**გიგი:** მოკლედ, მაგარი დარხეული აქვს ბებიაშენს და ეს ვიღაც ექიმი უწერს, რომ სასწრაფოდ უნდა გამოცხადდეთ კლინიკაში, რაღაც ოპერაცია უნდა ჩავიზნოთ და მკურნალობაც დავიწყოთ, თორემ მერე გვიანი იქნებაო და... ოპა...

**ნიაკო:** და რა? რა ხდება? რა ოპა?

**გიგი:** ოპერაციისა და მკურნალობის საორიენტაციო ღირებულება სადღაც 55000 დოლარია და ამას, ალბათ, დააკლდება რაღაცები დაზღვევის პონტშიო. მოკლედ, მაგარ შარშია შენი ბება და, ალბათ, მოუნევს უკან წასვლა, თუ არადა დაიბრიდება.

**ნიაკო:** ვინ, ბება დაიბრიდება? ლა-

დაობ? ეგ რომ დაიბრიდოს, დავიხოცებით მშივრები. ჩემს სწავლის ფულსაც კი ეგ იხდის და, მგონი, მასაჩემი ახლაც მაგან უნდა გამოიყვანოს ციხიდან.

**გიგი:** მგონი, არ უნდა გვენახა ეს წერილი. ახლა რა ვქნათ?

**ნიაკო:** არ ვიცი. ძალიან ცოდნა ბება.

**გიგი:** უცებ რომ ვჭამოთ და მოვხიოთ?

**ნიაკო:** არა, ვერ შევხედავ... თვალს ვერ გავუსწორებ. ეგრევე ტირილი ამიტყდება და მერე მიხვდება ყველაფერს. აუ, წამო რა, ჩუმად გავიპაროთ.

**გიგი:** და შემწვარი კარტოფილი?

**ნიაკო:** დებილი ხარ? ქალმა უნდა გაიგოს, რომ სიმსივნე აქვს და მალე მოკვდება და შენ კიდევ შემწვარი კარტოფილის ჭამას აპირებ აქ?

**გიგი:** ჰო, რა პრობლემაა? არაფერი ვუთხრათ და არ შევიმჩნიოთ, რომ რამე ვიცით. მერე თვითონ ნახავს, რა.

**ნიაკო:** ფუ, რა აუტანელი დეგენერატი ხარ. მე აქ ვეღარ გავჩერდები, წავედით!

ნიაკო დგება და ფეხაკრებით გადის ოთახიდან. გიგიც ასევე ჩუმად მიჰყვება უკან. ჯულია კმაყოფილი იღიმის და იძახის: *Oh my god it was amazing.*

#### სურათი მეხუთე:

ოთახში შემოდის მანანა და ხის დაფაზე დადებული ცხელი ტაფა შემოაქვს. მაგიდაზე დებს და სუფრის გაშლას იწყებს. განჯინიდან გამოაქვს თეფშები და დანა-ჩანგალი. უცებ აცნობიერებს, რომ ნიაკო და გიგი აღარ არიან. ოთახს ათვალიერებს, მხრებს იჩეჩავს და დაღლილი ნაბიჯით მიდის მაგიდასთან: *You never know, what to expect from young people...* დასცექერის გახსნილ ნოუთბუქს, ჯდება და ავტომატურად იწყებს წერილის კითხვას. ნელ-ნელა სახის გამომეტყველება ეცვლება და ყბა უკანეალებს. სახეზე ცრემლები დაპალუპით ჩამოსდის. მონოგრამურად ჩურჩულებს: – ვაიმე, დედიკუო, მგონია, დავიღუპავ...

**მანანა:** გესმის, ჯულია, თურმე სიმ-

სივნე მქონია და მაგიტომ ვყოფილვარ ცუდად. მაგიტომ მეხვეოდა ეს თავბრუ და მუდმივი დაღლილობაც მაგის ბრალი ყიფილა. ახლა რაღა ვქნა, ჩემი ჯულია? მეოთხე სტადია მაქვს... სულ ბოლო... სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს ღვიძლზე ოპერაცია და თან პარალელურად მკურნალობაც დასაწყებიაო. შეიძლება, დაგვიანებულიც კი არის, მაგრამ მაინც უნდა სცადოო. დროულად უნდა ჩამოხვიდეო. ახლა რაღა ვქნა ჯულია, რა წყალში გადავარდე? ან სად წავიდე და, ან ამდენი ფული სად ვიშოვნო? ვამიე დედა, დედიკო... ისე გაიარა ამ ოხერმა ცხოვრებამ, რომ ბედნიერი ყოფნა ვერც კი მოვასნარი...

ოთახში შემოდის ახალგაზრდა კაცი. მანანა ვერ ამჩნევს, რადგან თავბრუსხვევის მორიგი შეტევა აქვს და თვალდახუჭული ზის. კაცი უახლოვდება და ზურგიდან ეხვევა.

**ლევანი:** დედა, როგორ ხარ? ასე მწარედ რამ ჩაგაფიქრა? ხომ მშვიდობაა?

**მანანა:** ლევან, მომიკვდა თავი, ვერც კი გავიგე, როგორ შემოხვედი. როგორ ხარ, დედა? მოდი, დაჯექი. გინდა, გასადილო? ნიაკო იყო მოსული და კარტოფილი შემიწვიო. სანამ მოვბრუნდი, გაქრა და ისე გაიპარა, ვერც ვერაფერი გავიგე. ხომ შეჭამ კარტოფილს და სალათს?

**ლევანი:** კი, შევჭამ.

მანანა ცრემლებს იწმენდს, თმაზე ხელს ისვამს და თავს იწესრიგებს. ტაფას თავსახურს ხდის და კარტოფილს თეფშზე უდებს.

**მანანა:** მოყევი ლევან, აბა, რა ხდება, დედა, თქვენსკენ? როგორ არიან ბავშვები, თამუნა? იმ დღეს აეროპორტში ისეთი არეული ვიყავი, ნორმალურად ვერც კი მივესიყვარულე ჩემს ბარტყებს. მეგონა, აქ მომიყვანდი ბავშვებს.

**ლევანი:** რავი, მინდოდა, მაგრამ პატარას სიცხე მისცა და თამუნამ არ გინდა, არ წაიყვანო, რამე ვირუსი არ

იყოს და არ მიუტანოთო. ის ქალი ამ სიშორეზე ჩამოიყვანა და ახლა აქ რამე არ შეყაროთო.

**მანანა:** ჰო, ჯულიას ავად გახდომა ნაღდად არ მაწყობს. და რა დაემართა დემეს? ახველებს თუ სურდო აქვს? მაღალი სიცხე მისცა? ექიმთან ხომ არ გყოლით? მაყვალას ხომ არ დავურეკო? მივა და ფილტვებზე მოუსმენს.

**ლევანი:** დამშვიდდი, დედა, საგანგაში არაფერია. უბრალოდ, პატარა სიცხე მისცა და სულ ეგაა. ხვალ, ალბათ, უკეთ იქნება.

**მანანა:** გამისკდა გული. რაც ჩამოვედი, სულ ისეთი ცუდი ამბები მესმის, ლამისაა გავგიუდე და ახლა კიდევ დემეს სიცხეც დაემატა. ძალიან წუხს ბავშვი?

**ლევანი:** არა, დედა, მშვენივრად არის. ანგრევს იქაურობას და ყირას ჭიმავს. მაგის დარდი ნუ გექნება.

**მანანა:** მართლა? ხომ არ მატყუებ? იცოდე, არაფერი დამიმალო. კარგი, შენსკენ რა ხდება, ლევან? სამსახურში რა ამბებია?

**ლევანი:** რავი, არი რა... რაღაცები ცოტა აირია. წამოსვლა მინდა მანდედან.

**მანანა:** რატომ, დედა? ძალიან იღლები? ხელფასს გიგვიანებენ?

**ლევანი:** ჰო, რავი, ალარ მინდა მანდ, მაგრამ ვერც მოვდივარ.

**მანანა:** ვაი, ეგ როგორ? მითხარი, აბა, რაშია საქმე? მგონი, რაღაცას მიმალავ და ბოლომდე არ მეუბნები? თითქოს კარგი სამსახური გქონდა, კარგი ანაზღაურებით, პოზიციაც მშვენიერი – ლოჯისტიკის მენეჯერი – და რა მოხდა, რა შეიცვალა? არაფერი დამიმალო. აი, გეფიცები, გული მიგრძნობს, რომ რაღაც არაა რიგზე.

**ლევანი:** ჰო, რავი, რაღაც აირია, რა და დამაქვეითეს... ახლა დისტრიბუტორი ვარ. ხელფასიც დამაკლეს. რაც მქონდა, იმის თითქმის მესამედი გამომდის. მოკლედ, უნდა წამოვიდე, რა, სხვა გზა არაა, მაგრამ...

**მანანა:** რა მაგრამ, დედა?! უნდა წამოხვიდე, აბა, რა უნდა ქნა. ისეთი რა გაგიჭირდა, რომ მაგათ ვერ ელე-

ვი? ხომ გაქვს სხვა შემოსავალიც და გაუძლებ ცოტა ხანს, სანამ ახალ რა-მეს იმოგნი. რამდენს იღებ სახლების იჯარიდან? სამივე ერთოთახიანი გაქვს ხომ გაქირავებული? მეც ხომ გაძლევ ყოველთვე რაღაცას და წამოდი ანი მანდედან, ესეც გეყოფა და აღარ უნდა მაგას ამდენი ფიქრი. ეგ სახლები მაგიტომ გიყიდე, რომ ბევრი არ გეწვა-ლა და სტაბილური შემოსავლი გქონო-და და ახლა რა გამოდის, რომ წვალობ, ნერვიულობ და რისთვის? დისტრიბუ-ტორის ხელფასისთვის? ისე, რატომ დაგაქვეითეს, დედა?

**ლევანი:** ჰო, რავი, მოხდა რაღაცები და დამაქვეითეს. გეტყვი, როგორცაა... ვერ მომივიდა კარგი ამბავი... სამსა-ხურის ფული შემომეხარჯა. საკმაოდ დიდი თანხა. დასაჭერი საქმეა, მაგრამ არ გამიმეტეს. ვადა მომცეს და სამსა-ხურშიც დამტოვეს, სანამ ვალს გადა-ვიხდი. ფაქტობრივად, მთელი ხელფა-სი ამ ვალში მიმდის და ზემოდან კიდევ რასაც შენ მაძლევ, ნაწილს იქიდანაც ვამატებ.

**მანანა:** ვაიმე, ეს რა მითხარი, ლე-ვან. შოკში ვარ... სხვის ფულს ხელი რატომ მოკიდე, დედა? რაში დაგჭირდა, შვილო, ამდენი ფული. განა შენი არა გაქვს საკმარისი? რა თანხაზეა სა-უბარი?

**ლევანი:** რავი, სადღაც, ალბათ, 30000 დოლარია.

მანანა თვალებზე ხელს იფარებს. ლევანი კარტოფილს ულიმღამოდ ჭამს. ჯულია რაღაც ბერებს გამოს-ცემს, თუმცა ყურადღებას არავინ აქ ცევს.

**მანანა:** ახლა რა უნდა ვქნათ, დე-და? ერთი ბინა რომ გავყიდოთ და ეგ ვალი გაისტუმრო, ეგრე არ გამოვა? წამოხვალ მერე იქიდან და მოისვენებ. ჰა, დედა?

**ლევანი:** არ გამოვა... ის ბინები კარ-გა ხანია გავყიდე.

**მანანა:** გაყიდე? ყველა გაყიდე?

**ლევანი:** ჰო, დედა, გავყიდე, სულ ყველა გავყიდე.

**მანანა:** რატომ გაყიდე, შვილო,

ამდენი ფული რაში დაგჭირდა? ამიხსე-ნი, დედა, რა ამბავია შენს თავს? მგო-ნი, ვხვდები, მაგრამ არ მინდა დავიჯე-რო... არა, არა, არ არსებობს... ლევან, გევენები, მითხარი, რომ ის არაა, რაც მე მგონია. გემუდარები, მითხარი, რომ ვცდები... მითხარი, რომ ის ყველაფე-რი წარსულში დარჩა და შენ... და შენ...

**ლევანი:** კი, დედა და მე ისევ და-ვიწყე თამაში... და წავაგე ყველაფერი. სულ, სულ ყველაფერი წავაგე... სახ-ლებიც გავყიდეთ, მანქანებიც და ახლა ნაეირავებში ვართ ყველანი გადასული. დიდი სიამოვნებით თავსაც მოვიკლავ-დი და დავამთავრებდი ამ ტანჯვას, მაგრამ თამუნა და ბავშვები მეცოდე-ბა. როგორ დავტოვო მარტო ოთხ მცი-რენლოვან ბავშვთან ერთად? თან არ მინდა, რომ თვითმკვლელი მამა ჰყავ-დეთ, ქმარიცა... თუმცა, შეიძლება, ეგ-რეც მოვიქცე, რადგან უკვე აღარ ვიცი, რა ვქნა... აღარც არაფერი დამრჩა გა-საყიდი... მისასვლელი პირიც კი აღარ მაქვს ვინმესთან... აღარავინ მეკარება და ფულის მოცემაზე ხომ ზედმეტია საუბარი. მოკლედ შავ დღეში ვარ, დე-და. ერთი შენლა დამრჩი. მამას კაი ხა-ნია აღარ ველაპარაკები. რაც ის ქალი მიიყვანა სახლში, მე მაგის მერე აღარ მინახავს და კავშირიც გავწყვიტე. მა-გას ვერასდროს ვაპატიებ... და ისედაც არ მაქვს მაგის იმედი. არაა ეგ ჩემი ვალების გადამხდელი. ეგოისტია...

ლევანი თავს ხრის და მხრები უცახ-ცახებს. ზლუქუნებს და ტირილი უვარ-დება. გაუჩერებლივ იმეორებს, რომ თავი უნდა მოიკლას და დაამთავროს ეს ჯოჯოხეთი. მანანა დგება და მთვა-რეულივით დადის ოთახში. ბოლოს ლევანთან მიდის და მის თავს მუცელ-ზე იხუტებს.

**მანანა:** ნუ გეშინია, დედა. მე გაგა-ჩინე და გასაჭირში არასდროს მიგატო-ვებ. ჩემი ხარ... კარგიც და ცუდიც... ეგ სისულელე კი, თავის მოკვლაზე რაც თქვი, მეორედ აღარ გამაგონო, გაიგე? დაივიწყე! ვითომ არც გით-ქვამს, არც კი გაგიფიქრია. მე ვიცი,

რასაც ვიზამთ. აი, ამ სახლს გავყიდით, იმ შენს ვალს გადავიხდით და მერე ცხოვრებას ახლიდან დავიწყებთ. ჰო, ნამოხვალ მერე იმ სამსახურიდან, იშოვი რამე ახალს და ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება. რაც მთავარია, ვალი აღარ გექნება და უფრო თამამად დაიწყებ ცხოვრებას. გესმის, ლევან? ანიე, ბიჭო თავი და ნუ ხარ ეგრე ყურებჩამოყრილი. დედა არ მიგატოვებს და ყველაფერს იზამს, შენს დასახმარებლად. გაიგე? გავყიდოთ ეს სახლი და მოვამთავროთ ეს ამბავი. შენ შენსას აიღებ და რაც დარჩება თამთას მივცეთ, რომ თემიკო გამოიყანოს ციხიდან. გაიგე? ყველაფერი მოგვარდება, ნუ ხარ ეგრე...

**ლევანი:** და მერე შენ რას იზამ, დედა? შენ სად ნახვალ? და ეს ქალი?

**მანანა:** მე ვიქირავებ, შვილო, რამეს და მე და ჯულია იქ გადავალთ. ხელფასს ხომ მიხდის ამისი შვილი და იმითი ქირასაც გადავიხდი, ჩვენს ცხოვრებასაც ეყოფა და ცოტ-ცოტას შენ და შენს დასაც მოგცემთ. ასე რომ, ნუ ნერვიულობ, ამასაც გავივლით და მერე აუცილებლად უკეთესად ვიქნებით. გესმის, ლევან? ყველაფერს გადავლახავთ და შევძლებთ... სულ მოგცემთ იმ ჩემს ხელფასს, ოღონდ კი თქვენ არ გნახოთ ეგრე სასონარკვეთილები და უიმედოები. მოვკვდები, მართლა მოვკვდები, კიდევ რომ გნახოთ ეგრე ყურჩამოყრილი. ასე რომ, ცოტა თავს შეუძახეთ და აზრზე მოდით, თუ გინდათ, რომ დედა ცოცხალი გყავდეთ და დარდისგან გული არ გაუსკდეს. მთავარია, ჯანმრთელად იყოთ და დანარჩენი ყველაფერი ისედაც იქნება.

**ლევანი** დგება და დედას ეხუტება. უკოცნის სახეს, ხელებს და გულში იქრავს. თან იღიმის და თან ზღლუქუნებს: – მადლობა, დედა, დიდი მადლობა დედა...

**ლევანი:** ახლა უნდა გავიქცე, დედა, შესვენებაზე ვარ გამოსული. ამ დღეებში გამოგივლი და მაკლერსაც მოვიყვან. მართალი ხარ, გავყიდოთ ეს სახლი, გავისტუმროთ ვალები და თავიდან დავიწყოთ ცხოვრება. და მე გპირდები,

რომ აღარასოდეს ჩემს ცხოვრებაში აღარ ვითამაშებ. ოთხივე შვილს გეფიცები... აი, ეკლესიაში ხატებთანაც კი დავიფიცებ, რომ კაზინოსკენ არც გავიხედავ. აღარასოდეს... გპირდები, დედა... დიდი მადლობა, დედა... მიყვარხარ, დედა...

**მანანა:** კი, შვილო, სწორედ ეგრე ვქნათ. ოღონდ თქვენ მყავდეთ კარგად და როგორც იტყვით, ისე ვქნათ. ოღონდ თქვენს ლიმილს ვხედავდე და სახლს კი არა სულსაც გავყიდი, დედა. ღმერთმა აღარ მომასწროს თქვენს დარდსა და მწუხარებას... ვაი, ეს რაები მოვისმინე და კიდევ როგორ ვარ ცოცხალი. თურმე ჩემი შვილები აქ როგორ იტანჯებოდნენ და მე კი არაფერი ვიცოდი. კიდევ კარგი, ჩამოვედი. კიდევ კარგი, თქვენთან ვარ. ახლა აღარაფერი გიჭირთ, დედა თქვენთანაა... მიდი, ლევან, დაურეცე და თამთასაც უთხარი, რომ არც მაგან ინერვიულოს. უთხარი, რომ თემიკოს ციხიდან გამოსაყვან ფულს მაგასაც მივცემთ.

**ლევანი** მიდის. მანანა მუხლებზე ვარდება და ლოცვას იწყებს. *julia iseven raRacas luRluRebs da Svelas iTxovs: Help me Mañana, I need help. Come come. Come come. Sorry for this Julia, I am really sorry, lets go to toilet.*

### სურათი მეექვსე:

მანანა მაგიდასთან ზის და სიცხეს იზომავს. ჯულია ტელევიზორის წინ არის მოკალათებული და რაღაც ქართულ ფილმს უყურებს. ისმის კაკუნი. ოთახის კარი იღება და შემოდის ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც თეთრი ფერის პიჯაკი და შარვალი აცვია.

**დავიდი:** მოგესალმებით, მე გახლავართ დავიდი, შემოსასვლელი კარი ლია იყო და ამიტომ გავბედე, ასე დაუპატიჟებლად შემოსვლა. შეიძლება?

**მანანა:** უკვე აქ ხართ და მაგის კითხვას რაღაც აზრი აქვს?

**დავიდი:** კეთილი. მაშინ შემოვალ...

და რომ დავბრძანდე თუ შეიძლება?

**მანანა:** დაბრძანდით ბატონი. აბა, რამ შეგაწუხა? რა საკითხზე ხართ?

**დავიდი:** უპირველეს ყოვლისა, ბოლოშს მოგიხდით ეგზომ გვიანი სტუმრობისთვის, თუმცა საქმე არ ითმენდა და ამიტომაც გადავწყვიტე დღესვე მოვსულიყავი.

**მანანა:** გისმენთ. რაშია საქმე?

**დავიდი:** მე გახლავართ დავიდი და საქართველოში წარმოვადგენ ბატონ ჯორდანს, ქალბატონი ჯულიას შვილს...

**მანანა:** მერე?

**დავიდი:** მე საერთაშორისო ხარისხის მქონე ადვოკატი ვარ და ბატონმა ჯორდანმა დამიქირავა, რათა საქართველოში მისი ოფიციალური წარმომადგენელი ვიყო.

**მანანა:** გასაგებია ეგ ყველაფერი. გასაკვირიც... წარმოდგენა არ მაქვს, რაში დასჭირდით, ღმერთმანი... კარგით, ბრძანეთ, ჩვენთან რა საქმე გაქვთ? რით შემიძლია დაგეხმაროთ?

**დავიდი:** თქვენ, ალბათ, ვერც ვერაფრით დამხემარებით. ალბათ, პირიქით, ისევ მე თუ შევძლებ თქვენს დახმარებას. მცირედით მაინც...

**მანანა:** ჩემს დახმარებას? ვერ მიგიხდით.

**დავიდი:** დიახ, თქვენს დახმარებას. საქმე იმაში გახლავთ, რომ ბატონი ჯორდანი თქვენ გიჩივთ.

**მანანა:** მე მიჩივის ჯორდანი?

**დავიდი:** დიახ, ბატონი ჯორდანი თქვენ გიჩივით და ბრალს გდებთ მისი დედის ქვეყნიდან უკანონოდ გაყვანაში. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, თქვენ ბრალი გედებათ ჯულიას გატაცებაში.

**მანანა:** მე მედება ბრალი ჯულიას გატაცებაში? მე მიჩივის ჯორდანი? ღმერთო, შენ მიშველე, ეს რა მესმის? დღეს კიდევ რამე თუ გამაკირვებდა, ალარ მეგონა, თუმცა კულმინაციამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ნეტა, ახლა უნდა ვიტირო თუ ვიცინო? ისე, მაინც გადავამოწმებ და რამე ხომ არ გეშლებათ, პატივცემულო დავით?

**დავიდი:** მე დავიდი მქვია, ბოლოში

დ-თი. სამწუხაროდ, არა, არაფერიც არ მეშლება. თქვენ გიჩივით ბატონი ჯორდანი მისი დედის, ქალბატონი ჯულიას ქვეყნიდან უკანონოდ გაყვანის გამო და მოითხოვს თქვენს დაკავებას. მისი დედის კი უსაფრთხო თავშესაფარში გადაყვანას. ქალბატონი ჯულია ამიერიდან ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ მანამ დარჩება, სანამ გამოძიება არ დასრულდება. თქვენ კი მოგიწევთ კანონის ნინაშე სრული სიმკაცრით აგოთ პასუხი, რადგან უძლურებაში მყოფი მოხუცი მოტყუებით გაიყვანეთ ქვეყნიდან.

**მანანა:** მგონი, ალბათ, მაინც უნდა ვიტირო... მაგრამ რა ვენა, რომ ძალიან მეცინება.

მანანა თავს ვეღარ იკავებს და ისტერიულად იცინის. სიცილში დავიდიც ჰყვება.

**მანანა:** ესე იგი, მე მოვიტაცე ჯულია, რომელიც ჯორდანმა თავად მიმაყვანინა აეროპორტში. პირდპირ გასაოცარი ამბავია... წარმოუდგენელიც კი... გამოდის, ფაქტობრივად, თავად ჯორდანმა მომატაცებინა, საკუთარი დედა, რადგან თვითონ გამოგვამგზავრა აქეთ და, როგორც იტყვიან, თავადვე ჩაგვილავა ჩემოდნები. ესე იგი, ეგეც ამ დანაშაულის თანამონაწილეა და მაშინ მაგანაც ისევე უნდა აგოს პასუხი, როგორც მე. ჰა... ჰა... ჰა...

**დავიდი:** მე მაგას ნამდვილად ვერ გეტყვით, რა როგორ იყო და ვინ რა ქნა, თუმცა შემიძლია დაზუსტებით გითხრათ, რომ ხვალ პროკურატურაში საჩივარი შემაქვს და არ გამოვრიცხავ, დაგაკავონ კიდეც.

**მანანა:** დამაკავონ? ვინ, მე უნდა დამაკავონ? ალბათ, ხუმრობთ ხომ? და ჯულიას რას უშვებით? ვინ მიხედავს? ფოსტით გააგზავნით უკან?

**დავიდი:** როგორც გითხარით, ქალბატონი ჯულია გადაყვანილი იქნება მოხუცთა თავშესაფარში. სწორედ ამიტომ გეახელით დღეს, რადგან ახლა ჩამომივიდა საბუთები და მინდობილობა. შესაბამისად, ბატონი ჯორდანის

სურვილისამებრ ჯულია დღესვე უნდა გადავიყვანო უსაფრთხო თავშესაფარში. მის მომალავზე კი ნუ იდარდებთ, რადგან თავშესაფარს ამერიკის მთავრობა აფინანსებს და კურირებს. მოკლედ, ჯულია ახლავე გადავა მოხუცთა თავშესაფარში და თქვენ კი წინ სასამართლოები გელით.

**მანანა:** იღლივიდან თერმომეტრს იღებს და უკაყაფილო სახით დასცერის: აი, ისევ სიცხე მაქვს.

**მანანა:** და მაინც ვერაფერი გავიგე. რატომ? რისთვის? 12 წელი რომ უკლიდი იმისთვის მიჭერენ? იქ რომ არ დავტოვე და თავშესაფარში არ ჩავაბარე – მაგისთვის? თუ ხელისგულზე რომ ვატარებდი მთელი ეს დრო, მაგიტომ გინდათ, ციხეში გამიშვათ და გამასამართლოთ იმაზე, რაც არ ჩამიდენია? გასაოცარი ამბავია პირდაპირ... აი, მართლა ვერაფერს ვსვდები. და ეს თუ შეცდომა არაა, მაშინ, რაში დასჭირდა ჯორდანს ეს ყველაფერი? ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ის ყოველთვე ჩამირიცხავდა კონკრეტულ თანხას და მე კი ამის სანაცვლიდ მივხედავდი ჯულიას? მოიცა, ესე იგი, რა გამოდის, რომ ახლა აღარც თანხას ჩამირიცხავს?

**დავიდი:** ქალბატონო მანანა, კაცი სასამართლოში გიჩივით, მშობლის გატაცებაში გდებთ ბრალს და თქვენ კიდევ იმედი გაქვთ, რომ რამეს ჩაგირიცხავთ? თან ხომ გითხარით, ჯულია ახლავე გადადის თავშესაფარში და თქვენი მოვლა-პარტონობა აღარ დასჭირდება, თუმცა დაგამშვიდებთ და გეტყვით, რომ „ამერიკული ოცნება“, ასე ჰქივა ამ თავშესაფარს. არაჩვეულებრივი დაწესებულებაა, რომელიც სულ ახალი გახსნილია და სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებზე. ხომ იცით ამერიკელების ამბავი? არაფერს იშურებენ თავიანთი მოქალაქეებისთვის და, დარწმუნებული ვარ, ჯულიასაც გადასარევად მიხედავენ.

**მანანა:** ვაი, ჩემი უბედურო თავო... გამოდის, რომ აღარც სახლი მაქვს,

აღარც კარი, აღარც ჯულია მყავს და აღარც შემოსავალი... სულ მალე მოვკვდები კიდეც და.... და მერე ამდენ ხალხს რა ვუყო? შვილებს? შვილიშვილებს? ასე ულუქმაპუროდ როგორ დავტოვო? თან ამხელა პრობლემების პირისპირ... გესმის, დავით, მე ეს ხალხი მადარდებს, თორემ ჩემი თავი ყვავებსაც წაულია... სულ რაღაც ერთ დღეში ჩამომექცა თავზე ცხოვრება და ყველაფერი თავდაყირა დადგა... და, რომ მეგონა, ვცხოვრობდი, ვეხმარებოდი, მომავალს ვქმნიდი, თურმე წყალს ვნაყავდი და სულ ტყუილში მიცხოვრია... დათუნა, ჩემი კარგო, შენ მაინც მითხარი, ახლა რაღა ვქნა? რატომ? რისთვის? რა დავაშავე? ვითომ, რწმენა მაკლდა? ალბათ, აბა, სხვა ასენა მე არა მაქვს...

**დავიდი:** ქალბატონო მანანა, მე ნამდვილად არ ვიცი, თქვენ რა დააშავეთ და ეს არცაა ჩემი საქმე. ამას, ალბათ, სასამართლო გაარკვევს, თუცმა ერთი რაღაცის თქმა, ალბათ, მაინც შემიძლია, ოღონდ ეს ყველაფერი, რასაც გეტყვით, ჩვენ შორის უნდა დარჩეს.

**მანანა:** შვილო, დავით, რამდენიმე თვეში სულ აღარ ვიქნები, ღვიძლის სიმსივნის დიაგნოზი დამისვეს, ასე რომ, იმის დარდი არ გქონდეს, სადმე გათქვა.

**დავიდი:** თანაგიგრძნობთ, ქალბატონო მანანა. მართლაც ძალიან სამწუხაროა. ბოდიში, ვერაფერით გეხმარებით... არაა მტყუან-მართალის გარჩევა ჩემი საქმე, მე მხოლოდ ადვოკატი ვარ და ჩემი საქმე კლიენტის ინტერესების დაცვაა, თუმცა მე ადამიანიც ვარ... და ამიტომ შემიძლია, ჩემი ვარაუდი გამოვთქვა, თუ რატომ გიჩივით ბატონი ჯორდანი...

**მანანა:** და რატომ?

**დავიდი:** ფულის გამო... როგორც მისი გამოგზავნილი საბუთებიდან ჩანს და ასევე იმ საბუთების ჩამონათვალი-დან, რომელსაც ჯორდანი ჩემგან ითხოვს, მას დედამისი, ანუ ქალბატონი ჯულია დაზღვეული ჰყავს და ეს დაზღვევა როგორც მისი სიცოცხლის, ასევე უსაფრთხოების დაზღვევასაც მოი-

ცავს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ის გატაცებისგანაც არის დაზღვეული. მიმიხედით ხომ? ანუ თუ ახლა დადასტურდება, რომ ჯულია უკანონოდ გაიყვანეს ქვეყნიდან, რაც გატაცების ტოლფასია, სადაზღვევო კომპანია ვალდებული იქნება, ჯორდანს კომპენსაცია გადაუხადოს. მოკლედ, ცოტა ჩახლართული ამბავი კი არის, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ჯორდანი ამ საქმიდან საკმაოდ დიდ თანხას მიიღებს.

**მანანა:** დათო, შვილო, მეც რომ გადავიდე იმ თავშესაფარში არ შეიძლება? მეც ამერიკის მოქალაქე ვარ.

**დავიდი:** ნამდვილად არ ვიცი, ვიკითხავ, არ დაგზარდებით და გაგაგებინებთ. ახლა კი, უკაცრავად, მაგრამ ბატონი ჯორდანის ნება უნდა ალვასრულო და ქალბატონი ჯულია „ამერიკულ ოცნებაში“ გადავიყვანო. იმედია, წინააღმდეგობას არ გამინევთ და პატრულის გამოძახება არ მომინევს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მე მხოლოდ ჩემს საქმეს ვაკეთებ და, იმედია, ჩემზე ნარყენი არ დარჩებით.

**მანანა:** არა, შვილო, შენ მაგაზე არ იდარდო. მე მხოლოდ ჯულიაზე მეთანალრება გული, თორებ იმასაც ვხვდები, შენ რომ არა, მაშინ სხვა იქნებოდა. იმას ვწუხვარ, რომ ვერ მიხედავენ იმ თავშესაფარში ჩემს ჯულიას ისე, როგორც მე ვუვლი და გადაჰყვება ამ ამბავს ეს ქალი... თუმცა ახლა შეიძლება, მისთვის იქ გადაყვანა უკეთესიც იყოს. ჭერი მაინც ექნება თავზე, არც საკვები მოაკლდება და ჩემ გვერდით კი რა ელოდება, არავინ იცის...

მანანა კარადიდან ჩემოდანს იღებს და ჯულიას ნივთებს ალაგებს. მექანიკურად მოძრაობს და ცდილობს, ემოცია არ გამოხატოს. ჩემოდანს, წამლებით სავსე შეკვრასა და დანიშნულებებს დავიდს აძლევს. ყველაფერს დაწვრილებით უხსნის და გამომშვიდობებისას ჯულიას ეხუტება. კოცნის და ეჩურჩულება: Do not worry Julia, I will come for you very, very soon... ჯულია ტირის. დავიდი ეტლს გასასვლელისკენ მიაგორებს. ბნელდება.

### სურათი მეშვიდე:

სცენა ნაწილობრივ ნათდება და ჩანს საწოლი, რომელზეც მანანა წევს. სახეზე უანგბადის ნიღაბი უკეთია და წვეთოვანი უდგას. გადაპარსულ თავზე თავსაბურავი აქვს წაკრული. წინ უდევს გახსნილი ნოუთბუქი და ყურსასმენები უკეთია. ვიღაცას ხელს უქნევს და ჩუმად ესაუბრება.

**მანანა:** დალიკო, როგორ ხარ? მომენატრე, გოგო ძალიან. ისე, მშვენივრად გამოიყურები, ხომ იცი. გახდი კიდეც ცოტა. რაო? კაი, გაჩერდი ერთი, კარგად გამოვიყურები კი არა ის. სული კბილებით ძლივს მიჭირავს... კი, უკვე თვევა აქ ვარ. სად ვარ და ამ დაწესებულებას ჰქვია „ამერიკული ოცნება“. მოხუცთა თავშესაფარია, რა. სასაცილო კია, მე სად ვეძებდი ჩემს ამერიკულ ოცნებას და განგებამ სად მაპოვნინა, თუმცა რას გაუგებ ამ ცხოვრებას. ჰა... ჰა... როგორ? კი, გოგო, გაყიდეს დედაჩემის დანატოვარი სახლი და გაისტუმრეს ვალები. თემიკოსაც დღე-დღეზე გამოუშვებენ, რაღაც საბუთის ხელმოწერას ელოდებიანო. კი, კვირაში ერთხელ მაკითხავენ ხოლმე. საჭმელიც მოაქვთ, მაგრამ მე რაში მჭირდება მაგათი მოტანილი. მე ის მირჩევნია, ისევ თავის თავს მიხედონ და ჩემ გამო არ დაიხარჯონ, შეწუხდნენ. თან აქ არც არაფერი მაკლია და, სიმართლე გითხორა, არც არაფრის ჭამის თავი მაქვს. როგორ? ა, ჰო, სანამ გამოძიება დასრულდება, აქ ყოფნის უფლება მაქვს, რადგან მაინც ამერიკის მოქალაქე ვარ. თან ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაითვალისწინეს. შეძლებისდაგვარად მივლიან კიდეც. ექიმიც მოდის ხოლმე და რაღაც მედიკამენტებსაც მასმევენ. მოკლედ, მაგრად გამიმართლა, აქ რომ მოვხვდი. ერთი კარგი ბიჭია, ადვოკატი, დავიდი ჰქვია და ეგ დამეხმარა. მერე რა იქნება, აბა, მე რა ვიცი... მოვკვდები, ალბათ, და დავისკვენებ. დამასაფლავებენ მერე ჩემი მშობლების გვერდით, ცოტას წაუტირებენ და ამოვლენ ხოლ-

მე ალდგომას წითელი კვერცხის დასაგორებლად. კაი, ხომ ვხუმრობ. ჯერ ბავშვები მყავს ფეხზე დასაყენებელი და სიკვდილის უფლება არა მაქვს. აი, წამოვდგები, ცოტას მოვყოჩადები და წავალ მერე ისევ ამერიკაში. რაო? ჯულია? კი ისიც აქაა. ქვედა სართულზეა. მართალია, მასთან მისვლა აკრძალული მაქვს და ათ მეტრზე ახლოს არ მაკარებენ, თუმცა ჩუმ-ჩუმად მაინც ვნახულობ ხოლმე. ღამე ჩავდივარ მაგასთან და რა ვიცი, ვუვლი როგორც შემიძლია. ვაჭმევ, ვეფერები, ვანუგეშებ... ისე უხარია, გოგო ჩემი დანახვა, ბავშვივით არის... მოგიკითხავ აუცილებლად. წავედი ახლა, დალიკო, სძინავს აქ ყველას და კარგად ვერ გესაუბრები. მერე, იქით კვირაში დაგირეავ და დაწვრილებით მოგიყვები ყველაფერს. აბა, შენ იცი და თავს მოუფრთხილდი. ხომ იცი, ერთი მამიდაშვილიდა დამრჩი... აბა, გკოცნი და ნუ ინერვიულებ, ყველაფერი აუცილებლად ძალიან კარგად იქნება და ახლა თუ ვერ ვართ ყოჩალად, მერწმუნე, მომავალში მაინც შევძლებთ ვიყოთ ბედნიერები...

მანანა ნოუთბუქს ხურავს და ეპილეპტიკური შეტევა ეწყება. მთელი სხეული ეკრუნჩჩება და სანოლზე დახტის. თვალებს ატრიალებს, პირიდან დუში მოსდის და აკანკალებს. მისი სახოლი წყვდიადში ექცევა. ნათდება სცენის შუაგული და ჩანს ნიაკო, რომელსაც ცალ ხელში საყურები უჭირავს და მეორეში კი - თუნუქის კოლოფი.

**ნიაკო:** ეს საყურე ბებამ მაჩუქა... ზუსტად ერთი დღით ადრე, სანამ გარდაიცვლებოდა. მის სანახავად ვიყავი მისული, ბალიშის ქვეშიდან გამოაძვრინა და ხელში ჩამიდო. ესო, შენს ქორწილში გაიკეთე ჩემს სახელზეო. მე როცა ეგ საყურე მეკეთა, ძალიან ბედნიერი ვიყავიო... და იყო კი ოდესმე ბედნიერი? მეეჭვება... არაფერი მითქვამს. საყურე გამოვართვი და შუბლზე ვაკოცე... და ან კი რა უნდა მეთქვა? ჯერ ერთი, რომ ძალიან მეეჭვება ეს საყურე როდესმე გავიკეთო, რადგან

ძალიან არ მომწონს და მეორეც... ჰო, მეორე ამბავი ისაა, რომ ამ საყურეს, ალბათ, დავალომბარდებ და ან კი გავყიდი, რადგან ფეხმძიმედ ვარ, სასწრაფოდ აბორტი უნდა გავიკეთო და ფული არ მაქვს. რა თქმა უნდა, ეს ამბავი, გიგის გარდა, არავინ იცის. აბორტიც მაგან მირჩია, ჯერ შენ თვითონ ბავშვი ხარ და რა დროს შენი შვილიაო? ეგეც მაგარი დეგენერატია, რა... ისე, რომ დავფიქრდე, კიდევ ვინ უნდა იცოდეს? მე ხომ ისედაც ყველას ფეხებზე ვკიდიგარ?! ერთი მანანა იყო, ვისაც ვადარდებდი და ახლა ეგეც აღარაა... მოკლედ, დიდი ეჭვი მაქვს, რომ ბებას ამ თხოვნას ვერ შევუსრულებ. ჰო, ალბათ, ვერც იმას, მეორეს... ასე დამიბარა, გადაეცი ყველას, ჩემი მშობლების გვერდით დამკრძალონო. მგონი, მაგათ გარდა, არც არავის ვყვარებივარო... სამწუხაროდ, ვერც მაგ თხოვნა შევუსრულე... და ან კი როგორ უნდა შემესრულებინა, როცა ალმოჩნდა, რომ ჩვენებს ის სასაფლაოც გაუყიდიათ. ჰა... ჰა... მართლა სასაცილოა, არა? მანანას მშობლების საფლავი გაუყიდიათ თავისი მიცვალებულებითურთ... და მერე რა, რომ სანიტარული ვადა გასული ჰქონდათ, მაინც გაუგონარი ამბავია, არა? წარმოდგენა არა მაქვს, ვის რაში დასჭირდა მანანას მშობლების სათლავი, თუმცა, ფაქტია, იყიდა... ისე კარგი, დიდი საფლავი კი იყო. ოთხკაციანიო - ასე თქვეს. მეც მახსოვს, კარგად გაკეთებული და კარგ ადგილას, ზედ გზის პირზე მდგომი.

**ნიაკო საყურეებს ხელში ათამაშებს**  
**და ცბიერად იღიმის.**

**ნიაკო:** მე ეგ ამბავი მართლა არ ვიცოდი. ბება რომ გარდაიცვალა, მერე გაირკვა. თურმე სასაფლაო წლების წინ გაუყიდიათ და ფულიც გაუყვიათ. ბაბუს, ბიძას და დედას... ყველანი ნამდვილი სვავები არიან. მანანას მჭამელი სვავები. მაგათმა გამოჭამეს ჩემი ბება. გამოხრეს... ალბათ, ცოტათი მეც... მოკლედ, ველარსად დამარხეს ჩემი ბება და მერე ისევ იმათმა, თავშესაფარის ხალხმა შესთავაზა, კრე-

მაციას გავუკეთებთო. თან უფასოდ, რადგან ამერიკის მოქალაქეაო. შედეგს აგერ ხედავთ. ჩემი ბებას ფერფლია ამ თუნუქის ქილაში. აი, ასე... დაწვეს ჩემი ბება და ამ კოლოფში მოათავსეს. ეს ძვირფასი კოლოფი კი საზეიმოდ მე გადმომცეს, მანანას ყველაზე მეტად შენ უყვარდი და ანი ეს კოლოფი შენ გეკუთვნისო. დამპლები... მისი ფერფლის თაროზე შემოდებაც კი არ ინება არავინ. ნამდვილი დამპლები და გიუები არიან. დედაც, ბიძაც და ბაბუც... ცოტაზე, ალბათ, მეც... ბებაც ხომ სულ ასე მეფერებოდა, შენ ხარ ჩემი გიუი გოგო და შენ უნდა მიპატრონო, როცა დავბერდებიო. ჰოდა, გიუი ნალდად ვარ და პარტონობის კი რა მოგახსენოთ, არც ეგ გამოვიდა... მაგრამ არა უშავს, ახლა მივხედავ ჩემს ბებას და თან ისე კარგად, რომ გადასარევად... აი, სულ, სულ ყველას რომ და-ამახსოვრდება ეგრე... აი, მთელი დარჩენილი ცხოვრება რომ ყოველდღიურად მოაგონდებათ, სწორედ ეგრე... მე ამათ ვაჩვენებ სეირს, ამ უმაღურებსა და უნამუსოებს. თითოეული წუთი და წამი სულ ჩემი ბებათი იქნებიან განმსჭვალული... შთანთქმული... გაუღენ-თილი... იცით, რა უნდა ვქნა? პასუხი, აი, ამ კოლოფშია.

ნიაკო თუნუქის კოლოფს ანჯლრევს და იცინის.

**ნიაკო:** დარიჩინიან ნამცხვარს გამოვაცხობ, აი, ზუსტად ისეთს, ბებას რომ უყვარდა და შიგ ვუზამ ამ ფერფლს. ჰა... ჰა... კი, ეგრე ვიზამ ზუსტად და მერე ყველას სათითაოდ გავუმასპინძლდები – ბაბუსაც, ბიძასაც, დედასაც და მამაჩემსაც კი შევუგზავნი ციხეში. ყველას, სულ ყველას ვაჭმევ ბებას ნარჩენებს... ცოცხალად ხომ შეჭამეს და ახლა ბარემ მკვდარიც მოამთავრონ... მერე კი ვეტყვი, რაც მიირთვეს. მაგარია, არა?! ნარმოიდვინეთ, რა სახეები ექნებათ, როცა გააცნობიერებენ, რომ ბება შესანსლეს. ჰა... ჰა... ჰა... და მერე მთელი ცხოვრება იცხოვრებენ ფიქრით, რომ ბება მათშია... მისი ნეშტი ნელ-ნელა კუჭში გაიხსნა, შეერია სისხლს, გადაიქცა თეთრ და წითელ ბურთულებად და შემდეგ მოედო მთელ სხეულს... და, რა თქმა უნდა, სულსაც... აი, ხომ ძალიან მაგარი აზრია? კი, მეც ძაან მომწონს და ამიტომაც დღესვე გამოვაცხობ ბებას-გან ნამცხვარს, მოვაწყობ სანათესაოს თავშეყრას და საზეიმო ვითარებაში მივირთმევთ მანანას... ცოტას მეც გეახლებით, რადგან მეც მინდა, რომ ბება მთელი ცხოვრება დამამახსოვრდეს... თავისი სევდიანი მზერით, ამერიკული ოცნებით, ჯულიაზე ზრუნვით, მოტკბო სურნელითა და დარიჩინიანი გემოთი...

### დასასრული

## ელჩინ აფანდიევი



ელჩინ აფანდიევი – აზერბაიჯანის სახალხო მწერალი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ფილმ-ლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თანამედროვე აზერბაიჯანული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა – დაიბადა 1943 წლის 13 მაისს ქალაქ ბაქოში, XX საუკუნის აზერბაიჯანული ლიტერატურის ერთ-ერთი დიდი ნაწყობადგენლის, ილიას აფანდიევის ოჯახში. პირველი მოთხრობა 16 წლისამ გამოაქვეყნა. მისი პირველი წიგნი სათაურით – „ათას ერთი ლამიდან ერთ-ერთი“ 1965 წელს დაიბეჭდა. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, თურქულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, არაბულ, ჩინურ, სპარსულ, პოლონურ და სხვა ენებზე.

### ბალადათაშის პირველი სიყვარული

აფშერონზე, ზედ ზღვის ნაპირას ერთი სოფელი განილილიყო. თან ისე განილილიყო, გეგონება, დედამინის ზურგზე, ამის გარდა, სხვა სოფელი არც მოიძევებოდესო. რადგან მზე გამეტებით აქერდა, ყველას თავი საკუთარ კარ-მიდამოში შეერგო, არსად ძეხორციელი არ ილანდებოდა და ისეთი განცდა რჩებოდა, თითქოს ეს მარტოსულობა მხოლოდ ამ სოფლის კი არა, დედამინის, პლანეტის მარტოსულობა ყოფილიყო.

სოფელს, თავისი ერთ და ორსართულიანი სახლების, ბუჩქებისგან შემო-

რაგული ცოცხალი ლობის, ფიცრული მოაჯირების, ქვისგან აგებული ყორებალავნების, სიმწიფისგან ჩაშავებული ხეხილის, წითელყვავილებიანი ბრონეულის, თუთის ხეებისა და ბლომად მზის გარდა, ზღვაც გააჩნდა და ამ წუთას ზღვის სულ პანია ტალღები სანაპიროს ქვიშნარს ისე რბილად ელამუნებოდნენ, თითქოს სოფლის ამ სიმარტოვეს ნანას უჩურჩულებდნენო.

სოფელში კაციშვილი არ ჩანდა, გარდა ბალადადაშისა, რომელიც სოფლის შიდა, მოასფალტებული გზის ტროტუარზე, თუთის ხის ძირში იჯ-

და და, მთელი სოფლის ჯამაათისაგან განსხვავებით, ამ პაპანაქება სიცხეს არ უშინდებოდა; ხის გაქუცული ჩრდილი დიდი ხანია რაც გადაჩიჩებულიყო, მაგრამ ბალადადაში მას არ გაჰყოლოდა, იჯდა ასე და თაკარა მზის სხივებქვეშ თვლემდა.

ბალადადაში შიშველ ფეხებზე სანდლები ამოეცვა, ზედ ტილოს შარვალი, მოკლემკლავიანი, ზოლებიანი ტრიკოტაჟის პერანგი ეცვა, თავზე კი „აეროდრომის“ კოკარდიანი ქუდი ეხურა, რომლის ძირიდანაც, გალეულ სახეზე შიგადაშიგ ოფლის წვეთი თავქვე ჩამოუგორავდა ხოლმე.

ამასობაში ასფალტიან გზაზე ლუდის კასრებიანმა სატვირთომ ჩამოიარა და მისი გულისგამანვრილებელი რახრახი სულაც არ ებიტნავა ბალადადაში. კოლოების გამო წუხანდელი უძილობისგან გვარიანად ჩანითლებული თვალები გაახილა, სატვირთოს უძრავად გააყოლა, შემდეგ მონკურა და მზეს ალმაცერად ახედა, მერე მზერა თუთის ადგილშეცვლილ, გაქუცულ ჩრდილზე გადაიტანა, მაგრამ სიზარმაცისა და დადონდლავების გამო ადგილიდან მაინც არ განძრეულა, მხოლოდ ფეხები გაიშვირა წინ, კაი გემრიელად დაამთქნარა, მკლავები ფართოდ გაშალა და ერთი ძალუმადაც გაიზმორა.

მოპირდაპირე ეზოს ქვით ნაგებ გალვანზე პატარა ბიჭის თავი გამოჩნდა, ბალადადაში დაინახა თუ არა, სასწრაფოდ ჩაიმალა და იმნამსვე ეზოს ლურჯი ჭიშკრის კუტიკარიც გაიღო, საიდანაც წელანდელი ბიჭი ბალადადაშისკენ წამოვიდა; ერთ ხელში კარაქნასმული პური ეჭირა, მეორეში კი – ფიცრის ნაჭერი. ბიჭი ბალადადაში ზედ თავზე წამოადგა, კარაქნასმული პურის ნაჭერს მოაპიჩა და გემოსჩატანებით და ღეჭვა-ღეჭვით ფიცარი გაუწოდა:

– ჩილიკა ჯოხი გამომიჩორქნე, რა!..

ბალადადაში ჩამომიჩორქნე, კი არ გაიღო. ბიჭმა ერთი კიდევ უებიჩა კარაქნასმული პურის ნაჭერს და დაამატა:

– რა იქნება, გამომიჩორქნე რა!

ბალადადაშისგან ისევ არაფერი მო-

ისმა. ბიჭმა ლუკმა კარგად რომ დალეჭა და გადაყლაპა, ისევ არ მოეშვა:

– რა იქნება...

ბალადადაში თვალები მოჭუტა და ერთხანს ბიჭს ისე ახედა, თითქოს პირველად ხედავსო, შემდეგ, როცა იყო, ამოღერლა:

– შემეშვი რა.

ბიჭი თავის კარაქნასმული პურის ნაჭერს დააცეკერდა და თითქოს ცოტა-თი დაენანა კიდეც რომ ილეოდა, მერე კი თქვა:

– აპმედალა ჯარში რომ წაიყვანეს, მაშინ არ დამპირდი, რომ მის მაგივრად შენ გამითლიდი ჩილიკა ჯოხს?

ბალადადაში ჩეამი ისევ არ გაიღო.

ბიჭმა განაგრძო:

– წუხელ აპმედალასგან წერილი მივიღეთ. მეყითხებოდა, ბალადადაში ჩილიკა ჯოხს თუ გიჩორქნისო? მერე კი ინერებოდა, რომ ჩემგან მხურვალე მოკითხვა გადაეცი ბალადადაშისო. დედას გეფიცები!

ბალადადაში ჯერ არაფერი თქვა, ერთხანს არც გატოკებულა, შემდეგ ოდნავ გაიზმორა, ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიყო, სიგარეტ „ავრორას“ კოლოფი ამოიღო, ერთი ღერი ააცალა, ყურსუკან დაიმაგრა და ისევ ჩაიჩურთა ჯიბეში, შემდეგ მეორე ხელით მეორე ჯიბეს მიეტანა და იქიდან დასაკეცი დანა ამოაძრო, გახსნა და ფრჩხილზე სიბარე შეუმონმა. მხოლოდ ამის შემდეგ უთხრა:

– მოიტა!

დილისაქეთ ბალადადაშისაგან უდიდესი მოთმინებით პასუხის მომლოდინე ბიჭმა ფიცრის ნაჭერი სასწრაფოდ გაუწოდა. ბალადადაშისც გამოართვა, ახედ-დახედა და თლას შეუდგა.

მოპირდაპირე ლურჯი ჭიშკრის კუტიკარი ისევ გაიღო. ეზოდან ამჯერად ქალი გამოვიდა და ბალადადაშიან მდგომ ბიჭს გასძახა:

– ალანაჯაფ, ალანაჯაფ!

ალანაჯაფმა დედისკენ გაიხედა:

– რა იყო?

– მოდი, ბავშვებთან დაჯექი, ბაზარში მივდივარ მე.

აღანაჯაფმა ჯერ დედამისას გახედა, შემდეგ – ბალადადაშს, მერე ბოლო ლუკაცი ჩაიტენა პირში და ღეჭვა-ღეჭვითვე უთხრა ბალადადაშს:

– რომ მორჩები, დამიძახე და გამოგართმევ, კარგი?

ბალადადაში საქმით იყო გართული და არაფერი ესმოდა, საერთოდაც, ბალადადაშს ქვეყანაზე თითქოს არაფერი ანალვლებდესო.

აღანაჯაფი გაიქცა და ეზოში შევიდა.

ქალი ბალადადაშს რომ გაუსწორდა, შედგა:

– როგორ ხარ, ბალადადაშ. დედა როგორ გყავს?

ბალადადაშმა თავის აუწევლადვე მიუგო: – კარგადაა.

– როდის მიდიხარ ჯარში?

– შემოდგომაზე.

– ინშალა. აპმედალა კურსებზე შესულა იქ.

ბალადადაშმა თავი ააღირა და ქალს შეხედა:

– მეც შევალ.

– ინშალა.

ქალმა გზა განაგრძო. ბალადადაშმა თლა გააგრძელა, მერე უცბად თავი ასწია და ქალს მიაძახა:

– აპმედალას მოკითხვა მისწერეთ ჩემგან, მხურვალე. მისწერეთ, რომ ბალადადაში სალამს და მოკითხვას გაბარებსო.

ქალმა ღიმილით დაუქნია თავი და ქნევა-ქნევითვე მოაძახა: – სალმისა და მოკითხვის დამბარებელმა გაიხაროს, დიდი მადლობა! – შემდეგ კუთხეში შეუხვია და თვალს მიეფარა.

ისევ ის სოფელი, ისევ ისეთი პაპანაქება, ისევ თუთის ხის ქვეშ მჯდომარე და გულმოდგინედ ჩილიკა ჯოხის მჩორკნავი ბალადადაში.

კიდევ ზღვა; ლურჯი ზღვა, რომ-ლის სილურჯეც ძალიან შორს, ჰორნტის ხაზს ერწყმოდა და ის თვალით ძლივ-ძლივობით გარჩეული ხაზი, სამყაროს კიდე იყო თითქოს.

ცა იყო კრიალა, ზღვა უტალდებო,

უხმაურო და ამ სისუფთავეში, ამ უხმაურობაში ისეთი მარადიულობა სუფევდა, ისეთი, თითქოს დუნიაზე არც წვიმა მოსულიყო ოდესმე, არც გრიგალი ყოფილიყო, არც ზღვის ღმუილი და არც სხვა მისთანანი.

ჯერ სატვირთოს ხმა მოისმა, შემდეგ თვითონ სატვირთოც გამოჩნდა, ღმუილით გასცდა ბალადადაშს და ასე ოც-ოცდახუთ მეტრში გაჩერდა.

მანქანას ძარაზე ვეება ქვეშაგები და საბნები, მაგიდა, ხის სკამები, ტან-საცმლის დიდი კარადა, ჯამ-ჭურჭელი, ქვაბი, სამოვარი შემოედოთ. ეტყობოდა, რომ ახალმოსახლები ჩამოსულიყვნენ.

მძღოლმა ძრავა გამორთო და ჩამოვიდა. შემდეგ მიიხედ-მოიხედა და დადასტურებით თქვა:

– კი, ეს არის.

კაბინიდან ხვენეშა-ხვენეშით გადმოვიდა მსუქანი ქალი და მძღოლის მიერ ნაჩვენებ ხის კარებს შეხედა, შემდეგ ირგვლივ მიმოავლო თვალი, ზღვა შეათვალიერა და აღმოხდა: – ღმერთმა გვიცოცხლოს მურადის თავი, მთლად გადასარევ ადგილას აუღია ბალი.

მძღოლმა ჯიბიდან გასაღები ამოილო და ხის კარის დიდი ბოქლომი გააღო, შემდეგ კარი ხელის კვრით შეაღო და ახლა შიგნით შეიხედა. ლეღვის, კომშისა და ბრონზეულის ხეებს პატარა ეზო სულერთიანად ექციათ საჩრდილობლად. მინაშენიანი, ერთსართულიანი სახლის უკანა მხარეს ხეხილი ერგო, ეზოს მეორე ბოლოში პატარა ბოსტანი, ბოსტანთან კი ორსართულიანი ჩარდახიც იდგა, რომლის ქვედა სართულის ჩრდილში ახლა შოშიების მთელ გუნდს უივილ-ხივილი აეტეხა.

მსუქანი ქალი ათვალიარებდა და ამ წალკოტისებრი ეზოს მოვლილობით, ჩრდილით ნეტარებდა, რის გამოც შესასვლელის ხის კარს კარგა ხანს შერჩა, შემდეგ, ალბათ, გაახსენდა, რომ აქ ბალის საცქერლად კი არა, მოსაწყობად იყვნენ ჩამოსულები და რომ ნივთები ჰქონდათ შესაზიდი. აქვე ეტყობა ისიც მოაგონდა, რომ თვრამეტი წლის უმ-

შვენიერესი გოგონა ჰყავდა და იმ გო-  
გონას ამ ეზოსთვის თვალიც კი არ შე-  
ევლო ჯერ.

— სევა, მოდი ნახე, რა სამოთხეა!..  
— მსუქანმა ქალმა ირგვლივ მიმოიხდა  
და მხოლოდ ახლა ისაზრა, რომ სევა  
დილის აქეთია რაღაც თვალში არ მოხ-  
ვედრია, ამიტომ ოდნავ შეშფოთებით  
მძლოლს გადახედა. მძლოლმაც აქეთ-  
იქით იცქირა და შემდეგ მხრები აიჩეჩა,  
ე.ი. მართლა არ ჩანს სევა-ხანუმიო.

მსუქანმა ქალმა თანდათან მოძალე-  
ბული შფოთით სატვირთოს წრე დაარ-  
ტყა და თან იძახდა: — სევილ! სად ხარ,  
სევა!..

მსუქანი ქალის შეშფოთება ნელ-ნე-  
ლა მძლოლსაც გადმოედ:

— სევა-ხანუმ!

მძლოლი ფეხის წვერებზე აინია და  
ძარას მოავლო თვალი — არავინ იყო.

— მართლაც და, სადაა ნეტა ეს გოგო?

დილიდან თუთის ხის ძირში მჯდო-  
მარემ და ჩილიკა ჯოხის თლით დაკა-  
ვებულმა ბალადადაშმა თავი ასწია და  
სატვირთოსკენ გაიხედა, შემდეგ ისევ  
წაიკისრა და გულმოდგინედ განაგრძო  
თავისი საქმე.

მსუქანი ქალი მძლოლს მიუახლოვდა  
და თითქოს საკუთარი სიტყვები აში-  
ნებსო, ისე წარმოთქვა: — გზაში ხომ არ  
გადმოვარდა ბავშვი, რა ვენა?

მძლოლს ისედაც დაკარგული ჰქონ-  
და თავი. ისევ ფეხის წვერებზე აინია  
და ძარა დაათვალიერა:

— ამხანაგმა მურადმა სევა-ხანუმის  
ძარაზე მგზავრობა რომ შეიტყოს, ჩათ-  
ვალეთ, რომ მკვდარი ვარ!..

მაგრამ მსუქან ქალს მძლოლის ნუ-  
გეშის თავი არ ჰქონდა, უკვე გვარია-  
ნად დაფეთებულიყო:

— სევილ! სევილ!

უცებ სევილის ხმა გაისმა:

— რა იყო, დედიკო?

მსუქანი ქალი შეცბა და მძლოლს გა-  
ხდა. მძლოლმა ისევ აიჩეჩა მხრები, ამ-  
ჯერად მოიკეცა და მანქანის ქვეშ შეი-  
ხდა, ვითომ აქაოდა, ეგება მანქანის  
ქვეშ იყოსო.

მსუქანმა ქალმა ისევ დაიძახა:

— სევა!

— დიახ!..

მძლოლიც და მსუქანი ქალიც დაპ-  
ნეულები იდგნენ. ამ დროს მანქანის  
თავზე დიდი კარადის კარი გაილო და  
თეთრკატიანია, მეშვიდე ციდან ჩამო-  
ფარფატებულმა ანგელოზმა, სახელად  
სევამ, რევერანსი გააკეთა — ე.ი. აქა  
ვარ, თქვენო აღმატებულებავ, თქვენს  
სამსახურში მიგულეთო.

მსუქანმა ქალმა ხელი მკერდზე მი-  
იდო:

— ერთხელაც იქნება და გულს გა-  
მიხეთქავ, — მაგრამ აქვე გაილიმა კი-  
დევაც, რადგან გაცხადდა, რომ თურმე  
მისი ლამაზი და პრანჭია ქალიშვილი  
მანქანის ძარიდან სულაც არ გადმო-  
ვარდნილა, არც არაფერი დამართნია,  
უბრალოდ, მორიგჯერ უხუმრია, ეგ  
არის და ეგ.

მძლოლმა, ეტყობა, მხოლოდ ახლა  
ისაზრა, სასატიკი, ყოფისმატირებელი  
მზის ქვეშ რომ იდგა. ჯიბიდან დიდი  
ცხვირსახოცი ამოილო და სახიდან ოფ-  
ლი ჩამოიწმინდა.

სევილი, მაგიდის ჩიგბურთის ბურ-  
თივით, თვალის დახახმამებაში ძარიდან  
გადმოსკუპდა და მასზე თვალმიშტერე-  
ბულმა ბალადადაშმაც მზის მცხუნვა-  
რება მხოლოდ ახლა იგრძნო, წამოდგა,  
შარვლის უკანა მხარე დაიფერთხა და  
თუთის ხის გაქუცულ ჩრდილში გადაჯ-  
და.

სევილმა ფიცრულა კარში შეიხედა,  
შემდეგ ხელიხელზე შემოჰკრა და აღ-  
მოხდა: — ოი, კაკაია კრასატა!.. პროსტა  
პრელესტ!..

მსუქანმა ქალმა ეზოს, სადაც მთელ  
ზაფხულს გაატარებდნენ, კიდევ შეავ-  
ლო თვალი და გაილიმა — მას თავის-  
თვისაც უხაროდა ეს და თავისი ქალიშ-  
ვილის მაგიერაც.

— კარგი, ნივთები შევიტანოთ და  
მოვეწყოთ ახლა, — თქვა მან.

მძლოლმა ძარას გვერდითა ფრთა  
ჩამოუკეცა და ნივთების ჩამოცლასა  
და სახლში შეტანას შეუდგა. სევილიც  
დედასთან ერთად წვრილ-წვრილ რა-  
ღაცებს იღებდა და მძლოლს ეხმარებო-

და. ოფლით გახვითქული მსუქანი ქალი ზოგჯერ ჩერდებოდა და თუთის ხის ჩრდილქვეშ ჩილიკა ჯოხის მწორკნავ ბალადადაშს ალმაცერად გახედავდა, რითაც ანგარიშმიუცემლად მიანიშნებდა, ვერ ხედავ, ახალი მეზობლები მოგიხვედით, შენ კი დახმარების მაგიერ რაღაცას ჩხირკედელაობო.

ბალადადაში მსუქანი ქალისა და მძღოლის ამრეზილ გამოხედვებს გრძნობდა, მაგრამ ბალადადაში იმის ბალადადაში იყო, რომ თავის ნაცოდინარს მამამისსაც კი არ უნილადებდა – ყოველთვის ისე იქცეოდა, როგორც თავად ჩათვლიდა საჭიროდ.

მსუქან ქალს უკვე ელეთმელეთი მოსდიოდა, თუმცალა ხანდახან ტვირთისზიდვა სულაც არ აწყენდა. სევილიც სკუპ-სკუპით მიმოდიოდა, ხან ერთი წიგნი მიჰქონდა, ხან მომცრო ფუთას დაავლებდა ხელს, ვითომდა, სერიოზულ საქმეს ვაკეთებო.

ბოლოს მძღოლი მანქანის ძარაზე ავიდა და ტანსაცმლის დიდი კარადის დაძრას შეუდგა. აქ მსუქანმა ქალმა თავი მეტად ვეღარ შეიკავა და ბალადადაშს უთხრა: – ბიჭი, მოდი ცოტა ხელი შეგვაშველე რა, ვერ ხედავ რომ ძალა არ გვყოფნის?

ბალადადაშმა თავი აიღო, მსუქანს ქალს ერთხანს უცქირა და შემდეგ იკითხა:

- მე მეუბნებით?
- ჰო... აბა, ვის?

ბალადადაშმა მსუქან ქალს ერთხანს კიდევ უყურა: – მერე? მტვირთავი წამოგეყოლათ.

მსუქანი ქალი ვერ მიხვდა, ამ სიტყვებით ბალადადაში მათ დასცინოდა თუ სინამდვილეშიც ამ აზრის იყო და მათ მტვირთავი მართლაც უნდა წამოეყოლათ.

ოფლისგან ტანზე თეთრპერანგმიწებებულმა მძღოლმა ბალადადაშს ჯავრით შეხედა და რაღაცის თქმა მოინდომა, მაგრამ ამ დროს კართან მომდგარმა სევილმა ბალადადაშის მისამართით ჩაიფხუკუნა და მძღოლმაც სათქმელი გადაიფიქრა. ბალადადაშმა

„აეროდრომის“ ქუდის დიდი ნისკარტის ქვემოდან სევილს გამოხედა, შემდეგ ფიცრის ნაჭერი ტროტუარზე ჩამოდო, წამოიმართა, დანა დაკეცა, ტილოს შარვლის უკანა მხარე წესისა და რიგისამებრ დაიფერთხა და ზანტი ნაბიჯით მიუახლოვდა მანქანას.

სევილმა ამ პაპანაქება სიცხეში ბალადადაშის ქუდისა და ყურთან გარჭობილ სიგარეტის ღერს შეხედა და ისევ აფხუკუნდა.

ბალადადადაშმა თვალის კიდით გახედა სევილს და, ვითომც აქ არაფერიო, მძღოლს ანიშნა – კარადას უბიძგეო, ხოლო თავად ბეჭებით მიეყრდნო მანქანას და ხელები მაღლა აიშვირა.

მძღოლმა თავდაპირველად იყოყმანა, რადგან კარადა დიდი, ბალადადაში კი გამოჩენიკულის ერთი იყო, თუმცა ბალადადადაშის თავდაჯერებულობამ მასზეც იმოქმედა და მანაც ტანსაცმლის კარადა ხვენება-ხვენეშით დაუშვა ბალადადაშის ბეჭებზე.

ბალადადადაშმა კარადას ხელები შემოაჭო და ნაბიჯის გადადგმა ინდომა, მაგრამ სიმძიმისგან მუხლები აუკანკალდა, თვალთ დაუბნელდა და წამიერად გაიფიქრა, რომ აი, ახლა, ამ წუთას ამ მძიმე ტვირთს თუ არ გაეცალა, ვერც ჯარში წავა, ვერც აპმედ-ალასავით კურსებზე შევა, დედა ხომ მთელი ცხოვრება მასზე ატირებული დაურჩება სახლში და საერთოდ, ისიც გადაავიწყდა, რომ აქვე თვრამეტი წლის ლამაზი გოგონა უდგას, რომელსაც სევილი ჰქინია და, რომ ეს სევილიც ძალიან ხითხითაა.

ბალადადადაშმა კარადის ქვეშ მოყოლას და გაჭყლეტვას ძლივს გაასწრო, რომ კარადამ გაფისულ ტროტუარზე ხმაურით მოადინა ზღართანი.

კარადის დაბრეხვების შემდეგ წამიერად სიჩუმე ჩამოვარდა და ამ წამიერ სიჩუმეს სევილის ჯერ ჩაფხუკუნება და შემდეგ კი გულიანი კისკისი მოჰყვა. მისმა კისკისმა მსუქანი ქალი თითქოს გამოარკვია და მასაც აღმოხდა:

– ვაიიიი!

ბალადადადაშმა ჯერ პირქვედამხობილ

კარადას შეხედა, შემდეგ თავისი სიცი-ლით სოფლის ჩვეული მონოტონურობის ამღვრევ სევილის და დაასკვნა:

— ეგ არაფერი, გამოვასწორებთ.

მსუქანმა ქალმა ვერ მოითმინა და:

— რალას გამოასწორებ, ჩემი იმანო?

ლომივით აზილა შიფონერი და ახლა გამოვასწორებთ?!

სევილმა ისევ გადაიკისკისა.

მანქანის ძარაზე შეყინულ მძლოლს, ალბათ, ის ედარდებოდა, ამხანაგ მურადს რა პასუხს გასცემდა და ამიტომ რამის სათქმელი ძალა აღარ შერჩენოდა.

ბალადადაშმა თვალი კარადას მოაცილა და ისევ სევილს მიაპყრო. უცებ მიხვდა, რომ სულ რალაც ნახევარი საათის წინ მისთვის ეს სრულიად უცნობი გოგონა ახლა ძალიან ემშობლიურება და ეძვირფასება. ამ გრძნობამ გულგვამში გაუარა და მოეჩვენა, რომ ზღვის ტალღები მთელ სხეულზე მოელამუნენ; დუნიაზე კი ზღვის ბალადადაშივით შემგრძნობი, განმცდელი მეორე ადამიანის პოვნა რთული ამბავი იყო.

ასე დაიწყო ბალადადაშის პირველი სიყვარული და ამ პირველი სიყვარულის პირველი შუადღე კარადის ამასწინდელი ამბით დასრულდა; ბალადადაშმა ჯერ ტილოს შარვლის უკანა მხარე დაიფერთხა — თითქოს ისევ ტროტუარიდან წამომდგარიყოს, შემდეგ კი, ვითომც აქ არაფერიო, შემოტრიალდა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ზანტი და უდარდელი ნაბიჯებით გაეცალა იქაურობას.

ყოველი მხარიდან ზღვა იყო და ამ წუთას ზღვაში, თევზების გარდა, ბალადადაში ცურავდა კიდევ; თევზები არ ჩანდნენ, მაგრამ ბალადადაშის თავი ზღვის ზედაპირზე ხან შავად მოჩანდა, ხან უჩინარდებოდა, ხანაც ისევ ამოყურყუმელავდებოდა; ბალადადაში ისე სათუთად ცურავდა, ისე, რომ ზღვის სიწყნარე თავისივე სიწყნარეში რჩებოდა, უხმოობა კიდევ — უხმოობაში.

ბალადადაში ახლა ზურგზე გაწვა და თვალები ზეცას მიაპყრო; ცაც ზღვა-სავით უსასრულო იყო და ამ ცისქვეშა

ზღვაზე გაწოლილ ბალადადაშს გულში თვრამეტი წლის ერთი გოგონა ჰყავდა ჩავარდნილი; გოგონას სევილი ერქვა და ძალიან მცინარა იყო.

ახლა ის მცინარა გოგონა ეზოში, ლელვის ხის ქვეშ იჯდა და ამჯერად არ იცინოდა. ხელები ყავისფერი თმის უკან გადაეჯვარედინებინა, დიდი ლურჯი თვალები ცისკენ მიეპყრო და ლექსს ამბობდა:

„იმღერე ძვირფასო მთელი არსებით,

შენით ფრთიანობდეს მუზა სავსებით.

ნამღერში იცეკვოს დელგმამ და თავსხმამ

და ცით მოშხუილე ქარების დასმა.

ყვავილთა მყნოსავი ზეფირის კვალად,

ქვიშის მოალერსე ტალღების დარად.

ნეტავ, შენს მთრთოლვარე სიმღერად ვიქცე,

გულით მოვარდნილ ხმის უღერად ვიქცე.

იმღერე — მიეცეს ამ ლექსებს ძალა, გულის იადონი მიოცე კვლავაც.

როგორ ჰგავს უკვე დავინამდვილე, ჩემი სიცოცხლე მაგ შენს ნამღერებს.

როს იმღერ, გიყურებ ცქერამიბნედით,

ნეტავ, შენც ტკბებოდე ჩემი სიმღერით.

იმღერე, ძვირფასო, მთელი არსებით,

შენით ფრთიანობდეს მუზა სავსებით“.

ლექსის წარმოთქმის შემდეგ ხელები ფართოდ გაშალა, გაიზმორა და მხოლოდ ახლადა შენიშნა გალავანზე ამომძრალი და მისკენ მომზირალი ბალადადაში. ჯერ ცოტათი იუხერხულა, შემდეგ კი ჰკითხა:

— ლექსები იცი?

— აბა, არ ვიცი?!

სევილი წამოიწია და ინტერესით იკითხა:

— კარგი ერთი, მართლა? — თითქოს ნამდვილად არ ეჯერა, რომ ბალადა-

დაშს შეიძლებოდა ლექსი სცოდნოდა.

– თქვი აბა, რომელიმე!

– სკოლაში ხომ არა ვართ?

რა თქმა უნდა, ბალადადაშმა რა-ლაც წყება ლექსები იცოდა, მაგრამ მას ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ ამათგან არც ერთი სევილის შესაფერი-სი არ იყო; ანუ სევილის, ამ კრიალა ცის, წყნარი და კამკამა ზღვის, აი, ამ მომენტის საღირალი არ იყო არც ერ-თი; ბალადადაშმა ისიც იცოდა, რომ კრიალა ცის შემყურე და ლექსების წარმომთქმელ გოგონასთან ძალიან ნა-ზად, დახვეწილად უნდა ილაპარაკო, მაგრამ საქმეც ის იყო, რომ ბალადა-დაშს ნაზად და დახვეწილად ლაპარაკი არ შეეძლო.

სინამდვილეში ბალადადაშმა მხო-ლოდ ახლა იგრძნო... იგრძნო, რომ თვრამეტი წლის, ახლადსკოლადამთავ-რებულ, ჩილიკა ჯოხის სახელგავარ-დნილ ოსტატ ბალადადაშს გოგონასთან ნაზად და დახვეწილად, ლამაზი სიტ-ყვების გამოყენებით ლაპარაკი არ ხე-ლენიფებოდა.

მან გულის სიღრმეში იგრძნო, რომ აი, გალავნიდან ათი მეტრის იქით რომ გოგონა ზის, სინამდვილეში, მისი სამ-ყაროსგან ძალიან, ძალიან შორსაა, მაგ-რამ ბალადადაშმა ისიც იგუმანა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ზღვის ნაპირას, ერთ მთვარიან და ვარსკვლავებიან და ამასთანავე, გრილ ღამეს ეს გრძელი მანძილი შეიძლებოდა გამქრალიყო და ამ ლამაზ გოგონას შეიძლებოდა მის-თვის ზღვასავით მოეფერა თმაზე და ეკოცნა კიდევაც.

ბალადადაშმა ეს კოცნა თითქოს სა-ხეზე შეიგრძნო, ამიტომაც გააურჟოლა და გოგონას დამნაშავესავით გახედა.

ცხადია, სევილმა არც ბალადადა-შის ფიქრებისა იცოდა რამე და არც ის, რამდენიმე წამის წინ გამხდარ ლო-ყაზე რომ აკოცა. გოგონა ბალადადა-შის თავზე „აეროდრომის“ კოკარდიან ქუდს დააკვირდა, თვალები გააუუფუნა და ბალადადაში მიხვდა, რომ ამ წუთას ლექსი რომ ვერ თქვა, ძალიანაც დაა-შავა ამით.

შუშაბანდში სევილის დედა გაზქუ-რაზე ახალ ლობიოს ხრაკავდა და გა-ლაგანზე ამძვრალ ბალადადაშს რომ ჰკიდა თვალი, გადაირია:

– შენ ეი, აქეთ მომხედე ერთი, რას ამძვრალხარ მანდ? ქვეყანა გეცოტავე-ბა?

ბალადადაშმა მსუქან ქალს შეხედა და ხმის ამოულებლად ჩამოძვრა. შარ-ვლის უკანა მხარე დაიფერთხა, სან-დლების ჭვინტით ქვიშის ამტვერვა-ამ-ტვერვით, ორლობეთი გასცილდა იქა-ურობას.

სევილის დედამ ქურაზე შემოდგმულ ლობიოს ოთხი-ხუთი კვერცხი ჩაახალა და ჯერ კიდევ ლელვის ხის ქვეშ მჯდო-მარე ქალიშვილს მოუბრუნდა:

– მურადი წუთი-წუთზე მოვა, ადექი ჯამ-ჭურჭელი დააწყვე სუფრაზე...

მურადის სახელის გაგონებაზე სე-ვილის ჩაეგდიმა, ჩიტივით წამოფრინდა და ოთახში შევარდა.

სევილის დედამ ქურას ცეცხლი მო-უკლო და ნივრის დანაყვას შეუდგა. ამ დროს ეზოს კარი გაიღო და ბალა-დადაში ორი, პირთამდე წყლით სავსე სათლით ხვეწა-ხვეწით შემოვიდა შუ-აგულ ეზოში.

სევილის დედამ უკმეხად შეხედა ბა-ლადადაშს და ბალადადაშმაც ერთხანს უყურა მას:

– შოლარის წყალია, თქვენთვის მო-ვიტანე, რომ მოიხმაროთ.

სევილის დედამ კი უთხრა:

– გასწი, შვილო, გასწი. შენგან არა-ვის არაფერი მოუთხოვია, წადი შენს საქმეებს მიხედე...

ბალადადაში „აეროდრომის“ კოკარ-დიანი ქუდის ქვემოდან სახეზე ოფლის ღვრით კიდევ ერთხანს მიაჩერდა მსუ-ქან ქალს, შემდეგ ხმის ამოულებლად გატრიალდა და სათლებით ხელში ეზო-დან გასვლა მოინდომა.

სევილის დედამ უკნიდან დააწია:

– მოიცა, მართლა შოლარის წყა-ლია?

ბალადადაში შეჩერდა და მსუქა-ნი ქალისკენ მობრუნდა. ამჯერად, მის დასარწმუნებლად, გულწრფელად დაი-

ფიცა:

— კეპკას გეფიცები, შოლარის წყალია, რატომ არ გჯერა, ე?

— რა?

ბალადადაში სათლები ძირს და-  
ანუყო და ხელი ქუდზე დაირტყა:

— ვახ, კეპკას გეფიცები, რომ შოლა-  
რის წყალია-მეთქი, რატომ არ გჯერა,  
არ მესმის!..

უცებ ოთახიდან გამოვარდა სევილი  
და ეზოში გაიხედა:

— როგორ, როგორ?! კეპკას გეფიცე-  
ბიო? — ეს თქვა და სიცილით ჩაბჟირდა.

ბალადადაში ვერ მიხვდა, ახლა რა-  
ტომ იცინოდა სევილი; სინამდვილეში  
სევილის სიცილი, თანაც კისკისი მოს-  
წონდა. ამიტომ იყო, გულში რომ ვერ  
უბრაზზებოდა, ადამიანმა ამდენი არ  
უნდა იცინოსო.

სევილის დედამ კი თქვა:

— კარგი, რახან მოიტანე, მოგვეცი,  
მოვიხმართ, მაგრამ ანი აღარ შეწუხდე.

ბალადადაში ისევ დაბრუნდა, სათლე-  
ბი შუშაბანდში ხვნეშა-ხვნეშით აიტანა  
და რკინის დიდ ჭურჭელში ჩაცალა. ამ  
დროს ჭიშკარს წითელი „მოსკვიჩი“ მო-  
ადგა. სევილის დედა მაშინვე აწრიალ-  
და:

— მურადი მოვიდა, სევა, მურადი  
მოვიდა!

სევილი სასწრაფოდ გამოვიდა ოთა-  
ხიდან და სირბილით ჩავიდა ეზოში.  
დედამისისაც სრულიად გადაავინყდა რა  
ბალადადაში, საჩქაროდ გავიდა პირსა-  
ხოცზე ხელების წმენდა-წმენდით.

მურადი ოცდაათი წლის, ტანადი და  
თვალადი კაცი იყო. მანქანიდან რომ  
გადმოვიდა და შემოაბიჯა, დილისაქე-  
თიდან მზისქვეშ გათანგული ეზო ერ-  
თბაშად გამოცოცხლდა, ამ პატარა  
მინაშენებიან სახლს, გაზქურას — ყვე-  
ლაფერს სიცოცხლის ნიშატი მოემატაო  
თითქოს.

— აბა, როგორ მოგწონთ აქაურობა?

— თქვა მურადმა, — როგორ მოეწყვეთ?

— მაგრად! — მიუგო სევილმა, შემდეგ  
თავი ვერ შეიკავა და მურადს მკლავზე  
მიეყუჯა; ალბათ, დედამისი იქვე რომ  
არ მდგარიყო, კისერზეც ჩამოეკიდე-

ბოდა.

სევილის დედამ ეს იგრძნო და ცო-  
ტათი დაიპნასავით, მერე მანაც დაამა-  
ტა:

— შესანიშნავია აქაურობა. მშვენივ-  
რადაც მოვეწყვეთ.

მურადმა იქაურობას მზერა მოატა-  
რა და საკუთარი თავითა და ეზო-კა-  
რით კმაყოფილმა დასძინა:

— ქალაქში ისეთი სიცხე და ხვატი  
დგას, სუნთქვა უჭირს კაცს.

სევილმა თვალებში ჩახედა.

— დაილალე? — ისე მიენაზა, რომ დე-  
დამისი ისევ დაიპნა. გოგონას აშკარად  
მურადის ჩახუტება უნდოდა.

ამ წუთას ბალადადაშის არსებობა  
კაციშვილს არ ახსენდებოდა. მივიწყე-  
ბულმა ბალადადაშმა ცარიელი სათლე-  
ბი აიღო და გაცლა რომ დააპირა, მუ-  
რადმა იკითხა:

— ეს ვინდაა?

სევილმა ბალადადაშის „აეროდრო-  
მის“ ქუდქვეშ გაოფლილ სიფათს შეხე-  
და და ხმამალლა აკისკისდა.

სევილის დედამ თქვა:

— ორი სათლი შოლარის წყალი მოგ-  
ვიტანა.

სევილი ისევ იცინოდა. ბალადადაში  
შეჩერდა და სევილს მიაშტერდა. ბალა-  
დადაშისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა,  
ამ თვრამეტი წლის ლამაზ გოგონასთან  
ულვაშაპრეხილი ოყლაყი რომ იდგა,  
რომ იმ ოყლაყს ახალთახალი წითელი  
„მოსკვიჩი“ ჰყავდა და რომ ბალადადა-  
შის გოგონაზე ასე ჩაშტერება სულაც  
არ ეპიტნავებოდა; ბალადადაშს ამ ერ-  
თბაშად ნაცნობადემნილი და გაძვირ-  
ფასებული ლურჯი თვალების, ყავის-  
ფერი თმის, თეთრი პირისახის ყურება  
სურდა და უყურებდა კიდევაც.

მურადმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, მო-  
ვერცხლისფრო მანეთიანი ამოილო და  
ბალადადაშს გაუწიოდა:

— დაიჭი!

ბალადადაშმა მზერა ყავისფერ  
თმებს, ლურჯ თვალებს, თეთრ პირი-  
სახეს მოსწყვიტა და მოვერცხლისფრო  
მანეთიანს დახედა.

რა თქმა უნდა, სხვა დროს ბალადა-

აქ ან მაგრად შეუკურთხებდა, ან მოვერცხლისფრო მანეთიანს გამოართმევდა და ცისკენ გააწულიებდა. მოკლედ, რაღაცას იზამდა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ბალადადაშს თავგზა აპნეოდა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რადგან ახლა მასთან თვრამეტი წლის ლამაზი გოგონა იდგა, რომელსაც ცაში ყურება და ლამაზი ლექსების თქმა შეეძლო, თანაც ეს გოგონაც მოვერცხლისფრო მანეთიანს დაჰყურებდა ახლა.

სევილის დედა სასწრაფოდ ჩატარა:  
— ისე, უბრალოდ მოიტანა, მურად,  
უფასოდ.

## მურალმა გაიღიმა:

- რა უჭირს, წავიდეს, ლუდი დალი-ოს, ყელი გაიგრილოს.

ბალადადაში ხმის ამოუღებლად, ცა-  
რიელი სათლებით ხელში გავიდა ეზო-  
დან.

უკნიდან მურადის ხმა დაეწია:

— გეცოტავა?!

და იმ ლურჯთვალება, ყავისფერ-  
თმიანმა, თვრამეტი წლის თეთრპირსა-  
ხიანმა გოგონამ ისევ ხმამაღლა გადაი-  
კის უისა.

ორი მთვარე იყო: ერთი ცაში, მეორეც – ზღვაში, რომელიც პანია ტალღებზე ცეკვავდა. ბალადადაში ნაპირზე იჯდა და თვალს ზღვაში მოლივლივე მთვარეს არ აშორებდა.

სანაპიროზე არავინ ჭაჭანებდა. მხოლოდ ზღვა, ბალადადაში და ზღვაში მოლივლივი მთვარე იყვნინ.

სანაპიროს ეს სიმარტოვე სევდას  
ჰგვრიდა და ბალადადაშიც იმავ სევდი-  
ანობაში თვალს ვერ აცილებდა ზღვაში  
მოლივლივე მთვარეს.

ბოლოს, ბალადადაში წამოდგა, ტი-  
ლოს შარვლის უკანა მხარე დაიფერ-  
თხა, ნელ-ნელა სანაპიროს მოშორდა  
და წავებს შორის გავლით სოფლისკენ  
წავიდა.

აღანაჯაფის ეზოდან გამომავალ  
სიმღერის ხმას იქაურობა მოეცვა: გა-  
დირ რუსთამოვი „სონა ბულბულს“  
მღეროდა, ბალადადაშიც იმ სიმღერის  
ფონზე სევილის ეზოს გაღლავანზე აძ-

ვრა და მათი შუქმომფინარე მინაშენის-  
კენ გაიხედა.

სევილი, დედამისი და მურადი მინა-  
შენში პატარა მაგიდას უსხდნენ და ჩა-  
ის სვამდნენ.

სევილის დედამ მურადს უთხრა:

- თუ ღმერთი გწამს, ფრთხილად იარე, სანამ ჩახვალ, გული არ დამიმ-შვიდდება. ტელეფონიც კი არ არის, ქა-ლაქში ჩასულმა რომ დარეკო.

## မျှော်လွန်ခြင်း

– ისედაც ნელა დავდივარ, არ იდარ-  
ოოთ.

სეკვილმა უთხრა:

- დარჩი რა, რა მოხდება?..

მურალმა უპასუხა:

- არ გამოვა ლამაზი...

სევილის დედამ ამოიხრა:  
- ეჰ, ერთი მალე გადაგვეხადა  
თქვენთვის ქორწილი და მერე მომ-  
კლა...

ბალადაბაში გალავნიდან უკან ჩახტა, ტილოს შარვლის უკანა მხარე უტყვი-უთქმელად დაიფერთხა და სევილის ეზოს გაშორდა.

ისევ პაპანაქება სიცხე იღგა. ასეთი სიცხე, თანაც შაბათი დღე – ზღვაც და სანაპიროც პირთამდე სავსე იყო ხალხო.

ბალადადაში ცოტა ხნის წინ ამოსულყო ზღვიდან და ლამის მუხლებამდე ტოტებჩამოწვდომილი შავი ნიფხავი წარილ თეძობზე შემოგებას ვა.

აღანაჯაფი ფიცრის ჩილიკა ჯოხის ქვიშარზე სობა-სობით მიუახლოვდა:

— აპელედ-ალასგან დღეს წერილი მოგვივიდა. მოკითხვას გითვლის. ამბობს, ჩამოვიდეს ჩემთან, ამურის მხარეშით. კურსებზეც შევა უპრობლემოდო. იქიდან სამხედრო აკადემიაშიც შეიძლება შესვლა ეგრევეო. მეც დღეს მივწერ, რომ ბალადადაში სულ ერთმანეთზე უკეთეს ჩილიკა ჯოხებს მითლის-მეტები. დედამაც მისწერა — ბალადადაშმა მოგიკითხაო.

ბალადადაშმა უეცრად უთხრა:

- ნეტაი ერთი შენა, დუნია ჩირად არ  
მიგაჩნია! - შემდეგ ქვიშაზე წამოწვა,

თვალები მოწყურა და მზეს ახედა.

აღანაჯაფი ბალადადაშისაგან ასეთ სიტყვებს თავის სიცოცხლეში არ მოელოდა, ამიტომ სათქმელი პირზე შეაშრა და თვალების ფახულს მოჰყვა. ვერ მოისაზრა, რა უნდა ეთქვა, შემდეგ სანაპიროსკენ მომავალ წითელ „მოსკვიჩე“ მიუთითა და თქვა:

— უპრავლიაიუში მოდის.

ბალადადაში იკითხა:

— ვინ?

— უპრავლიაიუში.

— უპრავლიაიუში ვინდაა?

— აგერ, ე, წითელი „მოსკვიჩით“ მოდის.

ბალადადაში წამოიმართა და წითელ „მოსკვიჩეს“ გახედა. აღანაჯაფმა მანქანა ხარბად, თვალმოუცილებლად შეათვალიერა და განაგრძო:

— გოგონა ჩვენი ახალი მეზობელია. ესეც მისი საქმროა. ზაფხულისთვის ჩამოვიდნენ და შემოდგომაზე ისევ უკან გაბრუნდებიან, ქალაქში. გოგონას დედა ამბობს, რომ უპრავლიაიუშია ეს ბიჭი. იცი, რამდენი კილო იქნება გოგონას დედა? თვითონ კია ანტიკა, მაგრამ დედამისი ასი კილო მაინც იქნება.

ბალადადაში მუხლებზე იდგა და მურადსა და სევილს უყურებდა.

სევილის ყავისფერი თმები შიშველ მხრებზე ჩამოშლილიყო, მისი შიშველი ფეხები და ტერფები ქვიშაზე ისე დანავარდობდა, თითქოს ეს ზღვაც, ეს სანაპიროც მათი პატრონის კუთვნილება ყოფილიყო. მურადის კუნთებდაბურცულმა სხეულმა წყალი გააპო, სევილს გზა გაუხსნა და ისინი ცურვა-ცურვით გაშორდნენ ნაპირს.

ბალადადაში ზღვაში ჩასულიყო და იქ მისი და, სევილის გარდა, სხვა სულიერი არ ჭაჭანებდა. სევილი წყალში ბალადადაშის მკლავებზე განოლილიყო. სევილის ყავისფერი თმები ზღვას მოფენოდა. ბალადადაში სევილი ზედ მკლავებზე ეწვინა და ზღვის ზედა-პირზე ასრიალებდა. სევილს თვალები დაეხუჭა, იღიმოდა და ლექსს ჩურჩულებდა. ბალადადაში სევილის თეთრ

პირისახეს, წყალზე გაფენილ ყავისფერ თმებს, ლექსის მოჩურჩულე, მომლიმარ ბაგეებს მზერას არ აცილებდა და თავადაც იღიმებოდა.

სევილმა ლურჯი თვალები გაახილა და ბალადადაში ახედა, შემდეგ ხელები გაიწვდინა და თითებით სახეზე მოელამუნა, შემდეგ ტუჩების გასწვრივ წამოილო. ბალადადაში სევილის მლაშე თითები დაკოცნა და პორიზონტისკენ გაიხედა.

პორიზონტის ლურჯი ხაზი ამ ზღვაოდენი ბედნიერების სამანი იყო; პორიზონტის ხაზის აქეთა მხარე ბალადადაშისა და სევილის სამყარო იყო; პორიზონტის ხაზის აქეთა მხარეს ზღვა ბალადადაშისა და სევილისა იყო და, სევილის ყავისფერი თმები ამ ზღვაზე გაფენილიყო.

ბალადადაში მკლავებზე წამოწოლილი სევილისკენ დაიხარა, მისი ყავისფერი თმა და ზღვა დაკოცნა.

— ნეხვი მაქვს ბალისთვის, არ გინდა?

ბალადადაში ზღვას თვალი მოარიდა და ვირშებმულ პატარა ურემზე წამოსკუპებულ მოხუცს შეხედა. თითქოს არაფერი დაუნახავს და არაფერი გაუგონია, ისევ ზღვას მიაცქერდა, თუმცა არც სევილი იყო მანდ და არც მისი ყავისფერი თმები გაფენილიყო ზღვაზე.

— ნეხვი მაქვს-მეთქი ბალისთვის, არ გინდა?

ბალადადაში ზღვას ისევ მოაცილა თვალი და მოხუცს ააცქერდა. ჯერ თითქოს გაუკვირდა — ნეტა საიდან ამოძრა ეს კაციო, შემდეგ წამოდგა, ტილოს შარვლის უკანა მხარე ჩამოიფერთხა და პასუხის მომლოდინე მოხუცისთვის სიტყვის გამოუმეტებლად უკაცრიელ სანაპიროს გაშორდა.

ვირის ურემაც, თვლების ჭრიალით, საღამოს ბინდბუნდში სანაპიროთივე განაგრძო გზა.

ბალადადაში, ნავებს შორის გავლით, სოფელში რომ შევიდა, უკვე დაბნელებულიყო. ის კვლავაც სევილის ეზოს ქვის გალავანზე აძვრა და განათებულ

მინაშენს დაუწყო თვალთვალი.

სევილი წყნარად იჯდა და წიგნს კითხულობდა. ვერც კი წარმოიდგენდა, რომ სულ რაღაც ნახევარი საათის წინ მისი ყავისფერი თმა მთელ ზღვაზე გაფენილიყო; არ იცოდა, რომ ბალადადაში ამ თმებს სულ რაღაც ნახევარი საათის წინ კოცნიდა; არ იცოდა, რომ მისი ყავისფერი თმის მომლამო გემოს ბალადადაში ახლაც გრძნობდა ტუჩებზე.

უცებ სევილმა ლურჯი თვალები წიგნს მოაცილა და რამდენიმე წამით სიბნელეში, ბალადადაშისკენ გაიხედა, მერე კი თქვა:

— ისევ მანდ ხარ ამძვრალი?

ბალადადაში გული ერთბაშად ჩამოსწყდა და გალავნის ძირში მოადინა ტყაბანი. წინად მას ასეთი რამეები არ ემართებოდა.

სევილმა განაგრძო:

— გალანავზე რომ ამომძვრალხარ, ვიცი. გუშინ ღამითაც იქ იყავი. გეგონა, ვერ მივხვდი? მურადს რომ ვუთხრა, იცი, რას გიზამს?

ბალადადაშმა ჩქამიც არ გაიღო. მხოლოდ ბაყაყები ყიყინებდნენ. იწვიმებდა. ალბათ. გარდა ამისა, ჭრიჭინობელების ჭრიჭინსაც აეკლო ქვეყანა. სევილის სახლიდანაც ხმა გამოდიოდა, ალბათ, სევილის დედა ფილმს უყურებდა.

სევილმა სიბნელისთვის თვალმოუცილებლად გააგრძელა:

— რა გინდა? შენი ტოლი ვარ? წადი, სარკეში შენს კეპკას ჩახედე... კეპკა კი არა, აეროდრომია. ზედაპირიდან მთვარეზე შეიძლება გაფრენა.

სევილს საკუთარ სიტყვებზე თავადვე გაეცინა.

სევილის დედამ გამოიხედა:

— ვის ელაპარაკები?

— არავის. ჩემს თავს! — სევილმა ისევ გაიცინა. — არ შეიძლება?

ბალადადაში ხვდებოდა, რომ ახლა აქედან ჩამოსვლა და მოკურცხვლა იყო საჭირო, თანაც მეორედ აღარასოდეს უნდა ამომძვრალიყო აქ. ბალადადაში ამას კი მიხვდა, მაგრამ საქმე ის გახ-

ლდათ, რომ ხელ-ფეხი არ ემორჩილებოდა. სევილის სიტყვებს გული ამოეკვეთათ, თითქოს ხელ-ფეხი გაეხმოთ მისთვის.

სევილი აღარ იცინოდა. ამჯერად აშკარად გულმოსულმა უთხრა:

— რატომ არ ჩახვალ და გზას არ გაუდგები? შენ გამო სახლის ხვატში გინდა ვიჯდე?

ისევ ბაყაყებისა და ჭრიჭინების მოძახილის მეტი არაფერი გაისმა და გაჯავრებული სევილი ნერვიულად წამოდგა, სახლში შევიდა და კარიც მიიჯახუნა.

ბალადადაშმა ერთხანს ბაყაყებსა და ჭრიჭინებს მიაყურადა, მერე კი, როგორც იქნა, გალავნიდან ჩამოძვრა და იქაურობას მოშორდა.

ბალადადაშმა ამჯერად ტილოს შარვლის უკანა მხარის დაფერთხვა დაავიწყდა.

სოფელი წინ იყო, ბალადადაშს ორივე ხელი ტილოს შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო და მცხუნვარე მზის ქვეშ, ასთალტიანი გზით, სოფლისკენ მიაბიჯებდა.

წითელი „მოსკვიჩი“ უკნიდან მოუახლოვდა და გაუჩერდა, მურადმა გამოხედა და უთხრა:

— მოდი, დაჯე!

ბალადადაშმა ჯერ წითელ „მოსკვიჩის“, მერე კი სოფელს გახედა, შემდეგ ჯიბეები მოიქექა და მანქანას მიუახლოვდა, კარი გააღო და ჩაჯდა.

წითელმა „მოსკვიჩმა“ გზა გააგრძელა.

მურადმა გზისთვის თვალმოუცილებლად ჰკითხა:

— სწავლობ?

ბალადადაში, თითქოს მამამისის მანქანააო, გემრიელად მოეწყო და უპასუხა:

— აღარ ვსწავლობ. დავამთავრესკოლა.

— არც მუშაობ?

— შემოდგომაზე ამურის მხარეში წავალ ჯარში. რომ ჩამოვალ, მერე ვიმუშავებ.

— ჯარში? — მურადს ჩაელიმა. — შენივე ფეხით მიდიხარ ჯარში?

— ჰო, ჩემივე ფეხით, — ბალადადაშმა მურადს გახედა. აშკარად იგრძნობოდა, რომ მის თვალში მურადი ამ წუთას ყველაზე საზიზღარი კაცი იყო ქვეყანაზე.

მურადმა უთხრა:

— რა გენალვლება, უცოლო კაცი ხარ. ქვეყნის დასალიერშიც შეგიძლია წახვიდე. ყოველდღე თითო გოგოსთან შეგიძლია ატარო დრო... — შემდეგ ხელი ასწია და მანქანის უჯრა გამოხსნა, იქიდან კი პატარა კოლოფი ამოაძვრინა.

კოლოფში ოქროს მედალიონი იდო.

მურადმა განაგრძო:

— ჩვენსავით კი არ ხარ, რომ წახვიდე, ოქრო, ბრილიანტი შეიძინო, აქაოდა საცოლეს გაუხარდებაო... — შემდეგ მედალიონი ამოიღო და გულისჯიბეში ჩაიდო, ცარიელი კოლოფი კი ბალადადაშს გაუწოდა. — აიღე, მიჩუქნია. საჩუქარს კოლოფით რომ აძლევ, ჰგონიათ, ფასს აჩხერ თვალში. ფასი კიდევ ყოველთვის ზედ აწერია კოლოფი.

ბალადადაშმა ცარიელი კოლოფი გამოართვა:

— გააჩერე, აქ ჩავდივარ.

წითელი „მოსკვიჩი“ სოფლის შესასვლელში, ზღვისკენ ჩამავალ გზასთან შეჩერდა. ბალადადაში ჩავიდა, ჯიბიდან სამი ოცკაპიკიანი ამოიღო და მანქანის სავარძელზე ერთმანეთის მიყო-

ლებით დააგდო:

— დიდი მადლობა, ესეც შენი მგზავრობის საფასური! — კარები მიუჯაზუნა და ტილოს შარვლის უკანა მხარის ფერთხვა-ფერთხვით ზღვისკენ გაეშურა.

მურადმა უკნიდან რაღაც მიაყვირა, მაგრამ ბალადადაშმა ვერაფერი გაიგონა და უკანაც არ მოიხედა.

ზღვისკენ მიმავალი ბალადადაში მედალიონის კოლოფს ათვალიერებდა, შემდეგ კოლოფი ცოტა წინ, ჰაერში აისროლა და მცირე გარბენით ჰაერშივე ღონივრად აუქნია ფეხი. კოლოფი მეშვიდე ცაში აიჭრა და, ვინ უწყის, სად ჩამოვარდა.

ბალადადაშმა სირბილშივე მოიძრო „აეროდრომის“ კოკარდიანი ქუდი, ზოლებიანი პერანგი, ტილოს შარვალი, სანდლები და ზღვას მისცა თავი, ხელი ერთი-ორჯერ მოუსვა, ზურგზე გაწვა და ცას ახედა; ცა იყო კრიალა და უძირო, რომელიც, ამ ზღვის დარად, მხოლოდ ბალადადაშს ეკუთვნოდა.

ასე დამთავრდა ბალადადაშის პირველი სიყვარულის ამბავი. ეს თავგადასავალი მან მხოლოდ ერთხელ, მატარებლით ამურის მხარეში წასვლისას მოიგონა და, ყავისფერი თმის მომლაშო გემო კიდევ ერთხელ შეიგრძნო ტუჩებზე.

**აზერბაიჯანულიდან თარგმნა  
ოქტაი ქაზუმოვმა**